

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
შუახევის მუნიციპალიტეტი

ემსპედიციები აჭარაში შუახევი - 2016

THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA
MINISTRY OF EDUCATION, CULTURE AND SPORT OF AJARA
AUTONOMOUS REPUBLIC
SHUAKHEVI MUNICIPALITY

FIELD EXPEDITIONS IN AJARA SHUAKHEVI - 2016



საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

თბილისი • TBILISI

2018

წინამდებარე გამოცემაში თავმოყრილია 2016 წელს აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში ფოლკლორის სხვადასხვა დარგში (მუსიკა, ქორეოგრაფია, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მოძიებულ-ჩანერილი მასალა და მისი შესწავლის შედეგები. აუდიო და ვიდეოდანართებში შესულია პორტატული ხმის ჩამწერით, ხმის ჩამწერი სტუდიითა და ვიდეოკამერებით ფიქსირებული ნიმუშები.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და შუახევის კულტურის ცენტრის ერთობლივი კომპლექსური ფოლკლორისტული ექსპედიციების მონაპოვარი მეტ-ნაკლებად სრულად წარმოგვიდგენს ამ დარგებში არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობას, ამავე დროს დაგვაფიქრებს მისი გაუმჯობესების გზებზე.

გამოცემა ნამდვილად საჩუქარია სპეციალისტებისთვის, პრაქტიკოსი შემსრულებლებისა და ქართული კულტურით დაინტერესებული მოყვარულებისთვის.





Present edition includes the materials of various folkloric fields (music, choreography, oral folklore, fine and applied arts) documented in Shuakhevi Municipality, Achara in 2016 and the results of their study. The audio and video appendices comprise the examples recorded on the portable device, by the sound recording studio and filmed with video camera.

The materials collected by the joint folkloristic expeditions of the Folklore State Centre of Georgia and Shuakhevi Centre of Culture more or less fully present current situation in these fields and enable us to think of the ways for improvement.

This edition is a true gift for specialists, practicing artists and amateurs interested in Georgian culture.

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დონაძე
პროექტის კოორდინატორი: გიორგი გაბუნია

ავტორები:

ნატალია ზუმბაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (მუსიკა)
უჩა დვალისვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (ქორეოგრაფია)
ეთერ თათარაიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ზეპირსიტყვიერება)
ცისანა მარინდაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი (სახვითი და
გამოყენებითი ხელოვნება)

რედაქტორები:

ნატალია ზუმბაძე (მუსიკა)
ბაია ასიეშვილი (ქორეოგრაფია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)
ამირან არაბული, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ზეპირსიტყვიერება)

აუდიო და ვიდეონიმუშები ჩანერილია ნატალია ზუმბაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ექსპედიციაში (ხმის რეჟისორი: არჩილ ბურჭულაძე, ვიდეოოპერატორები: ნიკოლოზ გოგაშვილი, გივი ნახუცრიშვილი). მასალა გამოსაცემად მოამზადეს არჩილ ბურჭულაძემ, ნიკოლოზ გოგაშვილმა და თეონა რუხაძემ.

წიგნში შესულია გურამ გაბაშვილის, ნიკოლოზ გოგაშვილის, უჩა დვალისვილის, გიორგი მექვაბიშვილისა და გივი ნახუცრიშვილის **ფოტოები**.

დიზაინერ-დამკაბადონებლები: ელენე გაბრიჩიძე, გიორგი დემეტრაშვილი

მთარბმნელი: მაია კაჭკაჭიშვილი





PROJECT MANAGER: Giorgi Donadze

PROJECT COORDINATORS: Giorgi Gabunia, Madona Tevzadze

AUTHORS:

Natalia Zumbadze, Doctor of Arts (music)

Ucha Dvalishvili, Doctor of Arts (choreography)

Eter Tataraidze, Doctor of Philological Sciences (oral folklore)

Tsisana Marindashvili, Honored Artist of Georgia (fine and applied arts)

EDITORS:

Natalia Zumbadze (music)

Baia Asieshvili (choreography, fine and applied arts)

Amiran Arabuli, Doctor of Philological Sciences (oral folklore)

Audio and video examples recorded by the expedition headed by Natalia Zumbadze (sound engineer: Archil Burchuladze, cameramen: Nikoloz Gogashvili and Givi Nakhutsrishvili). The material prepared for publication by Archil Burchuladze, Nikoloz Gogashvili and Teona Rukhadze.

The edition contains **the photos** of Guram Gabashvili, Nikoloz Gogashvili, Ucha Dvalishvili, Giorgi Mekvabishvili and Givi Nakhutsrishvili.

COMPUTER SERVICES: Elene Gabrichidze, Giorgi Demetrashvili

TRANSLATION: Maia Kachkachishvili



სარჩევი

წინასიტყვაობა	8
მუსიკა	11
ქორეოგრაფია	41
ზეპირსიტყვიერება	71
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	213
აუდიო და ვიდეორჩანანერები	236

2016 წელს აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში ჩატარდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და შუახევის კულტურის ცენტრის ერთობლივი კომპლექსური ფოლკლორისტული ექსპედიციები.

სამეტაპიანი პროექტი დაიწყო ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიის სპეციალისტების ექსპედიციით (ხელმძღვანელი – ნატალია ზუმბაძე). მეორე ეტაპზე შუახევს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, ესპანელი ეთნომუსიკოლოგი პოლო ვალეჰო და ფოტოხელოვანი კარმენ ბალვე ესტუმრნენ, ბოლოს კი ჩატარდა ზეპირსიტყვიერების და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტთა ექსპედიცია (ხელმძღვანელი – ეთერ თათარაიძე).

ფოლკლორის ოთხი სხვადასხვა დარგის მომცველი მსგავსი პროექტი აჭარაში აქამდე არ განხორციელებულა. ჩატარებული სამუშაო შთამბეჭდავია როგორც მრავალფეროვნებით, ისე მოცულობით. ფიქსირებული მასალა სრული სახით ინახება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და შუახევის კულტურის ცენტრის არქივებში.


ექსპედიციების იდეა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორს ეკუთვნის. მის ხორცშესხმაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შუახევის კულტურის ცენტრმა. ფინანსური მხარდაჭერები იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ვიმედოვნებთ, შუახეველებს აუცილებლად გამოუჩნდებიან მიმზადებელი და ანალოგიური ერთობლივი პროექტები საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებშიც განხორციელდება. ეს ფოლკლორის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს საშუალებას მოგვცემს, მეტ-ნაკლები სისრულით დავაფიქსიროთ ამ დარგებში არსებული დღევანდელი ვითარება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციებიც შევიმუშაოთ არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად/შესანარჩუნებლად.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი მადლობას უხდის:

- ექსპედიციების ფინანსური მხარდაჭერისთვის – **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას;**
- თანამშრომლობისთვის – **შუახევის კულტურის ცენტრს, ვახტანგ ბერიძეს, ლოლიტა სურმანიძეს, რევაზ ფევაძეს, გივი ნახუცრიშვილს;**
- სტუმართმოყვარეობისთვის – **შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას;**
- საექსპედიციო მასალების გამოცემისთვის – **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.**

ნატალია ზუმბაძე



In 2016, the Folklore State Centre of Georgia and Shuakhevi Centre of Culture jointly conducted folkloristic expeditions in Shuakhevi Municipality, Achara.

The three-stage project began with folk music and choreography expedition (headed by Natalia Zumbadze). On the second stage Director of the Folklore State Centre of Georgia Giorgi Donadze, Spanish ethnomusicologist Polo Vallejo and photographer Carmen Ballve visited Shuakhevi. The expedition of oral folklore, fine and applied arts (headed by Eter Tataraidze) finalized the project.

Similar project encompassing four different fields of folklore had never been organized in Achara. The conducted work is impressive with diversity and volume. The documented material is preserved in full at the archives of the Folklore State Centre of Georgia and Shuakhevi Centre of Culture.

The idea of holding expeditions belongs to the Director of the Folklore State Centre of Georgia. Shuakhevi Centre of Culture played significant role in its execution. The project was realized with the financial support of the Georgian Ministry of Culture and Monument Protection and Shuakhevi Municipality.

We hope that other municipalities of Achara will follow the example of Shuakhevi, which will make it possible to implement similar projects there together with the Folklore State Centre of Georgia. This will enable the specialists of different folklore branches to be aware of current situation in these fields and develop appropriate recommendations for improving/maintaining the existing situation, if necessary.

The Folklore State Centre of Georgia expresses gratitude to:

- **Georgian Ministry of Culture and Monument Protection and Shuakhevi Municipality** for the financial support of the expeditions;
- **Shuakhevi Centre of Culture, Vakhtang Beridze, Lolita Surmanidze, Revaz Pevadze, Givi Nakhutsrishvili** for cooperation;
- **Residents of Shuakhevi Municipality** for hospitality;
- **Ministry of Education, Culture and Sport of Ajara Autonomous Republic** for publishing the expedition materials.

Natalia Zumbadze



მუსიკა



ნატალია ზუმბაძე

2016 წლის 19-28 აპრილს შუახევის მუნიციპალიტეტში იმუშავა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და შუახევის კულტურის ცენტრის ერთობლივმა კომპლექსურმა ფოლკლორისტულმა ექსპედიციამ.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან პროექტში მონაწილეობდნენ: მეცნიერი მუშაკი, ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ნატალია ზუმბაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი); არქივის კოორდინატორი, ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თეონა რუხაძე; ქორეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი, ქორეოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი უჩა დვალიშვილი; ხმის რეჟისორი არჩილ ბურჭულაძე, ვიდეოოპერატორი ნიკოლოზ გოგაშვილი, მძლოლი ნიკოლოზ ირემაშვილი. აჭარის მხრიდან ექსპედიციაში ჩართულები იყვნენ: შუახევის კულტურის ცენტრის ფოლკლორის მიმართულების ხელმძღვანელი, ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრი ლოლიტა სურმანიძე და დოკუმენტალისტი გივი ნახუცრიშვილი. ექსპედიციას მუდმივად მეგზურობდნენ შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორი ვახტანგ ბერიძე და არქივის სპეციალისტი რევაზ ფევაძე.

ჩვენი ექსპედიცია ეთნომუსიკოლოგებთან და ქორეოლოგით შემთხვევით არ დაკომპლექტებულა: საცეკვაო ჟანრის ნიმუშების ხვედრითი წილი აჭარულ ხალხურ მუსიკაში საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით განუზომლად დიდია. ამიტომ მათი მოძიება და ჩანერა, შემდგომი სამეცნიერო კვლევის მსგავსად, ამ დარგების სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობით უფრო სწორი და ნაყოფიერი უნდა იყოს.

ექსპედიციას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო, რომლის მნიშვნელოვანი წილი შუახევის მხარემ შეასრულა: დაზუსტდა ინფორმაცია სხვადასხვა სოფლის მომღერლების, მოცეკვავეების, საკრავებზე დამკვრელებისა და მათი მკეთებელი ოსტატების შესახებ,

დაიგეგმა ძირითადი მარშრუტი. თბილისში გავეცანით აჭარაში ჩატარებული სამუსიკო-ფოლკლორისტული ექსპედიციების აუდიოჩანაწერებს და ამ კუთხის ხალხური მუსიკის სანოტო ნიმუშებს.

შუახვევის ექსპედიციამ მუშაობა წარმართა ორი მიმართულებით: წმინდა ფოლკლორისტული კვლევა-ძიება და ჩანერა-გადაღებები, კულტურის ცენტრის ანსამბლების ჩანერა-გადაღებები. ვმუშაობდით პორტატული ხმის ჩამწერით, ხმის ჩამწერი სტუდიით, ვიდეო და ფოტოკამერებით. პორტატული ხმის ჩამწერთა და ვიდეოკამერებით დავაფიქსირეთ შუახვევის მუნიციპალიტეტის სამი ხეობის (მარეთი, ჭვანა, ზამლეთი) ცამეტი სოფლის (ოლადაური, მანყვალთა, მახალაკიძეები, გოგინაური, კვირიაული, წაბლანა, ცხემლისი, ხაბელაშვილები, ნაღვარევი, ზემო ხევი, ტაკიძეები, ნიგაზეული, ფურტიო) შემსრულებელთა რეპერტუარი, მოძრავი ხმის ჩამწერი სტუდიით კი – შუახვევის კულტურის ცენტრის ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების რეპერტუარი. ექსპედიციის ყოველდღიური მუშაობის ანგარიში, მომზადებული ნ. ზუმბაძისა და თ. რუხაძის მიერ, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ვებგვერდზე იყო განთავსებული. მომყავს ეს ანგარიშები:

••• 20 აპრილი

მუშაობის პირველ დღეს ექსპედიცია ესტუმრა მარეთის ხეობის სოფლებს – ოლადაურს, მანყვალთასა და მახალაკიძეებს. ოლადაურის ეთნოგრაფიული მუზეუმის მონახულებისა და მის გამგესთან, არჩილ მაკარაძესთან საუბრის შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა, დავსწრებოდით ადგილობრივი მკვიდრის გარდაცვალებიდან ორმოცდამეთორმეტე დღეს გამართულ წესს სასაფლაოზე და მოგვესმინა მისი შვილის დატირება.

მანყვალთაში შევხვდით ტარიელ მაკარაძეს, ლევან და შოთა ფუტკარაძეებს, მერაბ ზოიძეს, რომელთაგანაც ჩავწერეთ სიმღერები („ორირა“, „ქალ-ვაჟის გაღექება“, „ნაღ“, „ოურაღა“) და ცნობები მათ შესახებ. ადგილობრივ შემსრულებლებს სიმღერაში შეუერთდნენ ვახტანგ ზოიძე სოფელ კარაპეტიდან და მამუკა ქარცივაძე სოფელ ოლადაურიდან. გავესაუბრეთ და დავაფიქსირეთ რუსუდან მაკარაძის ნამღერიც.

მახალაკიძეებში ექსპედიციას დარჩიძეების ოჯახმა უმასპინძლა. აქ ფატი თაფლაძისა და ავთანდილ დარჩიძისგან ჩავწერეთ „ხორუმი“, „ვოსა“, „ნაღ-ნაღ“.

მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელთა საჭიროზე ნაკლები რაოდენობის გამო ვერ მოხერხდა სიმღერების ტრადიციული სახით ფიქსირება, ექსპედიციის პირველი სამუშაო დღე მაინც ნაყოფიერი გამოდგა.

••• 21 აპრილი

მეორე დღე ექსპედიციამ ჭვანის ხეობის ორ სოფელში – ცხემლისსა და საბელაშვილებში – გაატარა. ცხემლისში გვიმასპინძლა დავით მჟავანაძის ოჯახმა. აქ ადგილობრივი შემსრულებლებისგან – დავით და მერაბ მჟავანაძეების, დავით ტარიელაძისა და გურამ ქათამაძისგან – დავაფიქსირეთ სიმღერები: „ჩემო წითელპერანგა“, „ყარანაი“, „აბადელი, ოვდელია“, „ჩემო სოფელო, მზიანო“, „თვალები რომ მომანათე“, „ძველებური მაცრული“, „რერო“/„ხინკალა“, „ბახმაროს მთაზე“, „ქალო ნარინჯთმიანო“, „თოფია ქათამაძის სიმღერა“ (ფანდურით), „ვოღსა“ (ცეკვით). ზოგ სიმღერაში ცხემლისელებს საბელაშვილების მკვიდრი ძმები, ტარიელ და ავთანდილ ბოლქვაძეები შეუამხანაგდნენ.

საბელაშვილებში ჩავწერეთ სოფელ ინკირვეთის ქალთა ტრიო ნანული ჭალაღიძის, თამარ და ნინო შარაშიძეების შემადგენლობით (ლიდერი – ნ. ჭალაღიძე). მათ შეასრულეს ფანდურით თანხლებული სიმღერები: „ატლატიტა“, „ოუ, ჩელა“ (ცეკვით), „სიმღერა ინკირვეთზე“, „დილა ნისლის მანდილს ლამბავს“, „სიმღერა სამშობლოზე“ და უთანხლებო „ნადური“ (ცეკვით). ორი სიმღერა („ჯაშის ქალო, მარიკელა“ და „სიმღერა ბათუმზე“) დავაფიქსირეთ საბელაშვილების მამაკაცთა ჯგუფის (რამაზ ართმელაძე, იური ბერიძე, ავთანდილ, ბადრი, გივი და ტარიელ ბოლქვაძეები. ლიდერი – გ. ბოლქვაძე) რეპერტუარიდან. გივი ბოლქვაძემ ჩონგურზე და ფანდურზე დაუკრა: „განდაგანა“, „ხორუმი“, „მეგრული მელოდიები“, „აღმოსავლურქართული მელოდიები“ და სხვ. რამდენიმე სიმღერა („ერთსა თავადს გურიაში“, „შენი ლამაზი მიდამო“, „რა პლანეტა ხარ, მითხარი“) ჩავწერეთ რეჟებ და იამზე ტაკიძეების და რამაზ ართმელაძის შესრულებით.

ცხემლისშიც და საბელაშვილებშიც დავაფიქსირეთ „განდაგანას“ ნიმუშები დავით, უმიან და მერაბ მჟავანაძეების, გიორგი დავითაძის, რამაზ და მირზა ართმელაძეების, ბადრი, საბა და ზურა ბოლქვაძეების შესრულებით.

ცხემლისში ექსპედიციის მუშაობა გადაიღო აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებამ. სიუჟეტი ეთერში გავა 24 აპრილს.

••• 22 აპრილი

22 აპრილს ექსპედიციამ მარეთის ხეობის სოფელ გოგინაურში იმუშავა. აქ დავაფიქსირეთ: დღვანის თემის ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელი – ნოდარ გოგიტიძე), რუსლან ფუტყარაძის ოჯახი სოფელ კვიახიძეებიდან და ჟუჟუნა გოგიტიძე.

ანსამბლმა „იმედმა“ შეასრულა როგორც უთანხლებო, ისე საკრავებით თანხლებული სიმღერები. პირველს მიეკუთვნება: „ვინ მოგიტანა“, „ნადური“, „აბადელა“, „მაცრული“; მეორეს კი „შაირები“ – „ღარბა დელეს ხარი ვდენე“ (ჩონგურით და დოლით), „გენაცვალე, შავთვალნარბავ“ (ჩონგურით, დოლით

და აკორდეონით), „ავი დარი მოიშალა“ (ჩონგურით), სატრფიალო „ქალო, ეშხით სანაქებო“ (ჩონგურით) და „ვერი მასპინძელსა“ (დოლით). „შაირებს“, „ნადურსა“ და „ვერი მასპინძელსას“ ცეკვაც ახლდა.

რუსლან ფუტკარაძის ოჯახისგან ჩავწერეთ ორი სიმღერა – „ავი დარი მოიშალა“ (ფანდურით და აკორდეონით) და „მე შენთვის ვწერდი ლამაზ სტრიქონებს“ (აკორდეონით), ხოლო ჟუჟუნა გოგიტიძისგან – ბავშვის დასაძინებელი „ნანა“ და „ეს აკვანი ხარატული“.

სიმღერების გარდა, ექსპედიციამ დააფიქსირა „განდაგანას“ სხვადასხვა მელოდია გარმონსა და დოლზე გენადი ფუტკარაძისა და რაულ გოგიტიძის შესრულებით (მოცეკვავეები – ირაკლი გოგიტიძე და ედიშერ ფუტკარაძე).

••• 23 აპრილი

ამ დღეს ექსპედიციამ იმუშავა ჭვანის ხეობის სოფლებში – ნაღვარევში, საბელაშვილებსა და ზემო ხევში.

ნაღვარევში ჩავწერეთ საცეკვაო ჰანგები ჭიბონსა და დოლზე („ხორუმი“, „განდაგანა“, „შემოსარები“) და სიმღერები, მათ შორის, საცეკვაო (აჭარული და რაჭული „შაირები“, „შემოძახილი“, „სიმღერა ნაღვარევზე“, „იავნანა“, „მასპინძელსა“, „ვოსა“). შემსრულებლები იყვნენ: ნოდარ, შერმადინ და ზაზა ქათამაძეები, ხასან, ირინა და ნარგიზ ხილაძეები, მამია კილაძე, ნაზი ბერსელაძე, ირმა ქათამაძე და ზექიე დავითაძე.

საბელაშვილებში სულიკო ბერიძისგან დავაფიქსირეთ ცეკვა „ძუნძუხი“ (აკორდეონსა და დოლზე უკრავდნენ გივი და ტარიელ ბოლქვაძეები).

ზემო ხევში ექსპედიციამ დავით ბერიძისა და ნოდარ ქარცივაძისგან ჩაწერა სასიმღერო და საცეკვაო ჰანგები (მათი დიდი ნაწილი საკრავებით/საკრავებზე შესრულდა): „ბაღჩაშია გადვიხედე“, „სიმღერა ჭვანაზე“, „შენი ლამაზი მიდამო“, „აბადელი“, „განდაგანა შაირებით“, „შემოსარები“/„კეკელა და მარო“, „ძველებური ლეკური“, „ძველებური განდაგანა“, „ძველებური ხორუმი“, „რუსული ცეკვა“. მამაკაცებთან ერთად თამარ მჟავანაძემაც იცეკვა. ნაღვარევსა და ზემო ხევში ადგილობრივ შემსრულებლებს ტარიელ ბოლქვაძე შეუერთდა.

••• 24 აპრილი

24 აპრილს ექსპედიცია მარეთის ხეობის სოფლებს – კვირიაულსა და ნაბლანას ესტუმრა.

კვირიაულში ჩავწერეთ უჩამბის თემის ანსამბლი „უჩამბა“ (ხელ-მძღვანელი – როლანდ ივანაძე), ასევე, ინდივიდუალური შემსრულებლები – დავით თავდგირიძე და როლანდ ივანაძე.

„უჩამბამ“ შეასრულა: „ვოფსა“, „ვორირა“, „აბადელი, ოვდელია“, „დელი, ვოდელა“, „ნანა“; ასევე, საკრავებით თანხლებული საცეკვაო ნიმუშები – „შაირები“ („ნენემ კაბა შიმიკერა“) (აკორდეონით და დოლით) და „თარაფარალო“ (ფანდურით). ინდივიდუალური შემსრულებლებისგან დავაფიქსირეთ აჭარული და რუსული „შაირები“ ბალალაიკით, „განდაგანასა“ და „ხორუმის“ მელოდიები აკორდეონზე.

წაბლანაში ადგილობრივ მკვიდრთა მცირერიცხოვანი ჯგუფისგან (მიხეილ ზოიძე, რამაზ და რეზო ბერიძეები, იაგო ჭურკვეიძე და მათთან შეამხანაგებული ზურაბ ქამადაძე სოფელ ნენიდან) ექსპედიციამ ჩაწერა: „ვოფსა“, „ჰიდაინანო“ (აკორდეონით და დოლით), „ჩალმა ჩაყრილო ვენახო“; ასევე, აკორდეონსა და დოლზე შესრულებული საცეკვაოები – „განდაგანა“, „ხორუმი“.

სახელდახელოდ შეკრებილი ქალებისგან დაფიქსირდა ინფორმაცია „ლაზარობის“ წეს-ჩვეულების შესახებ და შელოცვები (თვალისა და შაკიკის).

••• 25 აპრილი

ამ დღეს ექსპედიციამ იმუშავა ჭვანის ხეობის სოფელ ტაკიძეებში. აქ იამზე ტაკიძის, მათა ბერიძისა და ნანული ბეჟანიძისგან ჩავწერეთ: ბავშვის დასაძინებელი „ნანა“, ძროხის მოსაფერებელი, „ლაზარია მოადგა კარსა“, „ნანინავადა“; ასევე – საკრავებით (აკორდეონით, ფანდურით) თანხლებული „თარნანინა“, „სიმღერა ჭვანაზე“, „სიმღერა აჭარაზე“. ავთანდილ, ტარიელ და ბადრი ბოლქვაძეებისა და გურამ და ზვიად გოგრაჭაძეებისგან დაფიქსირდა „ფადიკო“ (აკორდეონით და დოლით).

••• 26 აპრილი

26 აპრილს შუახევში ჟურნალისტმა ოთარ ცინაძემ ჩაწერა საგაზეთო ინტერვიუები ეთნომუსიკოლოგ ნატალია ზუმბაძისა და ქორეოლოგ უჩა დვალისშვილისგან. ამის შემდეგ ექსპედიცია დაიყო ორ ჯგუფად: ერთმა პორტატული ხმის ჩამწერით, ვიდეო და ფოტოკამერებით იმუშავა ზამლეთის ხეობის სოფლებში – ნიგაზეულსა და ფურტიოში, მეორემ კი მოძრავი ხმის ჩამწერი სტუდიით, ვიდეო და ფოტოკამერებით – შუახევში.

ნიგაზეულში მოვინახულეთ სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი და მისი სახელობის მუზეუმი. აქვე ჩავწერეთ სოფლის ჯგუფ „თერთმეტი ძმის“ (ლიდერი – ნუგზარ ხიმშიაშვილი) მიერ შესრულებული სიმღერები: „ნადური“, „გოგოვ, გოგოვ, შავთვალა“, „ქალო ნარინჯთმინანო“, „იმავე მთაზედა“, საკრავებით თანხლებული „სიმღერა დედაზე“ და „შატილის ასულო“. ჯგუფის წევრებმა აკორდეონსა და დოლზე დაუკრეს საცეკვაოებიც – „განდაგანა“ და „ხორუმი“.

სკოლის მოსწავლე გოგონათა ჯგუფისგან, რომელსაც ასევე „თერთმეტი ძმა“ ჰქვია და შუშანა ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობს, დავაფიქსირეთ ფანდურით თანხლებული „სიმღერა ნიგაზეულზე“ და „სიმღერა აჭარაზე“.

ფურტიოში ექსპედიციამ ჩანერა: არონ დიასამიძე, ზაზა ხილაძე, აკაკი მჭავანაძე, შუშანა მიქელაძე და შუშანა მახარაძე. არონ დიასამიძემ შეასრულა: ჭიბონზე – „ძველებური განდაგანა“, „მუჰამედ ართმელაძის განდაგანა“, „ხორუმი“, „კეკელა და მარო“, „რაჭული მესტვირული ჰანგი“; ფანდურზე – „განდაგანა“; ფანდურის თანხლებით – „საქართველო დედამინის ყვავილნარია“, „სიმღერა დედაზე“; აკორდეონით – „ბინდისფერია სოფელი“ და „ელია, გოგო, ელია“.

შუშანა მიქელაძისგან დაფიქსირდა ბავშვის დასაძინებელი და ქალთა ნადბი სათქმელი ჰანგები, ასევე – ცნობები „ლაზარის“ შესახებ; მისმა შვილთაშვილმა, ხუთი წლის ნინი მიქელაძემ იცეკვა „განდაგანა“.

შუშანა მახარაძისგან ჩავნერეთ ცნობები ქორწილთან, „ლაზარისთან“, ბატონებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესახებ და ძროხის მოსაფერებელი ჰანგი.

ამავე დღეს შუახვევში ხმის ჩამწერი სტუდიით და ვიდეოკამერით დაფიქსირდა კულტურის ცენტრის ანსამბლები (ხალხური სიმღერის, ცეკვის, საკრავიერი): „ნაღ“, „უჩამბა“, „იმედი“, „ხინკალა“, „ფესვები“, „ზე-კართან“; ასევე – ინდივიდუალური შემსრულებელი როლანდ ივანაძე.

••• 27 აპრილი

საექსპედიციო მუშაობის ბოლო დღეს მოძრავმა ხმის ჩამწერმა სტუდიამ შუახვევში დააფიქსირა კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ანსამბლები: „ჭვანა“, „მარეთი“, „შუახვევი“; ასევე, ინდივიდუალურ შემსრულებელთა (ნოდარ ქარცივაძე, ბესიკ ტარიელაძე, შალვა ფუტკარაძე) რეპერტუარი.

კომპლექსური ექსპედიციის მუშაობა გაშუქდა მედიასაშუალებებით (ტელევიზია, რადიო, პრესა) როგორც პროექტის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ.

საექსპედიციო ჩანაწერები დახარისხების შედეგად გადაეცა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის სამსახურს. ფიქსირებული მასალა სრულად ინახება შუახვევის კულტურის ცენტრშიც.

ექსპედიციაში ჩანერილი აუდიო და ვიდეომასალების დამუშავებას მოჰყვა მათი სამეცნიერო კვლევა: შედეგები გაანალიზდა და შეჯამდა ჩემს მოხსენებაში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის XI საერთაშორისო ფესტივალის სამეცნიერო კონფერენციაზე (2016 წლის 5 ნოემბერი, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი იყო ექსპედიციის შედეგების წარდგენა შუახვევის კულტურის ცენტრში მუნიციპალიტეტის

ფოლკლორული ანსამბლების წინაშე (6 ნოემბერი). კულტურის ცენტრის დირექტორის, ვახტანგ ბერიძის ინიციატივით ჩატარებულმა ამ შეხვედრამ, რომელსაც ხსენებული ფესტივალისა და სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე უცხოელი შემსრულებლები და მეცნიერებიც ესწრებოდნენ, საშუალება მომცა, ექსპედიციაში ჩანერილ სამუსიკო რეპერტუარსა და მის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე პირადად შემსრულებლებთან მესაუბრა. მოგვიანებით, 2017 წლის 17 მარტს ექსპედიციის სამუსიკო-ფოლკლორისტული მუშაობის შედეგები დანვრილებით ნარვუდგინე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლებს.

შუახვევის მუნიციპალიტეტი დღევანდელ საქართველოში აშკარად გამორჩეულია ხალხური მუსიკის შემსრულებლობით. ამას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სწორი მიმართულება და ორიენტირები, რომლებიც ხსენებულ ცენტრში მოქმედებს (ვგულისხმობ როგორც ტრადიციულ რეპერტუარს, ისე – მის ტრადიციულ შესრულებას). შუახვევის მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება იმ იშვიათ გამონაკლისებს, სადაც ფოლკლორი – ქართველი ხალხის ეროვნული საგანძური – განსაკუთრებული მზრუნველობის საგანია; სადაც პირადად კულტურის ცენტრის დირექტორი და მთელი გამგეობა გვერდში უდგანან ფოლკლორის დარგების სპეციალისტთა სწორ მუშაობას და შედეგიც სახეზეა. რომ არა მათი მხარდაჭერა, კულტურის ცენტრს ვერ ეყოლებოდა ამდენი და ასეთი წარმატებული ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც ტრადიციული რეპერტუარის ძველ საექსპედიციო ჩანაწერებში თუ მოხუცთაგან მოძიებით და შესწავლა-გაცოცხლებით არის დაკავებული; ყურადღება ვერ მიექცეოდათ სხვადასხვა ხეობის მკვიდრ ტრადიციის მატარებლებს.

დღევანდელი სოფლური ყოფა ფოლკლორის საარსებო ძველი გარემოსგან ძირფესვიანად განსხვავდება. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საოჯახო ტრადიციას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ღვთის წყალობით, ამ მხრივ შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფლებში არცთუ ისე ურიგოდაა საქმე. ამის თქმის საფუძველს მაძლევენ დედა და შვილები ფატი თაფლაძე და ავთანდილ და ბადრი დარჩიძეები მახალაკიძეებიდან, დედ-მამა და შვილი უმიან, დავით და მერაბ მჭავანაძეები ცხემლისიდან, მამა და შვილები გივი, ავთანდილ და ტარიელ ბოლქვაძეები ხაბელაშვილებიდან, დიდედა და შვილთაშვილი შუშანა და ნინი მიქელაძეები ფურტიოდან და სხვ.

ინდივიდუალურ შემსრულებელთაგან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო: ნოდარ ქარცივაძე ზემო ხევიდან (ფანდური), გივი ბოლქვაძე (ჩონგური, ფანდური) და ავთანდილ ბოლქვაძე (ჭიბონი) ხაბელაშვილებიდან, როლანდ ივანაძე ჯაბნიძეებიდან (აკორდეონი), არონ დიასამიძე ფურტიოდან (ჭიბონი), იამზე ტაკიძე ჟანივრიდან, შუშანა მიქელაძე ფურტიოდან, ბესიკ ტარიელაძე ბარათაულიდან (ჩონგური) და სხვ.

ექსპედიციაში ჩანერილი მასალების შესწავლამ წარმოაჩინა ხალხური მუსიკის შემსრულებლობის აქტუალური საკითხები. მათგან, პირველ რიგში, შევეხები საშემსრულებლო რეპერტუარს და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ტრადიციული რეპერტუარი

სასიმღერო

შუახვევლთა შემოქმედებაში ტრადიციულ რეპერტუარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სასიმღერო ჟანრებიდან ტრადიციულ რეპერტუარს უნდა მივაკუთვნოთ ჩვენ მიერ ფიქსირებული: „აბადელა“, „აბადელი, ოვდელია“, „ევრი მასპინძელსა“, „მაყრული“/„(ვ)ორირა“, „ვოსა“/„ვოსა“, „ნანა“, „ტირილი“, „ნაა“, „ნაა-ნაა“, „ვინ მოგიტანა“, „ხერტალმა ხელი დამგალა“, „ხორუმის სიმღერა“, „შაირები“/„ჰიდადნანო“ (მარეთის ხეობა); „აბადელი“, „ევრი“, „ვოსა“/„ვოსა“, „ნადური“, „რერო“/„ხინკალა“, „ჯაშის ქალო, მარიკელა“, „ყარანაი“, „თოფია ქათამაძის სიმღერა“, „ატლატიტა“, „განდაგანა“, „თარნანინა“/„აჭარული შაირები“/„შაირები“, „ნანა“, ძროხის მოსაფერებელი, „ლაზარია მოადგა კარსა“ (ჭვანის ხეობა); „ნადური“, „განდაგანა“, ქალთა ნადში სათქმელი და ბავშვის დასაძინებელი ჰანგები, „ლაზარია“ (ზამლეთის ხეობა).

საკრავიერი

უხვად დავაფიქსირეთ ტრადიციული საკრავიერი ჟანრები:

- „განდაგანას“ მელოდიები, შესრულებული ჭიბონზე, ჭიბონსა და დოლზე, ჩონგურზე, ფანდურზე, აკორდეონსა და დოლზე (ჭვანის ხეობა), გარმონსა და დოლზე, აკორდეონზე, აკორდეონსა და დოლზე (მარეთის ხეობა), ჭიბონზე, აკორდეონსა და დოლზე (ზამლეთის ხეობა);
- „ხორუმის“ მელოდიები, შესრულებული ჩონგურზე, ჭიბონსა და დოლზე (ჭვანის ხეობა), დოლზე, აკორდეონზე, აკორდეონსა და დოლზე (მარეთის ხეობა), ჭიბონზე (ზამლეთის ხეობა);
- „ლეკური“ ფანდურზე (ჭვანის ხეობა), აკორდეონზე (მარეთის ხეობა);
- „შეხტომილა“ აკორდეონზე (მარეთის ხეობა);
- „შუამთური“ აკორდეონზე (მარეთის ხეობა).

გვხვდება რამდენიმე ტრადიციული სიმღერის, დასაკრავის, ან სიმღერისა და დასაკრავის ერთ კომპოზიციად გაერთიანების შემთხვევები. როგორც წესი, შემსრულებელთა თუ ანსამბლების ხელმძღვანელთა ამგვარი ინიციატივები ერთნაირად წარმატებული არ არის და შედეგს რომ ხელოვნურობისა და ეკლექტურობის იერი არ ჰქონდეს, იშვიათია.

ასეთი მცდელობა ხელოვანისგან მშობლიური ჰანგების თავისებურებათა ზედმიწევნით ფლობას, საგანგებო უნარსა და ოსტატობას მოითხოვს. ამიტომ ანსამბლების ხელმძღვანელებს მინდა ვურჩიო, ამ საქმეს სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ.

წარმატებულ თავისებურ სამნაწილიან კომპოზიციას წარმოადგენს ზემოხეველი ნოდარ ქარცივაძის მიერ შესრულებული ნიმუში, რომლის განაპირა ნაწილებიც ფანდურზე დაკრული „განდაგანა“, შუა კი ამავე საკრავით თანხლებული „ჰიდოანა“, იგივე „შაირები“. ანსამბლ „უჩამბას“ რეპერტუარში არსებული, ხელმძღვანელის მიერ შედგენილი კომპოზიციის („ნანა“) ნაწილებს ბავშვთან დაკავშირებული მხატვრული სამყარო აერთიანებს. ორნაწილიანი კომპოზიციის შექმნის ნაკლებად წარმატებული მცდელობაა ანსამბლ „მარეთის“ „ხორუმი“.

ტრადიციული საკრავები და საკრავთა ანსამბლები

ცნობილია, რომ საკრავიერი მუსიკის ხვედრითი წილი აჭარულ ფოლკლორში მეტად დიდია. საკრავს შუახვევლთა რეპერტუარშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი ახლავს სიმღერასაც, თუმცა განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება საცეკვაოების დასაკრავად.

შუახვევის ექსპედიციაში დავაფიქსირეთ ყველა ადგილობრივი საკრავი – ჭიბონიც, ჩონგურიცა და დოლიც, თუმცა მათი გავრცელების არეალი ერთნაირი არ არის. ამ მხრივ ყველაზე მდიდარი ჭვანის ხეობაა, სადაც სამივე საკრავი შეგვხვდა. მარეთში ჩონგური და დოლი ჩავწერეთ, ზამლეთში კი – ჭიბონი და დოლი.

ადგილობრივი საკრავები სიმღერის თანხლებად იშვიათად გამოიყენება. ამისი ნიმუშებია ანსამბლ „ჭვანას“ „ატლატიტა“ (ჭიბონით და დოლით), ანსამბლ „მარეთის“ „შაირები“ (ჩონგურით), ანსამბლ „შუახვევის“ „ჰიდოანანო“ (ჩონგურით). ტრადიციული ანსამბლები დავაფიქსირეთ მარეთის ხეობაში ჩონგურისა და დოლის, ჭვანის ხეობაში კი ჭიბონისა და დოლის შემადგენლობით.

რეპერტუარის დღევანდელი თავისებურებები

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, შუახვევლთა რეპერტუარში დღესაც საკმაო ადგილი უჭირავს ავტორთა სიმღერებს, განსაკუთრებით, საბჭოთა პერიოდისა. ასეთი ნიმუშები ჩავნერეთ როგორც ჭვანის, ისე მარეთისა და ზამლეთის ხეობებში; ყველაზე დიდი ოდენობით – პირველში. მსგავსი სიმღერები თემატურად, ჩვეულებრივ, ეძღვნება საკუთარ სოფელს, ქალაქს, კუთხეს ან სამშობლოს; გაცილებით იშვიათია სიყვარულის თემა. ჩვენ მიერ ფიქსირებული ამგვარი ნიმუშებია: „ჩემო სოფელო, მზიანო“, „თვალეები რომ მომანათე“, „დილა ნისლის მანდილს ლამბავს“, „სიმღერა ბათუმზე“, „სიმღერა ნაღვარეზე“, „სიმღერა ჭვანაზე“, „სიმღერა აჭარაზე“, „ქალო ნარინჯთმიანო“ (ჭვანის ხეობა); „შაირები“, „მე შენთვის ვწერდი ლამაზ სტრიქონებს“ (მარეთის ხეობა); „ქალო ნარინჯთმიანო“, „სიმღერა აჭარაზე“, „საქართველო დედამიწის ყვავილნარია“ (ზამლეთის ხეობა) და სხვ.

თვალშისაცემია შუახვევლთა მიდრეკილება აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეების ტრადიციული ჰანგების ან მათ საფუძველზე შექმნილი საავტორო ნიმუშების შესრულებისადმი. საყურადღებოა ისიც, რომ ეს ჰანგები იმღერება განსხვავებული, აჭარასთან დაკავშირებული ვერბალური ტექსტებით. ამ ტიპის სიმღერების სიმრავლით განსაკუთრებით ჭვანის ხეობა გამოირჩევა. მათ რიცხვს მიეკუთვნება: „სიმღერა ინკირვეთზე“ (ფანდურით) – იგივე „თუ ასე ტურფა იყავი“; „სიმღერა სამშობლოზე“ (ფანდურით) – იგივე „შიოლა ღუღუშაური“; „ნისქვილის ქვაზე შემოჯდა“ – იგივე „ჩემო ნამგალო, რკინაო“. „თუ ასე ტურფა იყავის“ ჰგავს ჰანგით, ასევე, მარეთის ხეობაში ფიქსირებული სიმღერა „ქალო, გიხდება ქამარი“. აღმოსავლეთ საქართველოს მთისავე ჰანგს ეფუძნება ზამლეთის ხეობაში ჩანერილი „სიმღერა ნიგაზეულზე“ (ფანდურით).

გაცილებით იშვიათად გვხვდება სიმღერები აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კუთხეების, კერძოდ, ქართლ-კახურის, მონათესავე ჰანგებზე. ასეთია, მაგალითად, მარეთის ხეობის სოფელ კვირიაულში ჩანერილი, ფანდურით თანხლებული „თარღარალო“, რომელიც ჰგავს სიმღერას „ნეტავი, გოგო, მე და შენ“. კახურ საცეკვაოს უახლოვდება შუახვევში ფანდურზე დაკრული ჰანგები – „შემოსარები“ (რომლითაც, შემსრულებლის თქმით, „კეკელა და მაროს“ მღეროდნენ) და „ძველებური ლეკური“. ჭვანის ხეობის სოფელ ზემო ხევში ფიქსირებულ სიმღერაში „შენი ლამაზი მიდამო“ შერწყმულია აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის და საბჭოთა პერიოდის ჰანგებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. იგი თავისებური ნაზავია თუშური და კახური ჰანგებისა – სასიმღერო მელოდია ეფუძნება „რა ლამაზია თუშეთის“ ჰანგს, ფანდურის რიტმი კახური სიმღერა-დასაკრავებისაა, ხოლო თემატიკა – ტიპური საბჭოთა პერიოდის სიმღერისა. ამ უკანასკნელს მოცემული ნიმუში ენათესავება თავისი დასასრულითაც, რომელშიც შემსრულებელი კილოს მოსალოდნელი I საფეხურის ნაცვლად V-ს იღებს.

მართალია, ნაკლებად, მაგრამ შუახვევლთა რეპერტუარში საქართველოს სხვა კუთხეების ჰანგები თავისი სახელებითაც გვხვდება. ამისი მაგალითებია ზამლეთის ხეობაში ჩანერილი სიმღერები – „გოგოვ, გოგოვ, შავთვალა“ (იგი მარეთის ხეობაშიც გვიმღერეს), „იმავე მთაზედა“, „შატილის ასულო“, დასაკრავები – „კეკელა და მარო“ (იგივე ჰანგი შუახვევშიც დაგვიკრეს) და „რაჭული მესტვირული ჰანგი“; ჭვანის ხეობაში ფიქსირებული ქართლ-კახური „იავნანა“, „მეგრული მელოდიები“ და „აღმოსავლურქართული მელოდიები“ (ასეთივე ნიმუში შუახვევშიც ჩავნერეთ).

მეგრულთან და რაჭულთან კავშირი

ბევრად იშვიათია დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ჰანგებზე დაფუძნებული სიმღერები.

ჭვანის ხეობაში ფიქსირებული „ოუ, ჩელა“ ფაქტობრივად წარმოადგენს მეგრული „აშო, ჩელას“ გააჭარულების, ადგილობრივი სიმღერის ნიშან-თვისებებით აღბეჭდვის მაგალითს. რაში გამოიხატება ეს? პირველ რიგში, აჭარული ნიმუშისთვის იმ საცეკვაო ელფერის მიცემაში, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ამ კუთხის ფოლკლორისათვის. „ოუ, ჩელას“ საცეკვაო მეტრ-რიტმს ქმნის სამნილადი ზომა და მასში გამოყენებული ე. წ. რბილი სინკოპები.

რაჭულთან კავშირი იკვეთება მარეთის ხეობაში ჩანერილი, ჩონგურით თანხლებულ სატრფიალოში („ქალო, ეშხით სანაქებო“). ამ სიმღერის ორივე მთქმელის პარტია ტიპური რაჭული მესტვირული ჰანგია.

რუსულ სიმღერასთან კავშირი

ექსპედიციაში მოპოვებული მასალებიდან რამდენიმე ნიმუში რუსული ხალხური მუსიკის ნიშან-თვისებებთან კავშირიც იგრძნობა. ესენია: მარეთის ხეობის სოფელ მანყვალთაში ჩანერილი სიმღერები – „ოვრაიდა, სივორაიდა“ (რომელიც უფრო ქალაქურ ტრადიციულ სიმღერას წააგავს) და სოფელ გოგინაურში ჩანერილი „შაირები“ („ღარბა ღელეს ხარი ვდენე“ ჩონგურით და დოლით, რომელშიც რუსულთან კავშირი მისამღერის ჰანგში ჩანს); შუახვევში ფიქსირებული საკრავიერი ჰანგები – აკორდეონზე დაკრული „ხორუმი“ (რომელშიც რუსულთან კავშირი ვლინდება მელოდიკაში – ხუთნილად მეტრზე დაფუძნებულ ამ საცეკვაოს რუსული ჰანგი აქვს) და ფანდურზე დაკრული „რუსული ცეკვა“ (რომლის მელოდიაც, თავიდან ბალალაიკის მიბაძვა, შემდეგ რიტმული მხარის წყალობით „ქართულდება“). რაც შეეხება მარეთის ხეობის სოფელ კვირიაულში ფიქსირებულ „რუსულ შაირებს“ (ბალალაიკით), იგი ქართველი შემსრულებლის მიერ რუსული ნიმუშის ათვისების მაგალითია.

არაადგილობრივი საკრავები

ფანდური

ის ფაქტი, რომ ადგილობრივი საკრავებით მდიდარ აჭარაში მეტად პოპულარულია აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებისთვის დამახასიათებელი ფანდური, ბუნებრივად ბადებს კითხვას, თუ რა დანიშნულება აქვს შუახვევლთა რეპერტუარში ამ საკრავს და რომელ ადგილობრივ საკრავს ენაცვლება იგი. მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ:

- ფანდური გავრცელებულია, როგორც ადგილობრივი, აჭარული სიმღერების თანმხლები და ასეთივე საცეკვაო ჰანგების შემსრულებელი საკრავი. ჭვანის ხეობაში ფანდურის თანხლებით ჩავნერეთ: „თოფია ქათამაძის სიმღერა“ და „ატლატიტა“, ამავე საკრავზე დაგვიკრეს „განდაგანა“. ერთეულ შემთხვევებში მაღალმხატვრული და სრულყოფილი შესრულებით გამორჩეულ, ფანდურზე დაკრულ თუ ამ საკრავით თანხლებულ აჭარულ საცეკვაო და სასიმღერო ჰანგებს ადგილობრივ საკრავებზე შესრულებულის და მათი თანხლებით ნამღერის მეტოქეობაც შეუძლია. ამას ადასტურებს სოფელ ზემო ხევში ფიქსირებული საცეკვაოები („ძველებური განდაგანა“, „ძველებური ხორუმი“, „შემოსარები“, „ძველებური ლეკური“) ფანდურზე; ასევე – „განდაგანა შაირებით“ ფანდურის თანხლებით.
- ფანდური აღმოსავლეთ საქართველოს (განსაკუთრებით, მთის კუთხეების) ტრადიციული ან მათ საფუძველზე შექმნილი ავტორთა სიმღერების თანმხლები ან სოლოდ შემსრულებელი საკრავიცაა. ამისი მაგალითებია ჭვანის ხეობის სოფელ ხაბელაშვილებში ფიქსირებული, ფანდურით თანხლებული „სიმღერა ინკირვეთზე“, „სიმღერა სამშობლოზე“, „შენი ლამაზი მიდამო“ და ფანდურზე დაკრული „აღმოსავლურქართული მელოდიები“; ასევე – მარეთის ხეობის სოფელ კვირიაულში ჩანერილი „თარღარალო“ ფანდურით.
- ფანდური ახლავს საბჭოთა პერიოდის ავტორთა სიმღერებსაც. ასეთი ნიმუშებია ჭვანის ხეობის სოფელ ზემო ხევში ფიქსირებული „სიმღერა ჭვანაზე“ და „შენი ლამაზი მიდამო“ (ეს სიმღერა სოფელ ხაბელაშვილებშიც ჩავნერეთ).

ფანდურის ამგვარი ფართო გავრცელება იმაზე მიუთითებს, რომ შუახვევლთა ყოფაში მან ადგილობრივი საკრავი ჩანაცვლა. ცალკე კვლევის საგანია, თუ რამ განაპირობა ეს ჩანაცვლება. შესაძლებელია, ამას, ჩონგურსა და ჭიბონთან შედარებით, ფანდურის სიმარტივემ და მისმა ხელმისაწვდომობამაც შეუწყო ხელი.

ბალალაიკა

არაადგილობრივი სიმებიანი საკრავებიდან შუახევის მკვიდრთა რეპერტუარში აღმოსავლურქართული ფანდურის გარდა დავაფიქსირეთ არაქართული ბალალაიკაც, მაგრამ მხოლოდ ერთგან, მარეთის ხეობის სოფელ კვირიაულში, სადაც მისი თანხლებით დაამღერეს ერთი სტროფი „რუსული შაირებისა“. შემსრულებლის თქმით, იგი ამ საკრავზე უკრავდა ყაზახეთში, საიდანაც 1952 წელს ჩამოუტანია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არაქართული ნიმუშის ტრადიციულ შესრულებასთან.

გარმონი/აკორდეონი

არაქართულ საკრავებს შორის შუახევის საექსპედიციო მასალებში გარმონი/აკორდეონი გვხვდება, თანაც – არცთუ იშვიათად. ეს საკრავი ჭიბონის შემცვლელად არის მიჩნეული. განსაკუთრებით ხშირია მასზე დაკრული საცეკვაოები, თუმცა გამოიყენება სიმღერის (მათ შორის, ტრადიციულის) თანხლებადაც. გარმონი/აკორდეონი ჩვენში უფრო ფართოდ აღმოსავლეთ საქართველოში, მთის კუთხეებში გამოიყენება (თუშეთში უკვე ტრადიციულ საკრავადაც იქცა). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გარმონის/აკორდეონის გავრცელება ბოლო დრომდე მისი რუსეთიდან შემოსვლით აიხსნებოდა (ჩრდილოკავკასიის გზით), აჭარაში კი ამ საკრავის ფუნქციონირებისთვის ხელი შეიძლებოდა შეენწყოთ საბჭოთა პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ რუსეთის საგუმაგოებს იქ მომსახურე რუსი სამხედროებით. თავისი ტრადიციული კულტურის მატარებელი რუსი სამხედროები, ცხადია, სამუშაოსგან თავისუფალ დროს კიდევ უკრავდნენ და მღეროდნენ (ამგვარი ფაქტები ექსპედიციაშიც დაგვიმონმეს), ეს კი ადგილობრივ მკვიდრთა ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა – მათ ხომ ერთიმეორესთან ურთიერთობაც უნევდათ. აჭარულ-რუსული სამუსიკო ურთიერთობების კვალი ზოგი აჭარული სიმღერის მუსიკალურ თავისებურებებშიც ჩანს. ურთიერთობა ყოველთვის ურთიერთგავლენას გულისხმობს და არც ის არის გამორიცხული, რომ, თავის მხრივ, რუს სამხედროებსაც შეეთვისებინათ ქართული ხალხური მუსიკის გარკვეული ნიმუშ-თვისებები ან მისი კონკრეტული ნიმუშები. ეს საინტერესო საკითხი მკვლევარს მომავალში ელის.

არატრადიციული ანსამბლები

შუახვევლთა შემსრულებლობისთვის საკრავთა არატრადიციული ანსამბლებიც არ არის უცხო. ასეთებია ანსამბლები, რომლებიც არ აერთიანებს სხვადასხვა ჯგუფის ორ ადგილობრივ საკრავს. რომელი საკრავები შედის არატრადიციულ ანსამბლებში? მარეთის ხეობაში დავაფიქსირეთ ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებული იყო ჩონგური, დოლი და აკორდეონი; ფანდური და აკორდეონი, აკორდეონი და დოლი (უკანასკნელი შემადგენლობა ზამლეთის ხეობაშიც შეგვხვდა).

რა შემთხვევაში გამოიყენება ამგვარი ანსამბლები? როგორც ირკვევა, ტრადიციული სასიმღერო ჟანრის, „შაირების“ თანხლებადაც (ამისი ნიმუშებია მარეთის ხეობის სოფელ გოგინაურში ჩანერილი „შაირები“) და ავტორისეული სიმღერის თანხლებადაც (ასეთია ზამლეთის ხეობის სოფელ ნიგაზეულში ფიქსირებული „მატილის ასულო“).

ზემოთ განხილულთან ერთად შუახვევლთა შემსრულებლობაში საყურადღებოა სხვა საკითხებიც: ორპირული სიმღერის ცალპირულად თქმა, უსაკრავო ნიმუშის საკრავით (მათ შორის, არატრადიციულით) შესრულება, ერთ ან ორხმიანი სიმღერის გასამხმიანება, დამწყების ჰანგისა და მაღალი ხმის უნისონში მღერა და ამის გამო სამხმიანი სიმღერის (ან მისი რაიმე ნაწილის) გაორხმიანება, სიმღერაში აჭარულისთვის არადამახასიათებელი აკორდეების გამოყენება, ხალხური სიმღერის დინამიკური ნიუანსებით შესრულება. ისინი შემსრულებლობაში მიმდინარე ცვლილებებს ასახავს და სხვადასხვა მიზეზით აიხსენება. მაგალითად, ორპირული სიმღერის ცალპირულად თქმას, ძირითადად, შემსრულებელთა საჭიროზე ნაკლები რაოდენობა იწვევს, სხვა ცვლილებების წყარო კი ხშირად ანსამბლის/ჯგუფის ხელმძღვანელი/ლიდერი და მისი ესთეტიკური შეხედულებებია.

ბუნებრივია, გამოცემაზე მუშაობისას დადგა საკითხი, თუ რა კრიტერიუმი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი ჩვენ მიერ ფიქსირებული აუდიო და ვიდეომასალების შერჩევისას – ნიმუშის აჭარული წარმოშობა, ტრადიციული შესრულება, მაღალმხატვრულობა და ესთეტიკური ღირებულება, ჩანაწერის სისუფთავე, კარგად გადაღებული კადრი თუ კიდევ სხვა რამ?

თავისთავად ცხადია, რომ ექსპედიციაში ჩანერილი მასალა არ არის ერთგვაროვანი: გასაგები მიზეზების გამო, ხმის ჩამწერი სტუდიით ფიქსირებული ნიმუშები ჩანერის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ამან განაპირობა ხსენებული მასალის სიჭარბე გამოცემაში – მასში შესულია უმეტესი ნაწილი ფოლკლორული ანსამბლების („ნაა“, „უჩამბა“, „იმედი“, „ჭვანა“, „მარეთი“, „შუახვევი“) თუ ინდივიდუალური შემსრულებლებისგან (როლანდ ივანაძე, ნოდარ ქარცივაძე, ბესიკ ტარიელაძე) ჩანერილი

სიმღერა-დასაკრავებისა. რაც შეეხება პორტატული ხმის ჩამწერით ფიქსირებულ აუდიონიმუშებს და ვიდეონიმუშებს, მათ ტექნიკური ხარვეზებიც ახლავს ღია სივრცეში ჩანერა-გადაღებისა და სხვა მიზეზთა გამო, თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს ხარვეზები გადანონა თავად ნიმუშის საჭიროებამ (ან ნაკლებად ცნობილია, ან უცნობი ვარიანტია, ან დღემდე გამოუქვეყნებელია, ბოლოსდაბოლოს – შუახვევლთა რეპერტუარში გავრცელებულ-დამკვიდრებულია). რაც მთავარია, ზემოთ ხსენებულ საკითხს პასუხი გასცა თავად გამოცემის სპეციფიკამ, რომელიც მიზნად ისახავს არა მარტო ადგილობრივი, ტრადიციულად შესრულებული რეპერტუარის წარმოჩენას, არამედ შუახვევის მუნიციპალიტეტში ხალხური მუსიკის დღევანდელი მდგომარეობის რეალურად ასახვას. სწორედ ამიტომ გამოცემაში შევიტანეთ არააჭარული და არატრადიციულად შესრულებული ნიმუშებიც, რადგან ეს არის ის, რასაც და როგორც დღეს შუახვევლები მღერიან და უკრავენ.

გამოცემის ამგვარი სპეციფიკის გამო მასში წარმოდგენილი ყველა ჩანაწერი ვერ გამოდგება საუკეთესო წყაროდ მისი შესწავლისათვის. ტრადიციული აჭარული სასიმღერო და საკრავიერი რეპერტუარით და მისი შესრულებით სანიმუშოა შუახვევის კულტურის ცენტრის ანსამბლები, განსაკუთრებით, „ჭვანა“ (ხელმძღვანელი – ლოლიტა სურმანიძე) და „შუახვევი“ (ხელმძღვანელები – ლოლიტა სურმანიძე, მიხეილ ზოიძე). მათი რეპერტუარი შედგება იმ ძირძველი ადგილობრივი ნიმუშებისგან, რომლებიც გამოცემულ თუ საარქივო საექსპედიციო ჩანაწერებშია წარმოდგენილ-დაცული, ამ რეპერტუარის შესრულება კი ტრადიციული შემსრულებლობის კანონზომიერებებს ეფუძნება.

ამრიგად, ერთი ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალებიც ცხადყოფს, რომ შუახვევლ აჭარელთა ხალხური მუსიკა და მისი შემსრულებლობა საგანგებო შესწავლას იმსახურებს. შემსრულებლობის აქტუალური საკითხების კვლევა სასიკეთოდ წაადგება და პრაქტიკულად დაეხმარება მუნიციპალიტეტში მოქმედ ფოლკლორულ ანსამბლებს. ვიმედოვნებ, აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და შუახვევის კულტურის ცენტრს შორის მომავალშიც გაგრძელდება და ნაყოფიერ შედეგებს გამოიღებს.



ოლადაური. ადგილობრივი მკვიდრის გარდაცვალებიდან 52-ე დღეს გამართული წესი



მანყვალთა. ტარიელ მაკარაძის ჩანერა-გადაღების პროცესი



მანყვალთა. რუსუდან მაკარაძის ჩანერა-გადაღების პროცესი



ცხემლისი. ჩანერა-გადაღების პროცესი დავით მუჯვანაძის სახლში



ცხემლისი. შემსრულებლები და ექსპედიციის წევრები დავით მუავანაძის ეზოში



საბელაშვილები. შემსრულებლები და ექსპედიციის წევრები





გოგინაური. ანსამბლი „იმედი“ და ექსპედიციის წევრები



ნაღვარევი. შემსრულებლები და ექსპედიციის წევრები



კვირიაული. დავით თავდგირიძის ჩანერა-გადაღების პროცესი



კვირიაული. როლანდ ივანაძის ჩანერა-გადაღების პროცესი



ნაბლანა. შემსრულებლები და ექსპედიციის წევრები



ნაბლანა. მთქმელები და ექსპედიციის წევრები



ტაკიძეები. შემსრულებლები და ექსპედიციის წევრები



შუახვევის კულტურის ცენტრი. ინტერვიუ ექსპედიციის წევრებთან



ნიგაზეული. ჯგუფი „თერთმეტი ძმა“ და ექსპედიციის წევრები



ფურტიო. შემსრულებლები და ექსპედიციის წევრები შუშანა მიქელაძის ეზოში



შუახვევი. ანსამბლი „იმედი“ ჩანერისას



შუახვევი. ანსამბლი „ნაი“ ჩანერისას



შუახვევი. ანსამბლი „ურამბა“ ჩანერისას



შუახვევი. ანსამბლი „ჭვანა“ ჩანერისას



შუახვეი. ანსამბლი „მარეთი“ ჩანერისას



შუახვეი. ანსამბლი „შუახვეი“ ჩანერისას






შუახვევი. ბესიკ ტარიელაძე ჩანერისას



შუახვევი. ნოდარ ქარცივაძე ჩანერისას



ქობულეთის რაიონი



უჩა დვალიშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და შუახევის კულტურის ცენტრის ერთობლივი ექსპედიცია 2016 წლის 19-27 აპრილს ჩატარდა. ხელმძღვანელი ეთნომუსიკოლოგი ნატალია ზუმბაძე. წევრები: ქორეოგრაფი და ქორეოლოგი უჩა დვალიშვილი; ეთნომუსიკოლოგი თეონა რუხაძე, ოპერა – ტორი ნიკოლოზ გოგაშვილი; მძღოლი ნუკრი ირემაშვილი. მეგზურები: შუა – ხევის კულტურის ცენტრის დირექტორი ვახტანგ ბერიძე, ეთნომუსიკოლოგი ლოლიტა სურმანიძე, არქივის სპეციალისტი რევაზ ფევაძე.

ექსპედიციამ იმუშავა ქალაქ შუახევისა და შუახევის მუნიციპალიტეტის ცამეტ სოფელში – ფოლკლორული ნიმუშების მოძიების, დაფიქსირების, შესწავლის, ინვენტარიზაციის, დამუშავების და გამოსაცემად მომზადების მიზნით.

••• 20 აპრილი

შუახევის მუნიციპალიტეტის მარეთის ხეობის სამი სოფელი: ოლადაური, მანყვალთა, მახალაკიძეები.

დავაფიქსირეთ ცეკვები: *განდაგანა*, *ხორუმის სიმღერა*, *სიმღერა ვოსა*, *ნაღ-ნაღ*.

ოლადაური

დავათვალიერეთ სოფელ ოლადაურის ეთნოგრაფიული მუზეუმი, გავეცანით სოფლის ისტორიას, არქეოლოგიურ მასალებს, გამოყენებითი ხელოვნების საინტერესო ნიმუშებს, გადავიღეთ მნიშვნელოვანი ფოტო – მასალა, ვიდეო და აუდიოფირზე დავაფიქსირეთ ცეკვა *განდაგანა* და *ხორუმის სიმღერა*.

სასაფლაოზე დავესწარიტ ოლადაურის მკვიდრის გარდაცვალებიდან 52-ე დღეზე გასამართ წესს. ჩავინერეთ და დავაფიქსირეთ შვილის მიერ მშობლის (მამის) დატირება.

სოფელი მანყვალთა

ტარიელ მაკარაძე (81 წლის) – სიმღერა ნაჲ – ცეკვით.

ტარიელ მაკარაძე – ხორუმის სიმღერა. მერაბ ზოიძე (47 წლის) – აკორდეონი, ვახტანგ ზოიძე (42 წლის) – დოლი.

განდაგანა – ტარიელ მაკარაძე, ლევან ფუტყარაძე (79 წლის), შოთა ფუტყარაძე (76 წლის). მერაბ ზოიძე – აკორდეონი, ვახტანგ ზოიძე – დოლი.

სოფელი მახალაპიძეები

დარჩიძეების ოჯახი: დედა-შვილ ფატი თაფლაძისა და ავთანდილ დარჩიძისაგან ჩავინერეთ ხორუმის სიმღერა, ვოსა, ნაჲ-ნაჲ.

••• 21 აპრილი

ჭვანის ხეობის სოფელები – ცხემლისი და ხაბულაშვილები.

დავაფიქსირეთ ცეკვები: შემოსარები და განდაგანას სხვადასხვა ვარიანტი.

სოფელი ცხემლისი

დავით მჭავანაძის ოჯახი: დავით მჭავანაძემ იცეკვა შემოსარები სიმღერით ოსა.

განდაგანა – ცოლ-ქმარი დავით და უმიან მჭავანაძეები.

განდაგანა – მთელი ოჯახის, – დავით მჭავანაძის (75 წლის), უმიან მჭავანაძისა (80 წლის) და მერაბ მჭავანაძის (45 წლის), – შესრულებით.

განდაგანა – გიორგი დავითაძის (ცნობილი მოცეკვავის ალი ოსმან დავითაძის შვილიშვილის) – შესრულებით.

სოფელი ხაბულაშვილები

ცეკვა განდაგანას შესრულებით გამორჩეული სოფელი.

ჩავინერეთ ცნობილი მოცეკვავის მუხამედ ართმელაძის ოჯახი: შვილი – რამაზ ართმელაძე (38 წლის) და შვილიშვილი მირზა ართმელაძე (15 წლის). მამა-შვილი მაქსიმალურად ცდილობდა მიემსგავსებინა, მიეზადა და გაემეორებინა განდაგანას უბადლო შესრულებლის მუხამედ ართმელაძის საცეკვაო სტილი და ოსტატობა. მამა-შვილი: გივი ბოლქვაძე – აკორდეონი; ავთანდილ ბოლქვაძე – დოლი.

განდაგანა – ერთი ვაჟის შესრულებით – მირზა ართმელაძემ შეასრულა ბაბუას სოლო.

შენიშვნა: შუახევში 2008 წლის ექსპედიციის დროს ვიდეოფორზე გადავიღეთ მუხამედ ართმელაძის მიერ შესრულებული სხვადასხვა ცეკვა, მათ შორის განდაგანას სოლო და ჩავინერეთ ინტერვიუ. განდაგანას ერთ-ერთი ილეთის მოძრაობის შინაარსი ლეგენდარულმა მოცეკვავემ სიმბოლურად ასე ახსნა: ვაზისადმი ზრუნვა და მოფერება, მოვლა და

ალერსი, სიყვარული და თავდადება... და ასევე გადასცა შთამომავლობას. ამიტომაც ასრულებენ და იცავენ ასე ზედმინევნით, კოლორიტული მოძრაობებით, სტილის მაქსიმალური დაცვით წინაპრის ნაანდერძებს და უნიკალურ მემკვიდრეობას.

განდაგანა – მამა-შვილი: ბადრი ბოლქვაძე – ქორეოგრაფი (54 წლის), შვილიშვილი – ბექა ბოლქვაძე (12 წლის). ტარიელ ბოლქვაძე – გარმონი, გივი ბოლქვაძე – დოლი.

განდაგანა – ზურაბ ბოლქვაძე (11 წლის). ტარიელ ბოლქვაძე – გარმონი; საბა ბოლქვაძე – დოლი.

საცეკვაო მელოდიები – განდადანა, ხორუმი და სხვ. – ჩონგურით, ფანდურითა და სალამურით გივი ბოლქვაძის (ხაბელაშვილების ფოლკლორული ჯგუფის ხელმძღვანელი) შესრულებით.

ატლანტიკა, ოუ ჩელა ცეკვით, ნადური ცეკვით.

ხაბელაშვილებში ჩავიწერეთ სოფელ ინკირვეთის ქალთა ჯგუფი ნანული ჭალაღაძის ხელმძღვანელობით. ნევრები: ნინო და თამრიკო შარაშიძეები. შეასრულეს სიმღერები ფანდურზე, საცეკვაო მელოდიები და სიმღერა ცეკვით.

••• 22 აპრილი

მარეთის ხეობა, სოფელი გოგინაური

გოგინაური

გადავიღეთ ცეკვები: ჩამოსარები და განდაგანას ვარიანტები.

ფოლკლორული ანსამბლი იმედი (ხელმძღვანელი ნოდარ გოგიტიძე). შეასრულეს სიმღერები და ჰიდაა ნანო ცეკვით.

ჩამოსარები – სიმღერა ევრი მასპინძელსა ერთად – ნოდარ გოგიტიძისა და მარინე მიქელაძის შესრულებით,

განდაგანა – სიმღერა ჰიდაა ნანოსთან ერთად – ნოდარ გოგიტიძის შესრულებით.

განდაგანა – სიმღერა ოი ნანინა, ნანა – ანსამბლ იმედის შესრულებით და ერთ-ერთი ნევრის წაცეკვებით.

განდაგანა – ნოდარ გოგიტიძის შესრულებით, დოლით და აკორდეონით: გენადი ფუტკარაძე და რაულ გოგიტიძე.

განდაგანა – ირაკლი გოგიტიძის შესრულებით, დოლით და აკორდეონით: გენადი ფუტკარაძე და რაულ გოგიტიძე.

განდაგანა – ირაკლი გოგიტიძე და ედიშერ ფუტკარაძე, დოლით და აკორდეონით: გენადი ფუტკარაძე და რაულ გოგიტიძე.

განდაგანა – სხვადასხვა მელოდია აკორდეონსა და დოლზე გენადი ფუტკარაძისა და რაულ გოგიტიძის შესრულებით.

••• 23 აპრილი

ჭვანის ხეობის სოფლები – ნაღვარევი, ხაბელაშვილები (ხელმეორედ) და ზემო ხევი.

ჩავიწერეთ ცეკვები: ნაღვარევის ხორუმი, განდაგანას ვარიანტები, ძველებური განდაგანა, შემოსარები, ძუნძუხი, ფუნდრუკი, შეხტომილაჲ, სამშალახო, ძველებური ლეკური, საცეკვაო მელოდიები.

ნაღვარევი

ნაღვარევის ხორუმი – 2008 წლის 23 აპრილს ჭვანის ხეობაში, ნაღვარევიში, დავაფიქსირეთ ცეკა ხორუმის ნაღვარევისეული ვარიანტი. შემსრულებლები: მამია კილაძე – 51 წლის; შერმანდინ ქათამაძე – 51 წლის; ზაზა ქათამაძე – 27 წლის; ნოდარ ქათამაძე – 44 წლის; ავთანდილ ბოლქვაძე (30 წლის) – დოლი.

განდაგანა – ხასან ხილაძის შესრულებით. ნოდარ ქათამაძე – ჭიბონი.

შემოსარები – სიმღერა ევრი მასპინძელსა ერთად – ხასან ხილაძის შესრულებით. მისი თქმით, ცეკვა შემოსარებს ეძახდნენ ლეკურსაც. შემოსარები, ძირითადად, სრულდებოდა ქორწილებსა და წვეულებებში, მონაწილეობდნენ ქალებიც. ძირითადი სვლები: სადა სრიალა, რთულა, მუხლურა, მუხლურა ორი ნაბიჯის დამატებით, ჭდობილი გვერდზე სვლა და სხვ. შემოსარები ქართულის ხელისა და ფეხის მოძრაობათა თავისებური კუთხური დიალექტია. ასევე იკვეთება მთიულური ცეკვის ზოგიერთი ილეთი.

შემოსარები – ხასან ხილაძისა და ირინა მოსიძე-ხილაძის შესრულებით. ნოდარ ქათამაძე – ჭიბონი.

საცეკვაო ჰანგები – ჭიბონითა და დოლით (ხორუმი, განდაგანა, შემოსარები). ნოდარ ქათამაძე – ჭიბონი, ავთანდილ ბოლქვაძე – დოლი.

ხაბელაშვილები:

ძუნძუხი – სულიკო ბერიძე (67 წლის). გივი ბოლქვაძე (58 წლის) – აკორდეონი, ტარიელ ბოლქვაძე (32 წლის) – დოლი.

ზემო ხევი

შესრულდა ცეკვები: განდაგანა, ფუნდრუკი, შეხტომილაჲ, სამშალახო, ძველებური ლეკური, ძველებური განდაგანა, ატლატიტაჲ.

დავით ბერიძისაგან, ნოდარ ქარცივაძისა და თამრიკო მჭავანაძისაგან (თამრიკომ იცეკვა ნოდარ ქარცივაძესთან ერთად) ჩავიწერეთ საცეკვაო მელოდიები (ზოგიერთი ფანდურითა და გარმონით).

••• 24 აპრილი

მარეთის ხეობის სოფლები – კვირიაული და ნაბლანა.

დავაფიქსირეთ ცეკვები: *განდაგანა, ჯახ(ყ)ტანანა, ხორუმი, შემოსარები, შუამთური*, აჭარული საცეკვაო მელოდიები გარმონით, დოლითა და ბალალაიკით.

კვირიაული

უჩამბის თემის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ჯგუფი *უჩამბა* – ხელმძღვანელი როლანდ ივანაძე (73 წლის). წევრები: ნანული გოგიტიძე (54 წლის), მარინე ფევაძე (38 წლის), შოთა ლემსაძე (66 წლის), მერაბ ბერიძე (31 წლის), ომარ აბუსერიძე (48 წლის), შაქრო დავითაძე (60 წლის).

განდაგანა – ჯგუფი როლანდ ივანაძის ხელმძღვანელობით. აჭარული შაირების – *ნენემ კაბა შეგვიკერა* – მელოდიაზე.

განდაგანა – დავით თავდგირიძე (82 წლის) – ბალალაიკა, როლანდ ივანაძე – გარმონი.

განდაგანა – ნანული გოგიტიძე და ჯგუფი *უჩამბა*. სიმღერა *თარიანანო*.

განდაგანა – ნანული გოგიტიძე და როლანდ ივანაძე, ჯგუფი *უჩამბა*. საფერხულო სიმღერა *ნაჲ, ნაჲ, ნინაჲ ნანო* (სრულდებოდა აკვანში ბავშვის პირველად ჩანვენისას).

შემოსარები – მერაბ ბერიძე, ჯგუფი *უჩამბა*, სიმღერა *ვოისა, ვოისა, დელა*.

ჯახ(ყ)ტანანა და *ხორუმი* – დავით თავდგირიძე (82 წლის) – საცეკვაო ბალალაიკაზე.

აჭარული საცეკვაო მელოდიები. როლანდ ივანაძე – გარმონი.

ნაბლანა

განდაგანა – მიხეილ და ბუხუტი ზოიძეები, რამაზ და რეზო ბერიძეები, იაგო ჭურკვეიძე, სოფელ ნენის მკვიდრი ზურაბ ქამადაძე. ექსპედიციამ სხვა სიმღერებთან ერთად დააფიქსირა:

ჰიდაჲ ნანო – სიმღერის განსხვავებული ვერსია (გარმონით და დოლით). ცოლ-ქმარმა ბუხუტი და შუშანა ზოიძეებმა იცეკვა *განდაგანა*.

ხორუმი – ცეკვის ელემენტები მიხეილ ზოიძის შესრულებით.

შუამთური – ცეკვის ელემენტები მიხეილ ზოიძის შესრულებით.

საცეკვაო მელოდიები – *განდაგანა, შუამთური, ხორუმი* (გარმონი და დოლი).

••• 25 აპრილი

ჭვანის ხეობა, სოფელი ტაკიძეები

ცეკვები: ფადიკო, განდაგანა კოვზებით.

საცეკვაო მელოდიები: განდაგანა და ხორუმი (ჭიბონი და დოლი).

ფადიკო – გურამ და ზვიად გოგრაჭაძეები, მერაბ მჟავანაძე, ტარიელ ბოლქვაძე – გარმონი, ავთანდილ ბოლქვაძე – დოლი.

განდაგანა – ავთანდილ ბოლქვაძე – საცეკვაო მელოდიები (ჭიბონი).

განდაგანა კოვზებით – ნანული ბეჟანიძე (59 წლის): სიმღერა თარნანინა – იამზე ტაკიძე (39 წლის) – ფანდური, მაია ბერიძე (23 წლის).

განდაგანა – საცეკვაო მელოდია – ავთანდილ ბოლქვაძე (ჭიბონი).

ხორუმი – საცეკვაო მელოდია: ავთანდილ ბოლქვაძე – ჭიბონი, ტარიელ ბოლქვაძე – დოლი, ბადრი ბოლქვაძე – მოცეკვავე.

••• 26 აპრილი

ექსპედიცია გაიყო ორ ჯგუფად:

ზამლეთის ხეობა – ნიგაზეული და ფურტიო – მუსიკა.

შუახევის ცენტრი – ქორეოგრაფია.

დაფიქსირდა ცეკვები: განდაგანა და ხორუმი.

შუახევის ცენტრი

ჟურნალისტმა ოთარ ცინარიძემ გაზეთებისათვის – აჭარა და შუახევი – ნატო ზუმბაძისა და უჩა დვალისძისაგან აიღო ინტერვიუ ექსპედიციის მუშაობის შესახებ.

განდაგანა – შუახევის მუნიციპალიტეტთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ზე-კართან – ხელმძღვანელი გურამ ბერიძე.

განდაგანა – შუახევის მუნიციპალიტეტთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ფესვები – ხელმძღვანელი ბადრი დარჩიძე.

ხორუმი – შუახევის მუნიციპალიტეტთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ფესვები.

ხმის ჩამწერი სტუდიით ექსპედიციამ ჩაინერა როლანდ ივანაძის მიერ შესრულებული აჭარული საცეკვაო მელოდიები გარმოზე.

ანალიზი

შუახვევში ფოლკლორული ექსპედიციის მიერ დაფიქსირებული საცეკვაო ნიმუშებიდან მნიშვნელოვანია:

ხორუმი

ხორუმი სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს. ყოფაში *ხორუმს* დღესაც შენარჩუნებული აქვს მისთვის დამახასიათებელი წრიული ფორმა, საცეკვაო ლექსიკა (მოძრაობები – ტექნოლოგიური მასალა), მუსიკალური შინაარსი, მუსიკალური ზომა, ხალხურ საკრავებზე შესრულების ტრადიცია. დიალექტურად (ვარიანტულად) განსხვავებულია სხვადასხვა თემსა თუ სოფელში დაფიქსირებული *ხორუმი*. ასევე მნიშვნელოვანია *ხორუმის* საბრძოლო მოძრაობათა შინაარსი და მოძრაობათა სახელწოდებები – ტერმინები. *ხორუმის* ვარიანტთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ექსპედიციის მიერ დაფიქსირებული *ნაღვარევის ხორუმი*.

ნაღვარევის ხორუმი

მეჭიბნე (ასე ამოზოგენ ნაღვარევი) ნოდარ ქათამაძის თქმით, *ნაღვარევის ხორუმს*, *გადახვეული ხორუმის* ნაცვლად, *ბასმიან ხორუმს* ეძახიან. ზოგადად, *ბასმა* ომში გამარჯვების ზეიმის აღმნიშვნელია, კონკრეტულად კი მიწაზე ფეხის ერთ, ორ-სამჯერ დარტყმით შემდეგ მოძრაობაზე გადასვლის მანიშნებელი: *ერთი ბასმა, ორი ბასმა, სამი ბასმა...* საინტერესოა ნაღვარევის ხორუმის ილეთთა ელემენტები: *სანსალა* (გასმა – ფეხის გვერდზე ჩადგმით); *მაკრატელა* თავისი ვარიანტებით: *დაბალი, მაღალი, კომბინირებული... მუხლური, საიერიშო*.

ნოდარ ქათამაძე ჰყვება *ნაღვარევის ხორუმის* ისტორიას: მამამისს, მურმან ქათამაძეს, ალი ოსმან ტაკიძისაგან გადაუღია ეს ცეკვა. მას მემედ თხილაძისაგან (ძველი დამკვრელი იყო) უსწავლია ჭიბონზე ხორუმის საცეკვაო. სრულდებოდა ჭიბონისა და გარმონის აკომპანემენტით. „60-70-იან წლებში მამაჩემი, მურმან ქათამაძე, მუშაობდა სოფელ ნაღვარევი კლუბის გამგედ. 1979 – 80 წელს მამაჩემმა წაიყვანა გუნდი თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში აცეკვა და პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა“.

ნაღვარევის ხორუმის ფუნქციური, შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კუთხური პლასტიკური დიალექტით აბსოლუტურად განსხვავებულია *ხორუმის* მეორე ნაწილი არა მარტო შუახვევის, არამედ აჭარაში დაფიქსირებულ *ხორუმთა* შორის. იგი ძველისძველია და თანაც მნიშვნელოვანი ბასმის განსხვავებული ინტერპრეტაციით. მას პარალელები ეძებნება თურქეთის რესპუბლიკის ინეგოლის ჩვენებურებთან ჩვენ მიერ დაფიქსირებულ *ხორუმთან* (2015): საცეკვაო ლექსიკით, – ერთი ბასმა, ორი ბასმა, სამი ბასმა, – შესრულების სტილით და ა.შ.

შუახევის ხორუმი

ვარიანტი ანსამბლ ფესვების შესრულებით, ნაღვარევის (ბასმიანი ხორუმის), კობალთას და სხვა შუახეური ხორუმების სინთეზია, მათი საუკეთესო საცეკვაო ლექსიკის ნაზავი. ასე გადმოგვცემს შუახევის ხორუმის შექმნის ისტორიას ანსამბლის ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი ბადრი დარჩიძე. მიუხედავად ამისა, ამ ვარიანტს ნამდვილად აქვს დამოუკიდებლად არსებობის უფლება, იმდენად ჰარმონიულად და ძალდაუტანებლად შეძლო ქორეოგრაფმა ფორმისა და შინაარსის შერწყმა, სიუჟეტურ-კომპოზიციური ქარგის შენარჩუნება.

ნაბლანას ხორუმი

დაფიქსირებულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ 2008 წლის ქორეოგრაფიული ექსპედიციისას (ხელმძღვანელი ქორეოგრაფი უჩა დვალისვილი). შემსრულებლები: მიხეილ ზოიძე, ემზარ ბერიძე, როსტომ ბერიძე. გამოირჩევა შესრულების სტილით, მანერით და ხასიათით, ვარიანტულობით, მოძრაობათა სახელწოდებით, ფეხის მოძრაობათა კომპლექსითა და კომპოზიციის წრიული ფორმით: წრეზე ფერხული მოძრაობს ორივე მხარეს, განსხვავებულია ჩაკიდებული ხელების ორმაგი ქანაობა, ბასმის სახეები და ხორუმის სტრუქტურაში შემავალი მოძრაობები.

მიუხედავად განსხვავებული ვარიანტებისა, ჩვენ მიერ დაფიქსირებული ხორუმები შინაარსობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც საბრძოლო შინაარსის ცეკვა უძველესი დროიდან დღემდე ინახავს ბრძოლის სულისკვეთებას და ქართული საბრძოლო ხელოვნების ისტორიას. ხორუმის ფორმა და შინაარსი ჰარმონიზებულია და იდეალურად ერწყმის ერთმანეთს. მისი კომპოზიცია თავდაპირველი სახითაა შენარჩუნებული და თაობიდან თაობას უცვლელად გადაეცემა. ჟამთა დენაში იცვლებოდა მხოლოდ შემსრულებლები, საკრავები, მუსიკალური შინაარსი, ამა თუ იმ თემისათვის დამახასიათებელი მუსიკალური თავისებურებებით.

გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ დაფიქსირდა შუბალთის თემის სოფელ კობალთას კობალთას ხორუმი, რომელიც ხორუმთა შორის მნიშვნელოვანი და გამორჩეულია თავისი მხატვრული ღირებულებით.

სამწუხაროდ, მანყვალთაში ასევე ვერ გადავიღეთ ქალთა განდაგანას, ქალთა ხორუმისა და სხვა ცეკვების მეტად მნიშვნელოვანი ნიმუშები, რომლებიც შეავსებდა და გაამდიდრებდა ქართველ (აჭარელ) ქალთა ცეკვების ისტორიას.

განდაგანა

დაფიქსირდა აჭარულ ყოფაში არსებული ცეკვა განდაგანას სხვადასხვა ვარიანტი – თავიანთი კუთხური საცეკვაო დიალექტებით. ასევე უნიკალური მოცეკვავეები, ინდივიდუალური და ჯგუფური შემსრულებლები.

აღსანიშნავია ისიც, რომ განდაგანას ცნობილი შემსრულებლების სოლო კომპოზიციებს მომავალი თაობები – მათი შთამომავლები – აგრძელებენ. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ შესრულების მანერის, სტილისა და ხასიათის შენარჩუნებას. მაგალითად: ალი ოსმან დავითაძის სოლო პარტიას – შვილიშვილი გიორგი დავითაძე ასრულებს, რომელიც ცეკვავს შუახევის მუნიციპალიტეტის ანსამბლში – ზე-კართან. მუხამედ ართმელაძის სოლოს – შვილი და შვილიშვილი რამაზ და მირზა ართმელაძეები. რამაზ ართმელაძე ცეკვავს შუახევის მუნიციპალიტეტის ანსამბლ ფესვებში.

ანსამბლი ფესვები განდაგანას შემსრულებლობას განსაკუთრებულად და განსხვავებულად უდგება: ცეკვას ასრულებენ შუახევის მუნიციპალიტეტის ყოველი სოფლის საუკეთესო ინდივიდუალური შემსრულებლები – მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი კუთხისათვის დამახასიათებელი ქორეოგრაფიული ნიმუშების მიხედვით. ჯახ(ყ)ტანანა – ნური თავდგირიძე: ძველთაძველი ცეკვა (ჯაბნიძე სულეიმანა ასრულებდა) – თოფალი კაცი ჩაჯდებოდა და ისე ცეკვავდა; შეხტომილა – დათო მაკარაძე; თოფალოინი – მიხეილ მელიქიშვილი; ყოლსამა ზემო ხეური – ნოდარ ქარცივაძე; ყოლსამა ჭვანური – ოთარ ჭალაიძე; მუხლტეხილა – ლევან ფუტკარაძე; ქვის სროლა – ნიგაზეულური ვარიანტი (მართლაც წააგავს ქვის სროლას), მუქარას, რეზო მყავანაძე – სოლო განდაგანაში – სიხალასე, აღტაცება, აღმაფრენა, აღტკინება, აღფრთოვანება. ნოდარ დავითაძე – ასრულებს მამის, განდაგანას ცნობილი შემსრულებლის – ალი ოსმან დავითაძის სოლოს.

რამაზ ართმელაძე (მუხამედ ართმელაძის შვილი) და ნოდარ დავითაძე – დუეტში ასრულებენ მუხამედ ართმელაძის სოლო პარტიის – ომერულის (ჭკუამხიარული კაცის ცეკვის) – უფრო დინჯ ვარიანტს (ცნობა მოგვანოდა ანსამბლ ფესვების ქორეოგრაფმა ბადრი დარჩიძემ).

მუხრან დარჩიძე – ქორეოგრაფ ბადრი დარჩიძის შვილი უკრავს ჭიბონზე.

ასევე მნიშვნელოვანია ანსამბლის – ზე-კართან – მიერ შესრულებული განდაგანა. ცეკვაში დაცულია ფოლკლორული ცეკვის სასცენოდ დამუშავების პრინციპები, შენარჩუნებულია აჭარული ცეკვის თვითმყოფადი ბუნება და ეროვნული იერსახე.

შემოსარები

აჭარულ ყოფასა და საცეკვაო ფოლკლორში გავრცელებული ცეკვა. სრულდება: სიმღერით, ხალხური საკრავებით, დოლითა და გარმონით. ძირითადად აგებულია ცეკვა ქართულის საცეკვაო მოძრაობებსა (ფიქსირდება სამთიულურო ელემენტებიც) და ტრადიციებზე. სრულდება აჭარულ ხასიათში – ქალთა, ვაჟთა, ქალ-ვაჟთა მიერ.

შუახევში ცეკვა შემოსარებს-ჩამოსარებს (გვხვდება ლეკურის სახელითაც) ქობულეთში ჩამორებულს ეძახიან. შუახეური ვარიანტით ცეკვა დამოუკიდებლად – სიმღერით ან საკრავის აკომპანემენტით სრულდება. ქობულეთში შემოსარები ხორუმის გაგრძელებაა – გამარჯვების ზეიმის აღმნიშვნელი. შემოსარები ნაკლებად გვხვდება ქორეოგრაფიული ანსამბლების რეპერტუარში, ჯერ ამ ცეკვას ქორეოგრაფის ხელი არ შეხებია.

შუამთური

ცეკვა 2008 წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული ექსპედიციის დროს სოფელ ნაბლანაში ჩავინერეთ. შემსრულებლები: მიხეილ ზოიძე, ემზარ ბერიძე, რეზო ბერიძე, რენო მუთიძე, ზურაბ ბერიძე, როსტომ ბერიძე, ზვიად ბერიძე.

ეთნოფორ მიხეილ ზოიძის (48 წლის) თქმით, – „ცეკვა ორიგინალურია, ის ნაბლანას მკვიდრთა მიერ არის შექმნილი – ხალხმა შექმნა (ნაბლანელებმა შეასრულეს პირველად). ნაბლანაში ოთხნობიანი სკოლა იყო და ამ სკოლის პედაგოგმა (მოცეკვავე კაციც იყო) დურსუნ ლორთქიფანიძემ შექმნა ეს ცეკვა და მერე ჩვენ გვასწავლა. ცეკვას პირველად საზეიმო ერქვა და შემდეგ მას ენვერ ხაბაძემ შეუცვალა სახელი, ვინაიდან მისი შექმნა დაკავშირებულია შუამთობის დღესასწაულთან, ამიტომ მას შუამთური დაარქვა. იღეთების სახელებია: ჩაკრული, ბუქნი, შემოვლა. ნამყვანის ხელის მოძრაობა მანიშნებელია – მივდივართ ზეიმზე, წამოდით, ყველა ერთად ვიყოთ! 1957 წელს ხულოს რაიონში ვიცეკვეთ ეს ცეკვა (მაშინ ხულოს რაიონი იყო, 1952 წლიდან გახდა შუახევის რაიონი). პირველი შემსრულებლები: მიხეილ ბერიძე (არუშა), მოედინ მელიაძე (გადაბარგებულია ჩაქვში), ურიდი თურმანიძე, ბერიძე შუქრი, ბერიძე შალვა და სხვები. ჩვენ ამ ცეკვას 1947 წლიდან ე.ი. დაარსებიდან 1990 წლამდე ვასრულებდით, ახლა ჩვენი ბიჭები ასრულებენ“.

შუამთურის შესახებ იმავე ნაბლანას ეთნოფორებს – შუქრი და შალვა ბერიძეებს – დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრება აქვთ: ეს იყო თურქული ცეკვა, ლაზები ცეკვავდნენ (ბერიძე შუქრი). შალვა ბერიძე ქურთების ცეკვად მიიჩნევს – ქურთბალი ერქვაო: „გადმოღებული იყო და ცეკვავდა ჩვენი ხალხი. შუამთობის დროს ცეკვობდნენ და ამიტომ ერქვა შუამთური – 14 ივლისს ახალი სტილით, ახლა აგვისტოს პირველ კვირას ზეიმობენ“.

ნაბლანელებს იმდენად გაუთავისებიათ ეს ცეკვა, რომ ადგილობრივად მიუჩნევიათ. ჩვენი დაკვირვებით, ცეკვაში შეინიშნება არაქართული საცეკვაო ელემენტები, რაც 2008 წლის ექსპედიციისას მივუთითეთ და სამომავლოდაც სპეციალისტთა ჩარევა-კონსულტაციას მოითხოვს.

თუ ნაბლანას მაგალითზე შევადარებთ 2008-2016 წლის ექსპედიციის შედეგებს, შემსრულებელთა რაოდენობა შემცირებულია. ახალგაზრდობამ ქალაქს მიაშურა და სოფლად დაბრუნება უძნელდება, არადა გადაცემის მემკვიდრეობითი ტრადიცია ირღვევა.

ძუნძუნი

სულიკო ბერიძის თქმით, ცეკვა ძუნძუნი მის მიერაა შექმნილი, ასრულებდა მეგობართან ერთად, რომელიც უკვე გარდაცვლილია. ახლა მარტო ცეკვავს. ორივე ხშირად ცეკვავდა ქორწილებში, წვეულებებსა და „კამპანიებში“ დოლითა და გარმონით. ძუნძუნში ქალი არ მონაწილეობს. საცეკვაო ლექსიკისგან ცეკვაში ჭარბობს თეძოების მოძრაობა და მუცლის ცეკვის ელემენტები.

გურამ ბოლქვაძე (აკორდეონი): „მუსიკა ამ ცეკვისთვის სულიკომ დამამუშავებინა, ქალთა ნადის დროს იმღერებოდა“. ტარიელ ბოლქვაძე (აკორდეონი, დოლი): „ერთ-ერთი ქართული სიმღერაა, რომელიც კუთხიდან, ასე ქვია – *მოციმციმე ჩემო გულის ყვავილო*“.

ჩვენი აზრით, ცეკვა ჰეროიკულია და მსგავსია 2008 წელს ჩემ მიერ ქედაში ჩანერილ ცეკვა *წელქანიასი*, რომელიც შესაძლოა ძველი *ყოლსამის* ნაწილი იყოს.

ფადიკო

აჭარაში ქორწილში შესასრულებელი სანახაობა. ორი პერსონაჟი ერთმანეთს ეცილება ფადიკოს (ასრულებს ყოველთვის მამაკაცი) დასანარჩუნებლად. ჩვენ მიერ სოფელ ტაკიძეებში დაფიქსირებული ფადიკო რამდენადმე სახეცვლილია – ტრანსფორმირებულია: ქართულ (აჭარულ) ფოლკლორში, შინაარსობრივად, სტრუქტურულად თუ ფორმის მხრივ, ფადიკოს ტრადიციული შემსრულებლობისაგან განსხვავებული ვარიანტია. საქორწილო რიტუალის ადრეული დრამატული სიუჟეტი ერთ მთლიან სანახაობას წარმოადგენდა, ამჟამინდელი კი მხოლოდ მისი ნაწილია (ფადიკო სრულყოფილადაა შემონახული ჩვენებურებთან – ართვინის მხარეში).

დიმიტრი ჯანელიძის აზრით, „ფადიკოს ადრეულ წარმოდგენაში მრავალი საყოფაცხოვრებო დეტალია, მასში მაინც ჩანს ადრინდელი სახე, რაც მას სვანურ *მურყვამობასთან* აახლოვებს და ამსგავსებს. სატრფიალო სცენის წარმოდგენა და ქალის დაუფლებისათვის ორ პერსონაჟს შორის ბრძოლა *მურყვამობასა* და *ფადიკოს* ერთნაირად ახასიათებს. ეს კი იმის დამამტკიცებელი უნდა იყოს, რომ *ფადიკოც* შვილიერების მფარველი ღვთაების სადიდებელი მისტერიის ნაშთია.“

შეხტომილა

ცალკე ცეკვა არ არის, განდაგანას იღეთია და შეხტომით სრულდება. ესეც განდაგანას მოძრაობათა სახელთა მსგავსია: *გადახტომილა*, *თახთახა*, *ტაყტახა*, *ჩაკმაჭილი* – *ჩახვეული*. სხვადასხვა მოძრაობის განსახსვავებლად, შინაარსისა და ხასიათის მიხედვით, თვითონვე არქმევდნენ ცეკვის ელემენტებს სახელებს.

შენიშვნა: მუხამედ ართმელაძემ 2008 წელს დაასახელა და გვიჩვენა მალული – საფერხულო ცეკვების – ფრაგმენტები.

ძველებური ლექსი

ქართულისა და მთიულურის ელემენტებზე აგებული ცეკვა, იცეკვება იმპროვიზაციულად. ყოველი მოძრაობა ქართული საცეკვაო ლექსიკის წარმომავლობისაა, ასევეა მუსიკალური შინაარსი. ზოგიერთი მოძრაობა განდაგანას მოძრაობებთანაა შერწყმული.

ფუნდრუკი

უძველესი ქართული ტერმინი, საბას მიხედვით, ცეკვის სინონიმი. აღნიშნავს ხალისიან, მხიარულ ქმედებას (სპორტულს თუ გასართობს).

სოფელ ზემო ხევში გადავიღეთ ხტომებზე აგებული ცეკვა. შემსრულებლები: ნოდარ ქარცივაძე, თამრიკო მყავანაძე. თამრიკო ამბობს, რომ ეს ძველი განდაგანაა. რეზო ფევაძე მას ფუნდრუკად მიიჩნევს, თეიმურაზ კომახიძისთვის ფუნდრუკი და შეხტომილაა ერთი და იგივე ცეკვებია.

სამშალახო

იგივე კინტოური, ბაღდადური, შალახო. ამ ცეკვათა საცეკვაო ლექსიკა და მუსიკალური შინაარსი იდენტურია.

სამ-სამა საბასთანაც, აჭარაშიც და ჩვენებურებთანაც ცეკვას ნიშნავს. ქართლურ და ჯავახურ დიალექტებში შალახო დღესაც სიმღერა, დაკვრა, თამაშია. ჯავახეთში ქალის სალანძღავ სიტყვადაც ქცეულა: „მაგ გიჟ შალახოს აყოლა რას გარგია“ (ალ. ლლონტი). იოსებ გრიშაშვილი ქალაქურ ლექსიკონში ასე განმარტავს: „ერთგვარი ქალაქური (ყარაჩოხული) ცეკვა ზურნის ქვეშ, მუსიკალური ზომა 6/8“.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, წყაროს მიუთითებლად, შალახოს განმარტება ასეთია: „იუმორისტული ხასიათის სომხური ხალხური ცეკვა. შალახო მამაკაცის ცეკვაა. სრულდება ხელსახოცის გათამაშებით. მუსიკალური ზომა 2/4“.

ჯახ(ყ)ტანანა

უხუცეს მოცეკვავეთა აზრით, ჯაყტანანას – ჯახტანანას – ქალები ქუშნარობის დღესასწაულზე ცეკვავდნენ. ქალური ცეკვა იყო, განდაგანას მსგავსი, განდაგანას მიმდევარი, იგივე განდაგანა ქალური ილეთებით, წელის ქალური მოძრაობებით. მამაკაცებიც ცეკვავენ ქალებთან, მაგრამ ქალები უფრო მოკლე ნაბიჯებით. ჯახტანანა კაცების შესრულებით – აჯავრებენ ქალებს ცეკვაში.

ჩვენი აზრით, ჯაყდანანა უძველესი ქართული ცეკვაა და შეუძლებელია ის ჯაყლების უძველეს საცხოვრისს – ჯაყის ციხესა და მის მიდამოებს – არ უკავშირდებოდეს. სრულიად განსხვავებული აზრი მოგვანოდა რეზო ფევაძემ: „ჯაყაა თურქული სიტყვაა და სირცხვილს ნიშნავს. მამაკაცის

სახელია. ჯაყაი კარგი მოცეკვავე ყოფილა, დაუმოკლდა ცალი ფეხი ტრავმის გამო. ჩაჯდომილა მოძრაობებს ასრულებდა (ხანდახან ბრუნში), რომ არ შემჩნეოდა ფეხის სიმოკლე. აქედან დაერქვა ცეკვას *ჯაყდანანა*, იგივე *განდაგანა*“.

ჩვენ მიერ ექსპედიციაში დაფიქსირებული *ჯახ(ყ)ტანანას* მასალების ანალიზი გვიჩვენებს განდაგანასთან მისი საცეკვაო ლექსიკის იდენტურობას.

საინტერესოა ალექსანდრე ჯიჯეიშვილის ცნობა *ჯაყდანანას* შესახებ: ცეკვა *ჯაყდანანა* თავყრილობის ადგილებში (ნადი, შუამთობა, ქორწილი) სრულდებოდა. მოცეკვავეები არა მარტო ცეკვაში, არამედ კაფიაობა-შაირობაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ცეკვას სიმღერასთან ერთად ეშხს მატებდა ჭიბონი. გამარჯვებულად ის ითვლებოდა, ვისაც შაირ-კაფია არ გამოეღეოდა. ეს ცეკვა მთლიანად აჭარისთვისაა დამახასიათებელი და მისი უბადლო შემსრულებლებიც იქაურები იყვნენ: მერჯამ და ქერიმ ბოლქვაძეები, თოფუზ გაბაიძე და სხვ.

ცეკვის შინაარსი გადმოგცა აჭარული ფოლკლორის საუკეთესო მცოდნემ, ლვანლმოსილმა მოცეკვავემ თოფუზ გაბაიძემ: მისი თქმით, „ჯაყ“ – შეჯახებას ნიშნავს და ერთმანეთს ცეკვა-შაირობაში ეჯახება ორი შემსრულებელი.

ასევე საინტერესოა პოეტ ჯემალ ჯაყელის მოსაზრება (რომელიც სავსებით ემთხვევა ჩვენს ვარაუდს): უძველესი სახელწოდება უნდა იყოს „ჯაყ და ნანა“, რაც უნდა ნიშნავდეს ტოპონიმ „ჯაყთან“ დაკავშირებულ ცეკვა-სიმღერას. თვით ტოპონიმი ჯაყი კი უნდა მომდინარეობდეს საქართველოს უძველესი და ულამაზესი ხეობის სახელწოდებიდან. ამ ხეობაში ცნობილი ტოპონიმებია: „ჯაყდომანი“, „ჯაყის ციხე“, „ჯაყის ხეობა“. ამ ტოპონიმს უკავშირდება და სწორედ აქ უნდა გაჩენილიყო დღევანდელი მეტად პოპულარული ცეკვის *განდაგანას* პირველი მთავარი და განმსაზღვრელი ილეთი, რომელმაც შემდეგ ცეკვას ფრიად ორიგინალური სახე ჩამოუყალიბა.

კოვზაბით ცეკვა

პირველად მთელ აჭარაში ჭვანის ხეობის სოფელ ტაკიძეებში აღმოვაჩინეთ და გადავიღეთ *კოვზებით ცეკვა*. სიმღერა *თარნანინას* მელოდიაზე შეასრულა ნანული ბეჟანიძემ. ორივე ხელში ორ-ორი კოვზით იცეკვა *განდაგანა*. ცეკვისას კოვზების ერთმანეთზე დარტყმით გამოსცა რიტმი. ჩვენი აზრით, ცეკვა *განდაგანას* ჩვეულებრივი ვარიანტია ერთი ქალის შესრულებით, მხოლოდ რიტმისათვის კოვზების გამოყენება რუსული გავლენით უნდა შემოსულიყო აჭარულ საცეკვაო ფოლკლორში, კერძოდ, *განდაგანაში*. *მეკოვზეების ცეკვა* საკმაოდ პოპულარულია რუსულ საცეკვაო ფოლკლორში.

დასკვნა

ყოფაში ფოლკლორის გაქრობით და გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესის პირობებში გაჩნდა საფრთხე ხალხური შემოქმედების უმდიდრესი მემკვიდრეობის დაკარგვისა და განადგურებისა. შეიძლება აღარ გვექონდეს ქართული ფოლკლორი თავისი უანრობრივი მრავალფეროვნებითა და ისტორიული დინამიკით. გაჩნდა კითხვა: როგორ შევინარჩუნოთ იდენტურობა, განსაკუთრებით ხანგრძლივი ისტორიის მქონე პატარა ერებმა, რათა არ აღვირიოთ და არ ავითქვიფოთ ერთბაშად მოვარდნილ სხვადასხვა კულტურაში, სხვა გარემოში, თანაც ისე, რომ ფეხი ავუწყოთ თანამედროვეობას და ვიყოთ ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი.

ზემოთ აჭარული (შუახევის) საცეკვაო ფოლკლორის მასალების საფუძველზე განვიხილეთ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის, როგორც ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილის, შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობები და გზები. სინკრეტიზმის გათვალისწინებით გავანალიზეთ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოპოვებული მასალები – რა დარჩა, რა ვნახეთ, ძირეული და დანაშრევი, ფსევდო და ნაღდი ფასეულობები. ახლა კი ცოტა რამ ხალხური, იგივე ფოლკლორული, ცეკვის შესახებ:

ცეკვა ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. მასში ასახულია ხალხის სოციალური და ესთეტიკური იდეალები, მისი ისტორია, შრომითი პროცესი, ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულება, ხასიათი. ცეკვაში გამოიხატება ტკივილი და სიხარული, პატივისცემა და გამბედაობა. ცეკვა – კომუნიკაციის ენა – ვითარდებოდა ადამიანთან ერთად. ხალხური ცეკვა, როგორც რიტუალების, ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, ტრადიციული დღესასწაულებისა და გართობის შემადგენელი, იყო და რჩება ამ მოვლენათა ორგანულ ნაწილად. დროთა განმავლობაში ცეკვის ხელოვნება განვითარდა, სტილისა და ფორმის მრავალფეროვნება გამოიყო ცალკეულ სახეში: კლასიკური, ისტორიულ-საყოფაცხოვრებო, საესტრადო, სამეფლისო, თანამედროვე ცეკვები. ამ მრავალფეროვნებათა შორის ხალხური ცეკვა იყო და რჩება ქორეოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად სახედ.

ხალხური ცეკვა

ხალხური, იგივე ფოლკლორული ცეკვა, თავის ბუნებრივ გარემოში სრულდება და აქვს იმ ადგილისათვის დამახასიათებელი გარკვეული ტრადიციული მოძრაობები, რიტმი, სამოსი და ა.შ. დღეს პრინციპული პრობლემაა ქართული ხალხური ცეკვის ავთენტიკურობის შენარჩუნება. ეს არის შესრულების სტანდარტი, რომელშიც აუცილებელია „ჩაჯდე“. ზემოთ ნაჩვენები და გაანალიზებული საექსპედიციო მასალების საფუძველზე შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ: საბედნიეროდ, აჭარულ ყოფაში ჯერ

კიდევ შენარჩუნებულია ქართული (აჭარული) ხალხური ცეკვა სინკრეტიზმის პრინციპით – სიმღერა, ქმედება, სიტყვა, გამოყენებითი ხელოვნება (სამოსი, აღჭურვილობა, საკრავები, აქსესუარები...). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია აჭარული ცეკვის მუსიკალური შინაარსი, ე. წ. მუსიკალური თანხლება. ძირითადად შენარჩუნებულია ტრადიციული მწყობრი – ჭიბონი-დოლი; ჩონგური-დოლი; შედარებით გვიანდელი – გარმონი (აკორდეონი) და დოლი. არატრადიციულია, მაგრამ საკმაოდ ფეხმოკიდებულია ხალხური ფანდური, საფანდურო სიმღერები და მელოდიები (ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია ფანდურით შესრულებული კოვზებით ცეკვა); ჩონგური, ფანდური, სალამური – ხაბელაშვილებში ფოლკლორული ჯგუფის მიერ შესრულებული განდაგანა; ბალაღიკაზე დაკრული ხორუმისა და განდაგანას მელოდიები; კიდევ ერთი თვალში საცემი გავლენა: ლილუბიან გარმონსა და აკორდეონზე შესრულებულ ცეკვებში იგრძნობა რუსული და უკრაინული ინტონაციები. მიზეზი: წლების განმავლობაში საბჭოთა მესაზღვრეებთან სიახლოვე და კავშირი.

საკმაოდ საინტერესო საკითხია ბოლო წლებში, ე. წ. რკინის ფარდის გახსნის შემდეგ, ურთიერთგავლენა, ურთიერთსესხება – რა მივიღეთ, რა გადმოვიღეთ ჩვენებურების დაკონსერვებული ფოლკლორისაგან. მაგ. სატრფიალო სიმღერა *ჯილველო*, განდაგანას მუსიკალურ შინაარსად ქცეული, თურქეთის ქართველებში საფერხულო სიმღერაა და ფერხულით სრულდება. ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები, ხელები ნეკა თითებითაა შეერთებული, როგორც მეგრულ ფერხულში *ოჰოჰოია*.

შუშანა ფუტყარაძის *ჩვენებურების ქართულის* მიხედვით, *ჯილველო* უმშვენიერესს, მომაჯადოებელს, კეკლუცს, კოპნიას ნიშნავს (იმ.). *ჯილველო*, ნაწიდა კი ართვინის ვილაიეთის ცნობილი სიმღერაა: „ჰემ სიმღერა არის, ჰემ ცეკვა“ (მეცნიერს მოყავს სიმღერის საკმაოდ ვრცელი ტექსტი).

ერთი საინტერესო, მაგრამ სადავო რამ: *ყოლსამისა* და *განდაგანას* ურთიერთმიმართება. ამ ცეკვას განდაგანა გასული საუკუნის 40-იან წლებში (1946) ეწოდა. ამჟამად შავშეთში განდაგანა ხელგაშლილას სახელითაა ცნობილი.

გამოსაკვლევი და დასადგენია: ქართული ცეკვის თურქულად მონათვლამდე, რა ერქვა მას.

საკითხავია: შეინიშნება თუ არა შუახვევლთა საცეკვაო კულტურაში ისეთი შემამოფოთებელი რამ, როგორცაა: ხალხური ცეკვის გადაჭარბებული სტილიზაცია, როდესაც მისგან რჩება მხოლოდ ზედაპირული, ეფექტური, ვირტუოზული ტექნიკური კომპოზიცია, მხოლოდ გარეგანი ნიშნებით აღჭურვილი ხალხური ცეკვა, და ულამაზესი, ელეგანტური და მშვენიერი იკარგება. მაგალითად, ხორუმმა ზოგადად ქართულ სივრცეში დაკარგა საბრძოლო შინაარსი და თეატრალურ სანახაობად – შოუს ნაწილად იქცა, მისი მოძრაობები კი დაულაგებელია, ცეკვა მხოლოდ ვიზუალურ მხარესა

და გამონატვის ეფექტს ემსახურება. დარღვეულია ცეკვის კომპოზიცია. ყოველივე ეს ტრადიციული გზიდან გადახვევისა და საკუთარ ფესვებთან გაუცხოების მაჩვენებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუახვევლთა საცეკვაო ხელოვნება ჯერჯერობით ასეთი საფრთხისაგან დაცულია.

ერთი სამწუხარო მოვლენა: ცეკვა განდაგანას ზოგიერთი დადგმა, ზედმეტი სტილიზაციის გამო, მთიულურ ცეკვას დაემსგავსა: სწრაფი მოძრაობა, ხელოვნურად აჩქარებული ტემპი, ფოლკლორულ სანყისებს მონყვეტილი და ხელოვნურად გამოგონილი ელემენტები. ასეთ შემთხვევაში ცეკვა კარგავს ბუნებრიობას, ტექნიკურად კარგია, მაგრამ არ აქვს „სურნელი“. განდაგანას ზოგიერთი კოსტიუმი არ აკმაყოფილებს ქართული საცეკვაო ხელოვნების ესთეტიკურ მოთხოვნას. დაკარგული აქვს ეროვნული სახე და ზედმეტად სახეცვლილია. ჩვენ ზემოთ საკმაოდ ტაქტიანად და თავაზიანად მივუთითეთ, ამ მხრივ რა უნდა გაითვალისწინონ შუახვევლთა ქორეოგრაფებმა, მოცეკვავეებმა და აჭარული ცეკვის მესვეურებმა.

ექსპედიციისას, რა თქმა უნდა, ცეკვების უმეტესობა ყოფაში, საველე პირობებში ჩავინერეთ და გადავიღეთ – ყოველდღიურ სამოსში, თუმცა სცენაზე შესრულებისას სამოსი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თუნდაც განდაგანას და ხორუმის ჩოხაში ცეკვა – ყოვლად მიუღებელი და შეუსაბამო რამ. შორსმიმავალი საუბრის თემაა, ზოგადად, დღეს არსებული აჭარული (მამაკაცის თუ ქალის) სამოსის ფართოდ გამოყენება აჭარულ ცეკვებში. საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს, ძირების მოძიებას და ჯერ კიდევ ყოფაში შემორჩენილი ფრაგმენტების აღდგენას.

აჭარულ ცეკვაში რატომღაც ფეხმოკიდებულია მამაკაცის მიერ გავანელის რხევა – ყოლსამისეული მოძრაობები, რომლებიც რადიკალურად მიუღებელია ქართველი კაცის ხასიათისა და ბუნებისათვის. აჭარული საცეკვაო ფოლკლორი ხომ ჩვენი ისტორიისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია.

შესასწავლი და დასადგენია აჭარულ ცეკვაში ხელის მდგომარეობა-მოძრაობის სიმბოლიკა (განსაკუთრებით ხორუმში). გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია აჭარული ცეკვის ტერმინოლოგიის დამუშავება და ლექსიკონის შედგენა.





მარცხნიდან: გივი ნახუცრიშვილი, ლოლიტა სურმანიძე, ვახტანგ ბერიძე, რევაზ ფევაძე, თეონა რუხაძე, უნა დვალისძე, ნატალია ზუმბაძე, შოთა ფუტყარაძე, ვახტანგ ზოიძე. სოფელი მანყვალთა



განდაგანა. ავთანდილ ბოლქვაძე (ჭიბონი); ბექა ბოლქვაძე (დოლი); ცეკვავს ზურა ბოლქვაძე. სოფელი ხაბელაშვილები



ძმები ავთანდილ და ტარიელ ბოლქვაძეები (ჭიბონი, დოლი). სოფელი ხაბელაშვილები



შემოსარები. ცეკვავს დავით მუჯანაძე. სოფელი ცხემლისი



განდაგანა. მჭავანაძეების ოჯახი: მერაბი (შვილი), უმიანი (დედა), დავითი (მამა).
სოფელი ცხემლისი



განდაგანა. ცოლ-ქმარი დავით და უმიან მჭავანაძეები. სოფელი ცხემლისი



შემოსარები. ცეკვავს ნოდარ გოგიტიძე. მარცხნიდან: გენადი ფუტყარაძე (გარმონი), რევაზ ფევაძე, თებრონე ფუტყარაძე, რაულ გოგიტიძე (დოლი), თინა ფუტყარაძე, ედიშერ ფუტყარაძე (გარმონი), ბეგლარ კეკელიძე, რუსლან ფუტყარაძე. სოფელი გოგინაური



ნაღვარევის სორუმი. ცეკვავენ: მამია კილაძე, შერმადინ და ზაზა ქათამაძეები. ნოდარ ქათამაძე (ჭიბონი); ავთანდილ ბოლქვაძე (დოლი). სოფელი ნაღვარევი



ჯახტანანა. ფოლკლორული ჯგუფი უჩამბა. ცეკვავს შოთა ლემსაძე.
 მარცხნიდან: ნანული გოგიტიძე, მარინე ფევაძე, როლანდ ივანაძე (გარმონი), მერაბ
 ბერიძე (დოლი), ომარ აბუსერიძე, შაქრო დავითაძე. სოფელი კვირიაული



შემოსარები. ფოლკლორული ჯგუფი უჩამბა. ცეკვავს მერაბ ბერიძე. მარცხნიდან:
 შოთა ლემსაძე, როლანდ ივანაძე, ომარ აბუსერიძე, შაქრო დავითაძე. სოფელი
 კვირიაული





ფადიკო. ცეკვავენ: ზვიად გოგრაჭაძე და გურამ გოგრაჭაძე (ფადიკო). ავთანდილ ბოლქვაძე (დოლი); ტარიელ ბოლქვაძე (გარმონი). სოფელი ტაკიძეები



განდაგანა. ცოლ-ქმარი მიხეილ და შუშანა ზოიძეები. რეზო ბერიძე; ზურაბ ქამადაძე (დოლი); რამაზ ბერიძე (გარმონი). სოფელი ნაბლანა



განდაგანა. შუახევის ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლი ზე-კართან. ხელმძღვანელი გურამ ბოლქვაძე. სოლისტები: თამარ და ნიკა დავითაძეები. მარცხნიდან: თორნიკე დავითაძე, მეგი მიქელაძე, თეონა დავითაძე, ხატია ზოიძე, ირაკლი მიქელაძე, ზურა ზოიძე, მადონა ივანაძე, თამუნა დავითიანი, თამუნა მიქელაძე, სოფო დავითაძე



განდაგანა. შუახევის ქორეოგრაფიული ანსამბლი ზე-კართან. სოლისტები: გიორგი, ლაშა და ნიკა დავითაძეები. მარცხნიდან: თამარ დავითაძე, ირაკლი მიქელაძე, ხატია ზოიძე, მადონა ივანაძე



განდაგანა. შუახევის უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ფესვები. ხელმძღვანელი ბადრი დარჩიძე. მარცხნიდან: ლევან ფუტყარაძე, რევაზ მყავანაძე, მუხრან დარჩიძე (ჭიბონი), ოთარ ჭალაიძე, თამაზ ბერიძე, მიხეილ კაკალიძე



განდაგანა. ქორეოგრაფიული ანსამბლი ფესვები. სოლო – მიხეილ მელიქიშვილი. მარცხნიდან: ლევან ფუტყარაძე, რევაზ მყავანაძე, მუხრან დარჩიძე (ჭიბონი), ოთარ ჭალაიძე, მიხეილ კაკალიძე



განდაგანა. ქორეოგრაფიული ანსამბლი ფესვები. მარცხნიდან: ლევან ფუტყარაძე, რევაზ მჟავანაძე, ოთარ ჭალაღიძე, ნოდარ დავითაძე, მუხრან დარჩიძე (ჭიბონი)



ხორუმი. ქორეოგრაფიული ანსამბლი ფესვები. მარცხნიდან: ოთარ ჭალაღიძე, მიხეილ კაკალიძე, ნოდარ დავითაძე, რევაზ მჟავანაძე, რამაზ ართმელაძე



ხორუმი (ფინალი). ქორეოგრაფიული ანსამბლი ფესვები. მარცხნიდან: ოთარ ჭალაღიძე, მიხეილ კაკალიძე, ნოდარ დავითაძე, რევაზ მუჟაფანაძე, რამაზ ართმელაძე, ლევან ფუტკარაძე, მიხეილ ფუტკარაძე, ნოდარ ქარცივაძე, თამაზ ბერიძე, მუხრან დარჩიძე (ჭიბონი)



ზენაჩისი ტყვიური რქა



ეთერ თათარაიძე

2016 წლის 11-16 სექტემბერს ფოლკლორის სახელწიფო ცენტრმა ფოლკლორის ორ მიმართულებას (ზეპირსიტყვიერება და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მოგვცა საშუალება, გავმგზავრებულიყავით კომპლექსურ ექსპედიციაში (ჩვენამდე ფოლკლორის ცენტრიდან მუსიკამ და ქორეოგრაფიამ იმუშავა) აჭარის მაღალმთიანეთში, კერძოდ, შუახევის მუნიციპალიტეტში.

11 სექტემბერს, დილით, გურამ გაბაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მძღოლთან ნუკრი ირემაშვილთან ერთად დავადექით გზას ჩვენი თბილი აჭარისაკენ...

შუახევის კულტურის სამსახურის უფროსი, ახალგაზრდა კაცი ვახტანგ ბერიძე ადგილზე დაგვხვდა და დროის დაუკარგავად (უკვე ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა) დაგვაბინავა შუახევი დამსახურებული ექიმის ნოდარ დუმბაძის ოჯახში... ისეთ ოჯახში, რომლის მსგავსი საქართველოში უკვე საოცნებო გაგვხდომია. გავვიმართლა-თქო, – გულში გავივლე და ისე გაუმართლოს წამკითხველს, რა წაღმართი და მადლიანი საქმეებითაც დავინწყეთ და გულსუნადინოდ დავასრულეთ ექსპედიცია...

დეტალურად არ ვაპირებ დღიურების წარმოებას (თუმცა ესეც ბუნებრივი იქნებოდა), მაგრამ გეტყვით, რომ ის მასალა, რაც მოვიხელთეთ და ჩავინერეთ ზეპირსიტყვიერებაში, ფაქტობრივად, ოთხ სამუშაო დღეში (დილით 9-ზე გასულები ღამის 12-ზეც ვბრუნდებოდით ბინაში), თავად განსჯით, რამდენად ღირებული და მნიშვნელოვანი შენაძენია იმ მდგომარეობის დასაფიქსირებლად, რაც ძალუმად ცოცხლობდა კონკრეტულად ამ პერიოდში...

ასეთ მცირეხნიან ექსპედიციას „დაზვერვითი“ უფრო ჰქვია, ვიდრე საფუძვლიანი და სერიოზული.

მოვიარეთ შუახევის სამივე ხეობა: მარეთის, ჭვანის, ზამლეის.

სანამ ჩვენს მოგზაურობაზე მოგახსენებდეთ, ჩვენამდე ჩვენმა სასიქადულო მეცნიერებმა და მამულიშვილებმა რომ იმოგზაურეს

(და განა ჩვენსავით „ჯიპებით“, ფეხითა და ცხენებით) მძიმე, ძალიან მძიმე დროს არა მხოლოდ ამ ხეობებში, ზედმეტი არაფრით არ მგონია, ვახსენოთ მათი სახელები, კონკრეტულად ამ კუთხისათვის, და, რა თქმა უნდა, სრულიად საქართველოსთვის, ფასდაუდებელი ცნობები და სულიერი საგანძური რომ დაგვიტოვეს...

თურქეთის ულლიდან აჭარის გათავისუფლების შემდეგ (1878 წ.) ქართველ სწავლულებს (ივ. კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი) იქ შესვლისა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის შესაძლებლობაც მიეცათ. იმავე მისიით აჭარაში იმოგზაურა თედო სახოკიამ, 1897 წელს, ე.ი. მაშინ, როდესაც ამ კუთხეს ღრმად აჩნდა ოსმალთა ბარბაროსული ბატონობის ნაკვაღევი და აღორძინებას იწყებდა ისლამით შებღალული ცხოვრების ქართული წესი. თ. სახოკიამ კარგად იცოდა რა მტრის ხელით დაღახვრული მხარის სავალალო მდგომარეობა, მთელი თავისი ამადლებული შეგნებით იტვირთა იმ დიდი მამულიშვილური მისიის შესრულება, რაც ილია ჭავჭავაძის თაოსნობით უმთავრეს მიზნად დაისახეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა (ვალერიან ითონიშვილი, თედო სახოკიას ღვანლი ქართულ ეთნოგრაფიაში, თბ., 2013, გვ. 35-36).

გავიხსენოთ ბ-ნი თედო სახოკიას (ლინგვისტი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი) მოგზაურობა მთიან აჭარაში და ვუთხრათ ქართველობამ მის სახელს უღრმესი მადლობა.

მამ, მოვუსმინოთ ბ-ნ თედოს:

„ანინდელი ახალციხის მაზრის დასავლეთით და გურიის, ანუ ოზურგეთის მაზრის, სამხრეთით, აჭარისწყლის ხეობაში მდებარეობს ღრანტოვანი და ხევიან-კლდიანი კუთხე საქართველოსი – აჭარა. მუნ სახლობს ბუნების ყოველგვარ სისასტიკესთან მებრძოლი, მრავალჭირნახული, სიამეს დანატრებული ხალხი ქართველთა ტომისა. იმის წყალობით, რომ ეს ხალხი თურქეთის საზღვარზე ცხოვრობდა, ხან გულიდან მოგვწყდებოდა და, თურქთა ხელში ჩავარდნილი, მათი მტარვალობის მსხვერპლი ხდებოდა. საქართველო ღონეს მოიკრებდა, წელში გასწორდებოდა, მტერთა მიერ მოსრულ ოჯახს აღადგენდა, მტერს ღომივით შეებმოდა, წარსულის ჯავრს იყრიდა – და ეს მხარეც, სხვასთან ერთად, საქართველოს უბრუნდებოდა, მის ფრთებქვეშ შეაფარებდა თავსა. აჭარა ვერ მოასწრებდა სულის მოთქმას, ეკონომიურად წელში გასწორებას, რომ ისევ მტერი ჩაიგდებდა ხელში, ისევ განახლდებოდა, – ახლა კი გაორკეცებული სიმძაფრით, – რბევა და დანოკება სოფლებისა, მკვიდრთა ავლა-დიდებისა, მუსრვა შვილთა და ქალთა, შეგინება და შელახვა რწმენისა. ჭეშმარიტად გასაოცარია, როგორ არ აღიგავნენ დედამინის პირისაგან აჭარა და მისნი მკვიდრნი, როგორღა დარჩა ხსენება მათი!..“

უკანასკნელად ორ საუკუნეზე მეტი იყო ეს მხარე თურქთა ბატონობისა და მბრძანებლობის ქვეშ. აჭარა ორი საუკუნე მეტი კვნესოდა მათი მონობის მძიმე უღლით დატანჯული“.

ზედმინევენილი ყურადღება აჭარაში მოგზაურ მეცნიერს ყურძნის ჯიშებისთვისაც მიუქცევია. ბ-ნი თედო გვიამბობს: „ზემო აჭარაში, ფურტიოში (ხულოს ახლოს) დედაკაცს ცენტერაულს თურმე ძმა ეწვია სოფ. ჭვანადან, ვახშამზე ღვინო მოსთხოვა: „ჩემო დაო, ღვინო არ გექნებაო“. ქალმა ტირილი დაიწყო თურმე. „ჩემმა შვილებმა ღმერთი დაივინყეს, ჭერი დამიტვრიეს, ღვინოს არ ემსახურებიანო“.

პურ-ღვინის მომყვან ისეთ ქვეყანაში, როგორცაა საქართველო, ღვინის ღვთიურობის ასეთი ლაკონური აღწერილობა არც მოგვეპოვება. ბ-ნი თედო სახოკია იქვე ჩამოთვლის ქვემო და ზემო აჭარაში მის მიერ დაფიქსირებულ ყურძნის ჯიშის სახელებს.

„რამდენადაც შევიძელ ცნობების შეკრეფა, ორივე აჭარაში დღემდე დარჩენილა 17 სახელწოდების ყურძენი. ამათგან „ადესის“ გარდა, რომელიც ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინაც ალბათ გურიიდან არის შემოტანილი (ჩვენ ზემო აჭარის ლორჯომში ვნახეთ), ყველა ძველებია. აი, მათი სახელებიც:

1. ადესა (თეთრი და წითელი)
2. ბუდეშური (თ.)
3. ბურძგლა (თ.)
4. ბუტკურა (წ.)
5. ბროლა (ადრეულია თ.)
6. ვანური თეთრი ყურძენი,
7. კლარჯული (თ. და წ.)
8. მატენაური (შ.)
9. მეკრენჩხი (წ. მაგარკანიანი)
10. მწვანე (თ.)
11. შხუმი (დიდკუფხლიანია, სახელი მეგრული აქვს: „შხუ“ – მსხვილი).
12. ჩხავერი (წ.)
13. ცხენისძუძუ (წ.)
14. ოდი (მრავალმტევანა, რამდენიც ფოთოლი აქვს, იმდენი მტევანი ასხია, მხოლოდ მტევანი თხელია).
15. ხარისთვალა (წ., სხვილკუფხლიანი)
16. ხოფათური (თ.)
17. ჯანიში (ბრეში – თეთრი)

„მოგზაურობანში“ აჭარულ მელექსეობაზე შემდეგს მიუთითებდა თედო სახოკია:

„...აჭარელი ლექსს ვერ იტყვის, თუ სიმღერაც არ ააყოლა“. რესულ ართმელიძე თოფუზის ძეს „აბა, ეგ ლექსი გვითხარითო“ რომ ვთხოვეთ, ვერ

ვიმღერებ და უმღერლად ლექსი როგორ გითხრათო. ლექსი და სიმღერა განუყრელად შექმნილა მისთვის. (ე. თ) "სოფ. ფურტიოში (ზემო აჭარა) ერთ მოხუცებულ გლეხს – „ქოსად“ წოდებულს და განთქმულ მელექსეს, ვთხოვე რამე ლექსი ეთქვა. ბევრი ხვეწნის შემდეგ სიმღერა დაიწყო „ოროველას“ ხმაზე, თანაც ლექსი დაატანა“ (თედო სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 185).

ქვემო აჭარაში, სოფ. ქედის მცხოვრები მოხუცისგან შელა დიასამიძისგან ბ-ნ თედო სახოკიას ჩაუწერია „ყურძნის ლექსი“:

•••

„ვენახმა სთქვა, მე ვარ გრძელი
ბამთარ-გამონარები.
გვეისხამ, გვეიყვავილებ,
რომას უკან დავყუყუდები.
ქე მოვა მომკრეფედი.
მოაქვს ქრედი გიდედი;
მოვიდა ძირში, ბედ ამოვიდა,
ერთი წამომწვავდა ხედი,
წამნიკვა კისერი,
სუდ მთელსა მომწყვიფა წედი,
ამნია და ძირს ჩამიშვა,
ჩამყარა თედი გოდორში.
ამნია და შინ წამილო,
ჩამბარგა თედი ჯარაში.
ბევიდან ყაბახი შემდგება,
ქვეშ ქიქინაში მივძვრები,
ორ ყურ ქვაბში მომაქცევენ,
უცეცხლოდ წამოვდუღდები.
ხანდახან კაი ბიჭი ვარ,
ხანდახან წამოვბუნძუდები“.

აქვე გვახსენდება:

„ღვინოვ, შენ ჟაჟანაისძევ,
უცეცხლოდ ამოვდუღდები“.

თედო სახოკიას მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშები არასდროს დაძველდება, ვერანაირი დრო ვერ გაახუნებს მის მიერ ამ კუთხეში მოპოვებულ ლეგენდა-თქმულებებსა თუ ტოპონიმთა აღწერილობებს. საგულისხმოა მის მიერ მეფე თამარზე აქ – აჭარაში დაფიქსირებული ლეგენდები, პოეტური ნიმუშები:

•••

”დაბნელებულა ქართლის მზე –
დედა ქართლისა თამარი,
სიმშენიერით მოსიდი,
ამომავადი მზის დარი,
სიკვდილის შემდეგ მშობლებმა
მკვდარიც ვერ ჰპოვეს, სად არი“.

თედო სახოკია გვეუბნება: „იქვე გავიგონეთ ერთი ქობულეთელი აზნაურის, მაჰმადიანი ქართველის, ყურშუმ-ალა ჭყონიასაგან თამარის ანდერძისეული შემდეგი ლექსი“:

•••

”ათასი კაბა ყმა მყავდა:
ყვედანი ოქროს ლიდითა,
ვაჭმევდი დედად ხოხობსა,
ვასმევდი ბროდის ჭიქითა.
ვინცა შემება, შევები
აღადითა და ჯიქითა,
ანი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა“...

ვერ შეველიეთ ბ-ნ თედო სახოკიას მიერ ჩანერილ უნიკალურ მასალას, სხალთის ტაძრის გადარჩენას რომ უკავშირდება:

„სხალთის ტაძრის გადარჩენის მიზეზად, სხვათა შორის, უნდა ჩაითვალოს, როგორც აქაურებმა გვიამბეს, ის შიში, რომელიც მის დაქცევა-დანგრევის მოწადინებულთათვის ჩაუნერგავს ორ გარემოებას: ერთ აქაურ გლეხს სახლის ბუხრისათვის აქედან ერთი ციგა თლილი ქვები წაეღო, ხარებს ციგა დაუძრავთ თუ არა, გლეხს ბნედა დამართნია, ხარებს ციგა უპატრონოდ შინ აუტანია. მოუკითხავთ პატრონი. ბევრი ძებნის შემდეგ ეკლესიის გალავნის ახლო დახვედრიათ სიკვდილის პირას მისული. უთქვამთ, ალბათ, გურჯების (ქართველების) ღმერთი გაგვირისხდა ქვის წაღებისთვისო და წაღებული მასალა უკანვე დაუბრუნებიათ. მომაკვდავი გლეხი მაშინვე მობრუნებულაო.

მეორე ამბავი: შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მწყემსს ამ ტაძარში ავდრის დროს ცხვრები შეურეკია. რაღაც მიზეზით ერთი დღის განმავლობაში მთელი ფარა განყვეტილა და თვით მწყემსი ლოგინად ჩავარდნილა. სხვა მწყემსებსაც იგივე დღე დასდგომია, უთქვამთ, ალბათ, ამ ჯანაბეთში შაითანები (ემშაკები) ბუდობენო. მთელი ეკლესია ბურდოთი აუვსიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ.

თვით ხოჯებსაც მოუნდომებიათ ეს ტაძარი მეჩეთად გადაეკეთებიათ, მაგრამ მუშაობას შესდგომიან თუ არა, ყველანი ჭკუაზე შემცდარან და ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ.

ამათს გარდა, შერიფ-ბეგის მამასაც უცდია მოესპო ამ ტაძრის ხსენება. განუზრახავს აქაურობა დაენგრია და მის ნანგრევებზე სახლი აეშენებია, მაგრამ პირველ ღამეებში სიზმრებს საშინლად შეუჭამია და იძულებულქმნილა სახლი სხვაგან აეშენებია.

ამ ხმებს დიდი გავლენა ჰქონია მცხოვრებლებზე და ამ ტაძრისადმი შიში და კრძალვა ჩაუნერგავს. დღეს, მართალია, ნგრევით არავინ ანგრევს, მაგრამ მგზავრები, მეტადრე, მწყემსები, მეტად უპატიურად ეპყრობიან: გამვლელ-გამომვლელთათვის ეს ტაძარი სასტუმროდ გამხდარა; შიგ ანთებენ ცეცხლს, აბამენ თავიანთ საქონელს და მათი ნეხვით მანდაურობას აბინძურებენ და ანაგვიანებენ.”

იმის შესახსენებლად, შინაარსობრივად რამდენად მრავალფეროვან მასალას მოუყარა თავი ამ მოგზაურობისას ზეპირსიტყვიერებაში მკვლევარმა, მოგვყავს კიდევ ერთი მის მიერ ჩანერილი თქმულება „ფაჩხმატელის კლდეზე“:

„დავუპირისპირდით სოფ. ფაჩხასაც, განთქმულს თავისი რკინის წყლებით. სოფელი, მსგავსად სხვა აქაური სოფლებისა, გაშენებულია ფაჩხმატელის კლდეზე, რომელიც ერთ დროს, როგორც ხალხში დარჩენილი ამბავი მოგვითხრობს, მსხვერპლი გამხდარა ნიადაგის რღვევისა. ეს კლდე შუაზე გაპოხილა და ერთი ნაწილი დღე-დღეზე ძირს ჩამოსაქცევად ემზადებოდა თურმე, მაგრამ ხალხის ფანტაზიამ ეს კლდე აამეტყველა. ხალხის გასაფრთხილებლად სულ იძახდა თურმე, „მოვდივარ, მოვდივარ“. ერთხელ მის ძირას ერთ დედაკაცს სარეცხი სდგმია. მოესმა კლდის ძახილი: „მოვდივარ, მოვდივარ“. მთელი დღის განმავლობაში იმდენი იძახა, რომ დედაკაცს მოთმინების ფიალა აღევსო და შეუტია: „რა თავს იგდებ! ყურთა სმენა კი წაიღე! სულ იძახი „მოვდივარ“ და ამდენ ხანს რითი ვერ მოხვედი“. კლდემ იწყინა დედაკაცის შეუპოვრობა, ერთბაშად მოსკდა და დედაკაციც ქვეშ დაიტანა. დედაკაცი დღესაც ამ კლდის ქვეშ არისო“, – დასძენს ხალხის თქმულება. ამ ფაჩხმატის კლდის ამბავი დღესაც ანდაზად არის გადაქცეული. ვინმე რომ დაჟინებით დაიწყებს ძახილს ერთსა და იმავე საგნის შესახებ და თუ თავის ნათქვამს ბოლოს არ მოულებს, ეტყვიან: „რას იძახი ფაჩხმატის კლდესავითო!“

თ. სახოკიას შთაბეჭდილებით, „ქართული ენა, მიუხედავად საშინელი ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელი სინმიდით დაცულა შიდა აჭარაში და განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებიც ზედ აკრავს გურიას. მაგალითად, სოფ. ჭვანის ქართული განთქმულია და შიგ მრავალ საუნჯეს ვპოულობთ ჩვენი ძველი ენისას“ (გვ. 184). მისივე დაკვირვებით,

„ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველნი ჩვენი ენისა. რადგან ნაბეჭდი წიგნები აქეთკენ ამ უკანასკნელ ხანებამდე არ მოიპოვებოდა, თუ წერა და ნაწერის კითხვა იცოდნენ, ისევ ქალებმა. აქაურ ბეგების დედებმა, უფრო ხანშიშესულებმა“ (ვ. ითონიშვილი, თედო სახოკიას ღვანლი ქართულ ეთნოგრაფიაში, თბ., 2013, გვ. 38-39).

გავიხსენოთ და პატივი მივაგოთ დანარჩენ მოგზაურთ და იმ ნატანჯ ხალხში მოტრიალე მეცნიერთა და მკვლევართ.

* * *

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ქართველ მაჰმადიანთა ქართულ ენას გარდა თვით ქართული მეშაირეობა და მელექსეობა არ დაივიწყეს. მაგალითები: ასეთი არის ქობულეთი და აჭარა, სადაც ქართველ მაჰმადიანთა შორის თითო-ოროლა მელექსენიც კი მოიპოვებიან. დღეს, აქ, მათ შორის მელექსეთა რიცხვს მრავლად ნახავს კაცი“ (ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 73).

მსგავს სასიხარულო ცნობებს გვანჯდის შემკრები პეტრე უმიკაშვილი:

„ჩვენ მკითხველებს აჭარულ ლექსებს ნავაკითხებთ და ნახავენ, რომ დღევანდლამდე სახალხო არამც თუ ლაპარაკი, ლექსებიც კი დარჩა“ (პ. უმიკაშვილი, ოსმალოს საქართველო, „ივერია“, 1887, გვ. 11).

ვერ გადავალთ სხვა მკვლევართა ღვანლზე და ისევ უსასრულო წყურვილით დავრჩებით ჩვენი ქვეყნისთვის უსაზღვრო ამაგის მქონე ბ-ნ თედო სახოკიასთან; ადამიანთან, ვინც ნებისმიერ დროს დაგიდგება გვერდში, შემოგემეველება და ხელს გაგიმართავს ეს სიკეთითა და სიბრძნით მოღვაწე ჩვენი წინაპარი.

აჭარულ ზეპირსიტყვიერებასთან დაკავშირებულ ფასდაუდებელ მასალას დაგვიტოვებს მუხლჩაუხრელი მკვლევარი პეტრე უმიკაშვილი.

უპოსის ყანრიდან „როსტომიანის“ ერთ-ერთი ვერსიის ფრაგმენტს მოვიტანთ, მისივე კომენტარით:

„ვაი, რა ქნა ბენმა როსტომ, შვიდი მოკდა ზურაბ მისი,
მკდავი ჩანგდათ გააკეთა, ზედ აისხა ძვადი მისი“.

(გვ. 554). ვარიანტი: ბათუმს ჩან. ჰასან ბეგ ბეჟანოლლის თქმით, 1880 წ. (ნაწყვეტი) სულ 11 სტრიქონია, ასე თავდება: ბოლოში (პ. უმიკაშვილის ხელითვე) მიწერილი აქვს. „ამისგან გავიგონე, – როსტომის ფეხის ძვალი წყალზე ხიდად იდვა, ხალხი გადიოდ-გამოდიოდაო“.

პეტრე უმიკაშვილის თავდადებულ მამულიშვილობაზე გვიამბობს (ამ შემთხვევაში „აჭარაში“ მის ღვანლზე) ფილიპე გოგიჩაიშვილი პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ წინათქმაში.

თურქეთთან ომის შემდეგ ბათუმის მხარე შემოუერთდა რუსეთს. რუსეთის მთავრობის დამყარების გამო ხალხმა იწყო თურქეთში გადასახლება. პეტრე უმიკაშვილი გაემგზავრა აჭარაში ხალხის შესაყენებლად და მისი მდგომარეობის გასაცნობად.

...პეტრე უმიკაშვილმა აჭარაში ბევრი ნაცნობი გაიჩინა, რომელთაგან ზოგიერთებს შემდეგ ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდათ მასთან. ამ მიმომწერებს შორისაა ვინმე შაქირ ეფენდი მიქელაძე, რომლისთვისაც პ. უმიკაშვილს ქართული წერა-კითხვა უსწავლესია აჭარაში. ეს მიქელაძე ხშირად სთხოვს მას გაზეთს და წიგნებსაც თავისთვის და ხალხში დასარიგებლად. პ. უმიკაშვილი მას უგზავნის ნათხოვნსაც და წერილებსაც, და თან ამ წერილებს განგებ ისე მსხვილი ასოებით წერს, როგორც მოწაფე, რათა მისი წაკითხვა მიმღებს არ გაუძნელდეს. „თუ მართლა გნებავთ ქართული წიგნი, – სწერს იგი ერთ წერილში, – დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით, რაც შემეძლება, გაზეთიც გამოდის და წიგნებიც ბევრი იბეჭდება ტფილისში. სასიამოვნო იქნება, რომ აქედან გასულმა გურჯებმა თავისი ენა არ დაივიწყონ და წიგნი იცოდნენ. მე ამ წიგნს დიდროვან ასოებით გწერთ. მეშინია, იქნება ქეც ვერ წაკითხოს და გაუჭირდესო... (პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, ფედერაცია, 1937).

გაძნელება ზეპირსიტყვიერების საექსპედიციო მასალის წინათქმაში ყველა წინარე მკვლევარ-მოგზაურ-მეცნიერის ნაღვანისა და მათ მიერ მოძიებული ნიმუშების სათითაოდ მოტანა, რომ ითქვას, არცაა ამის საჭიროება, მაგრამ ყველა მათგანს რომ უღრმესი მადლობა ეკუთვნის ჩვენი ერისგან, ეს უდავოა. „ნუ მიწყენენ მათი სულები“ – ხალხური თქმაა და ასეთი საქმეების მაკეთებელთა სულები ზეციური საქართველოს მზიანეთშია... მადლობა ყველას, ვინც აჭარის სულიერი ნავსაყუდელის ასამენებლად თუნდაც ერთი აგური დადო.

გადმოვინაცვლოთ „ჩვენს დროში“ და გავარკვიოთ, ვინ იღვანა და ვინ ჩაატარა კოლოსალური სამუშაო „იქაური გურჯების“ – „დავინყებულები“ თუ „შენახულები“ ქართულის საექსპერტოდ. ძებნა-ძიება არ სჭირდება, ეს გახლავთ ყველასთვის ცნობილი მეცნიერი ქ-ნი შუშანა ფუტკარაძე. აქ რამდენიმე პოეტურ ნიმუშს მოვიტანთ შუშანა ფუტკარაძის შენაკრები უნიკალური მასალებიდან, რომელმაც თავი მოიყარა მის წიგნში „ჩვენებურები“, I.

ზეპირსიტყვიერების იქ (თურქეთის საქართველოს მიწებზე) მოპოვებული ჩვენებური აჭარული ნიმუშებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, როგორი უცვლელი სისხლი და გენი გვაქვს, როცა ყველაზე მეტად გვიჭირს, როგორ ვუფრთხილდებით და სულში ვაყვავილებთ ჩვენს სწორუპოვარ საგანძურს, ჩვენს დედა ენას, ამის სარწმუნოდ მოვიტანოთ ქ-ნი შუშანას მიერ დაფიქსირებული რამდენიმე ზეპირსიტყვიერი ნიმუში:

•••

”ავღნეთ, ნევდეთ მუჰაჯირათ,
რა დამაბი დარიაო,
ჩვენ რომ გემში ჩავყდებით,
ჩვენი გუდი კდარიაო“.

მუჰაჯირები ვერც წარმოიდგენდნენ, თუ ოდესმე მიმოსვლა შეწყდებოდა და წინაპრების საფლავებს ველარ ნახავდნენ, მაგრამ ნათქვამია – „დრონი მეფობენო“...

•••

”თეთრო მამადო, რაწომ არ ყივი,
დამაბო ქადო, რაწომ არ ცირი,
შენი ქირიმე, შენ გენაცვადე,
შენი თვად-წარბი მე შემიცვადე,
ლდე გაღმაში ჩვენი სახლები,
მოკდენ ძველები, დარჩენახლები“...

•••

შენი ქირიმე, შენ გენაცვადე,
შენი თვად-წარბი მე შემიცვადე...

•••

სათამაშო ვაშდი მქონდა, შენკენ გადმომივარდა,
ჩემი თავი თუ არ გიყუარს, ნესდიც ამოგივარდა.

•••

გაღმა სერზე სარაია, ერთი გევდეთ, რავაია,
შიდ ფადიმეი ფუნდრუკოფს, სავოცნედათ რალაია...

•••

მაღდა სერზე გამომდგარა თვადჟუჟუნა თეთრი ქადი,
ხელსაც მიქნევს, აქ ამოდი, შინ არ არი ჩემი ქმარი.
ღმერთმაც რომ ამართვას ქმარი, ყურბანთ დავკდა სამი ხარი...

•••

ლდე-ლდე შევიარე, ლდეც ბადახიანი,
მე რომ ფაციო დავაპირე, ნედმაღადი, თმიანი.

•••

თვადები გაქ გიშრისაო, აქ ჩამოდი წყდის პინსაო,
წყადი მასვი კოკითაო, გამაძღვევი, კოცნითაო...

შემევიანე მემდექეთი, ღმერთო, მემე ბერექეთი.

მთქმელი ქაზიმ უჩარი (დავითაძე)

მოვიტანოთ „ჩვენებურების“ ნაამბობებიდან ფრაგმენტები:

* * *

... „ჩუენ გურჯობა, ქართულობა არ დაგვიკარქავს... ქორწილი რო ვიქთ, სულ გურჯულა, ქართულა არის ყუელამფერი, სიმღერა, ლაპარაკი, ადეთები“...

•••

ბაღჩაში მაქ ქანჭურიო, კონნოდ-მონნოდ კიდიო,
მე ის ბიჭი არ მინდოდა, რალა ჩამოძკიდიო...

– სხუაი ლექსი არ მახსოვს, შემცხვა და ჩამიცვინდა სულ...

ემინე და მუქქერემ ჩიბუქები (გოგიტიძეები)

* * *

„ღმერთმა კარქა ამყოფოს ჩვენი საქართუელო...“

– ახლა გურჯისტანისკენ მივალთ და გული დიდი გუაქ, ჩვენ მემდექეთში მივალთ. ჰამა მე ახლავენ წამოსვლას ვჩივი, აქეთ რომ შამოვბრუნდებით და წამუალთ, მაშინ მოგვიჭირეფს გულზე, სარფის კარსა რომე გამევეძრავთ, მაშინ ვიქნებით ცოდვა.

– რა ვქნათ, ღმერთს ასე დუუნერია ჩვენთვინ, ღმერთმა გააყოლაღოს წასვლა-მოსლა და მოგვაყაჟირებისოს ერთმანეთი, მალმალე გადევდეთ, გადმოვდეთ. ამინ!“

რეჯებალი კენჭოლლი (კენჭიშვილი)

ჩემი ანაი იტყოდა:

•••

”დავჯექი, წიგნი დავწერე,
ჩიჭ გავაჯანე ხებრათა“...

ჩემ სიმამარმა სიმღერა იცის ლობიასი:

•••

”ჩემო გამზდელი დობიავ,
რაფრათ თამაშობ ქოთანში.

ჩემო გამზდელი, დობიო
რავა თუხთუხებ ქოთანში“...

ადრეული გაზაფხულის ყვავილს „ბაბილოს“ – სანრიპინას, ასე ეფერებოდა
„ჩვენებურები“:

”თაბე ამოსულო ბაბილო,
ყაიმაღბე იმფო ცკბილო,
მოქქამე თეთრი ლაბაბი,
დამაბი ყურის ბიბილო“...

ახლა მოვიტანოთ „ჯილველოს“ ფრაგმენტი:

”დელიფადი და მეფეო
კარგ საქმეს მიაგებეო,
ერთ ყაიდაზე ამღერდენო,
ერთ ბადიშზე დაბერდენო,
გაუმარჯოს ორთავესო,
ამ ქორნიდის მოთავესო“

•••

”ძილო, ნუ მეძინები,
ძილო, ბაწონოო,
მოხუად, ჩეგეხუცებოო,
ძილო, ბაწონოო.
ნახუად, გაგებუცებოო
ძილო, ბაწონოო“...

და აქვე:

”გიიცინებ, დიგინახავ,
ჩემ უბეში შეგინახავ“...

ჩვენც ჩავიხვიოთ უბეში და სულ-გულში ჩვენებურების უსაზღვრო
სიყვარული...

დაუსრულებლად შეიძლება „ჩვენებურებიდან“ ნიმუშების მოხმობა, ნიმუშებისა, რომელნიც, ჩვენდა საბედნიეროდ, საუკუნეები აცოცხლა, გადაარჩინა დედა სამშობლოს მიწიანად მოწყვეტილმა სისხლუცვეთელმა და ქართველობა ვერ დავინწყებულმა ჩვენმა აჭარლობამ. მადლობა მათ და მადლობა ქ-ნ შუშანა ფუტყარაძეს, რომელსაც კიდევ შევხვდებით ამ წიგნის „შუახვევის ზეპირსიტყვიერების“ ნაწილში...

* * *

2005 წელს მოეწყო კომპლექსური ექსპედიცია მაღალმთიან აჭარაში, შუახვევისა და ქედის რაიონის სოფლებში. ამ ექსპედიციამ მუსიკოსები და ფილოლოგები გააერთიანა: ნინო კალანდაძე და ქეთევან მათიაშვილი (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი), ელგუჯა დადუნაშვილი და გიზო ჭელიძე (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი), ელგუჯა მაკარაძე და გიორგი მახარაშვილი (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრა).

ექსპედიციამ ხალხური მუსიკის საინტერესო ნიმუშებთან ერთად ფირზე აღბეჭდა ყოფის, ხელოსნობისა და რენვის ნიმუშები (თითისტარისა და მარხილის დამზადება, საცხოვრებელი სახლის ტიპები, სამჭედლო, ტურა-ბელელა და სხვ.), ჭიბონის, ჩონგურის, ფანდურის, დოლის, სალამურის, საზის, გარმონის, აკორდეონის, საბავშვო სტვირის დამზადებისა და შენახვის წესები, მათი ნაწილების სახელწოდებანი, ქორეოგრაფიული ტერმინოლოგია და ხანდაზმულთა მიერ შესრულებული აჭარული ცეკვები. ექსპედიციის წევრების მიერ ციფრული წესით დაფიქსირებული 11 აუდიო (თითოეული 80 წთ.) და 6 ვიდეო კასეტა (თითოეული 60 წთ), 408 ფოტო შესატყვისის საპასპორტო მონაცემებითა და აღწერილობით ერთდროულად სამ არქივში ინახება.

* * *

გადავიდეთ ჩვენი საექსპედიციო ნაწილის იმ ოთხ სამუშაო დღეზე, იმ შეხვედრებსა და ძირითადად იქ მოპოვებულ მასალათა (პირობითად) ჩამოთვლაზე... მაინცდამაინც არ ვთვლი საჭიროდ, რიგითობით მოვყვე, ვის შემდეგ ვის შევხვდით.

ადამიანი, რომელიც ხათრით ვერ გეტყვის, რომ ეჩქარება და ცალი თვალი საქმეზე წასასვლელად გზისკენ გაუბრუნდება. რწმუნდები მის სტუმარ-მასპინძლობის პატივისცემასა და ტრადიციულობაში, ერთხელ, ამ 4-5 წლის წინ, ლეჩხუმზე ვთქვი: „დავინწყებული საქართველო“ ვნახე და ახლა აჭარაში ვამბობ თამამად: მონატრებული საქართველო ვნახე!

დიდ-პატარიანად მისანდობლები, გალიმებულები, თბილები, ხელ-გულ გაშლილები, ჩუმ-ჩუმათელა იუმორის მატარებლები, ჩემი ბალღობა რო მაგონდებოდა, თუშეთში თუ სტუმარი არ შემხვდებოდა (დედები გვარიგებდნენ, უცხო მგზავრი თუ ნახოთ, აუცილებლად შინ მოიპატიჟეთო), ტირილით შინ რამდენჯერ მივსულვარ, დამასწრეს, მე სტუმარი არ შემხვდაო... ახლა ყველგან შეიცვლა დროც, ხალხიც და მასპინძლობაც... აქ არა! აქ „გათემიზებაზე“ – გაფაქიზებაზე, განწმენდაზე ფიქრობენ. გულს ინმენდენ, რომ ღმერთმა მოუსმინოთ... რაღა უნდა კითხო ისეთი ქართულის შემნახველს, სავსე, გაბადრული მთვარე რომ დაგადგება თავზე და თანამოსაუბრე ახედავს და გეტყვის: „თვარემ დეივასშმა, ორი დღეა, თვარემ დეივასშმა“.

შენ უკვე ხალხური სიტყვიერების საუფლოში ხარ მოხვედრილი და შენი ვალია კითხო და გაიმბობენ. სატრფიალო სიმღერებზე რომ გეტყვის: „თუაღნაჭირავი სიმღერებია ბევრი“. ეს ძალიან ღრმააზროვანი ქართული სიტყვა იმწუთსავე გაგახსენებს:

”თვადი მიჭირავს შენზედა,
როგორც მიმინოს მწყენზედა“...

და თუ ჩვენ შევალთ თითო სიტყვისა და, მითუმეტეს, თითო ნიმუშის „განჩხრეკაზე“, ამას, გადაუმეტებლად გეტყვით, ტომეულები ვერ დაიტევს. ისევ დავიცხროთ „ბედნიერების ვნებათაღელვანი“ და დავიწყოთ შუახვეის მუნიციპალიტეტის სამივე ხეობაში ჩვენი შეხვედრების ძალიან ლაკონური ჩამონათვალი, რასაც მოყვება ვრცელი და ჭრელი ზეპირსიტყვიერი მასალა.

* * *

პირველი, ვისაც პირველსავე დღეს შევხვდით, გახლდათ ბ-ნი რევაზ ფევაძე, შუახვეის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურში; დრო არ დაგვიკარგავს. მისგან ჩავიწერეთ შუახვეის ძველი, გარდაცვლილი მელექსეების, თითო-ოროლა ნიმუში, რაც გაიხსენა. ეს მელექსეები გახლავთ: რეჯეფ მჟავანაძე, ბინალი ფუტკარაძე, თოფია ქათამაძე, შაქირ ზოსიძე (ყაჭო). მისგანვე ჩავიწერეთ „მემთევრებისა და ქმრების გაბაასება“ (24 სტრიქონი), ქალ-ვაჟის ნადური (15 სტრიქონი), ვახუშტი კოტეტიშვილისადმი მიძღვნა, ავტორ-მთქმელი (ან გარდაცვლილი) ნათელა ხაბაზი (ქობულეთის რ-ნი, სოფელი აჭყვისთავი). ამ მიძღვნამ ვერ მიაღწია ბ-ნ ვახუშტიმდე მის სიცოცხლეში. საინტერესო ნიმუშია.

დავიწყოთ ჭვანის ხეობით: ულამაზეს სოფელ ხაბელაშვილებში ართმელაძე ისმაილ შაქირის ძე, 71 წლის, თავის ცისფერთვალება, ულამაზეს, უჭკვიანეს მეუღლესთან ერთად ტრადიციულ-ტიპიურ ხის

აჭარულ სახლში ცხოვრობს. არაჩვეულებრივი მოსაუბრეა, ამაში თავად დარწმუნდებით. მართლა შეიძლება ასეთ ადამიანებთან დაუსრულებლად იმუშაო, მემთევრებისკენ ერქარებოდა, გავეხუმრე, ზამთარში სამუშაო ადამიანი ბრძანდებით, მოცლით რო იქნებით-თქო, „ოღონდაც ჩამობძანდით და გიგითენებ-დიგილამებო“, – სულმოუთქმელად მიპასუხა...

მართლაც „გიგითენებენ და დიგილამებენ“ სტუმართ აქაური მასპინძლები, ხნიერნიც და ჯეილებიც...

ამავე სოფლის ცენტრში ჩრდილს შეფარებულ რესულ თოფუზის ძე ართმელაძეს გამოველაპარაკეთ. წისქვილის ქვების ოსტატობასთან ერთად აჭარული სიტყვის ღრმა მცოდნეც გამოდგა ბატონი რესული. სევდიანი თვალებით შორს გამხედავმა კითხვაზე, ვინ არიან ოჯახში, დანანებით ახსენა მეუღლე, რომელიც რამდენიმე წელია გარდაეცვალა. მთის კაცისთვის არსაკითხავი საგანგებოდ გავუბედე: „ – გენატრებათ?“ – რას იქ. აი ასეთი ლაკონური პასუხი მივიღე და მერე, სევდა არ შემეტყოსო, ბედნიერად ჩამომითვალა შვილ-შვილიშვილი და ის ამბები, რასაც, დარწმუნებული ვარ, ინტერესით გაეცნობით.

ბინდდებოდა, ჭვანის ხეობის ულამაზეს ქალას რომ მივადექით. ბ-ნ შოთა დიასამიძესთან გვირჩიეს შეხვედრა და გაგვიმართლა... თავის უსაყვარლეს ოჯახთან ერთად შეგვხვდა, გაიხარა და გაგვახარა (აქ მის პოეზიასაც გაეცნობით).

ბ-ნი შოთა დაიბადა 1943 წელს, ამ სოფელში და ერთხელაც არ გამორებია აქაურობას, გარდა სწავლა-განათლების მისაღებად წასვლისა. მას ეთაყვანებოდა თავისი მოწაფეები და, ბედი ხომ გინდა! სწორედ იმ დროს, როცა მივედით, მასწავლებელთან მოსანახულებლად მოვიდა ბ-ნი შოთას ნამონაფარი ახალგაზრდა კაცი მეზობელ სოფელ წყაროთაძან ვახტანგ გოგრაჭაძე, 36 წლის. იგი აღმოჩნდა ძალიან საინტერესო ავტორ-მთქმელი და იქვე ჩავინერეთ მისი „მე მთიელი ბოკვერი ვარ“ და „დრო ზამანი“.

ამავე ხეობის სოფელ ცეკვაში შევხვდით ქ-ნ ნაზი ბოლქვაძეს, ვისგანაც ჩავინერეთ შელოცვები და დემონოლოგიური თქმულებები... ეს სახლი მხიარული შვილიშვილებითა და ხალისიანი ბაბუით (ქ-ნ ნაზის მეუღლე) დამამახსოვრდა...

მარეთის ულამაზესი ხეობა... ცხელოდა, სოფ. ოლადაურში როცა ავალწიეთ, სოფლის ცენტრში ჩამოვქვეითდით მანქანებიდან. მიყვარს ალალ ხალხთან ალალად შეხვედრა...

აგერ, გრძელ სკამზე ჩუმად თავისთვის მოფიქრალი კაცი ზის... მივუახლოვდით, მივესალმეთ. გამოცოცხლდა. ძალიან თბილად მოგვიკითხა, დიდი ხნის ახლობლებივით მიგვილო. ეს ბ-ნი გურამ მაკარაძე აღმოჩნდა, და ყველაზე მთავარი ისაა, რომ თავის კუთხეზე შეყვარებული და ძველი და ახალი ამბების მცოდნე, თავადაც ბევრი ლექსის ავტორი გახლავთ. უმთავრესად მისი ლექსები არახალხური საზომითაა დაწერილი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა... ბევრი საინტერესო ცნობა და ამბავი ჩავინერეთ მისგან...

აქვე ნელ-ნელა შემოგვემატნენ ამ სოფლის მკვიდრნი, ახლა ბათუმში რომ სახლობენ და დღეს ამავე სოფლის მკვიდრის, გარდაცვლილი მოხუცი ადამიანის გასვენებაში ამოსულან. სანამ გარდაცვლილის ოჯახში გადაინაცვლებდნენ, ჩვენ ვასწრებთ ბ-ნ ბადრი დარჩიძესთან გასაუბრებას. ბ-ნი ბადრი სოფელ მახალკიძეებიდან გახლავთ, ოლადაურზე ლამის მობმული სოფლიდან და ძალიან ბევრი ნაშრომი აქვს. აღარ ვიტყვი ქორეოგრაფიაში მისი დამსახურების შესახებ. ამაზე მისი ანსამბლები მეტყველებს.

ძალიან საინტერესო ადამიანზე უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა; ღვანლით სავსე ადამიანზე, ვინც ავტორია წიგნისა „კვიახიძეები“. ეს გახლავთ ბ-ნი თამაზ დიასამიძე. მან ხომ თავის სოფელს ძეგლი დაუდგა. ასეთი ხასიათის წიგნებს კიდევ შევხვდით ამ ექსპედიციის მანძილზე და ყველა ავტორს გულითად მადლობას მოვასხენებთ იმ უშურველი ღვანლისთვის, ვითომ სოფლისთვის რომ იღვანეს და საქვეყნო მნიშვნელობის საქმე კი გააკეთეს...

სოფელ ოლადაურის მკვიდრი თამაზ მაკარაძე დასაფასებელი ადამიანია. ოჯახიც სანთელივით სუფთა და შეხმატკიბლებული ჰყავს. დიდ-პატარამ თავ-თავისი ადგილი იცის. სახლ-კარი სისუფთავით ბრიალებს. დგამ-ჭურჭელს ოჯახის დიასახლისობა ატყვია. მონატრებული ქართული სოფლის სურნელი წამოგყვება დაუვინწყებლად... კარგი მეტყველია ბ-ნი თამაზ მაკარაძე და მნიშვნელოვანი ამბების მცოდნე...

სანამ სხვა სოფლებში საკალმასოდ გავემართებით, ბარეც ოლადაურით გავაგრძელოთ. შევხვდით ფუტკარივით თავის კულტურას თავს დამბრუნავ კაცს, ამ სოფლის ეთნოგრაფიული მუზეუმის უნახავად აქედან წასვლა სიბრიყვე იქნება. ამიტომაც მუზეუმის სპეციალისტსა და არაჩვეულებრივი ექსპონატების შემკრებ ბ-ნ არჩილ მაკარაძეს გავესაუბრეთ. ჩვენი საუბრის მნიშვნელობაზე ამ გვარ-სახელის კვალზე მოყოლილი მასალა დაგარწმუნებთ...

ისევე მარეთის ფანტასტიკურ ხეობაში ვართ. სოფელი ლომინაური. ერთდროულად წვდება სმენას ორი აღმსარებლობის მქრქალი ხმები... უმშვიდესად ბრუნდება საძოვრებიდან საქონელი... შემგლისფერდა. ჩვენ ყვავილნარით სავსე ეზოში ვხვდებით. ამ სოფელი გამყოლი მიმანიშნებს სახლზე და მეუბნება: ქ-ნო ეთერ, ეს შუშანა ფუტკარაძის სახლია, გუშინ წავიდა ბათუმში... გული მწყდება, თავის ეზო-კარში რომ ვერ მოვეუსწარი დიდ ქალბატონს.

გვერდით, ორი სახლის იქით, ძალიან სასიამოვნო ქალბატონებს, დედა-შვილ შექირ და ჟუჟუნა ფუტკარაძეებს ვხვდებით. შექირი გვიამბობს, როგორ უყიდა მამამ გერმანიიდან ჩამოტანილი გარმონი. ყველაფერი ჩავინერეთ მის მიერ შესრულებული.

ძალზე ენატკბილი აღმოჩნდა ამბების მოყოლაში შაქარივით უტკბესი შექირ ფუტკარაძე.

დაგვაღამდა. ჩვენ ისევე ვინაცვლებთ გარდაცვლილი მელექსის ნადია ფუტკარაძის ძმის სელმან ფუტკარაძის ოჯახში, სოფელ ღვანში.

აღბომებიდან ვიღებთ ლექსებს, ომში დაღუპული თანასოფლელი მებრძოლებისთვის რომ მიუძღვნია ნადიას.

ექსპედიცია მუშაობას აგრძელებს. დღეს კიდევ ერთ ისტორიულ ხეობაში მოვიკალმასებთ. დილიდანვე ჩუმ კითხვარებს ვიხვავებ სულში. სოფელ ნიგაზეულში უნდა ავიდეთ და დიდი სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი მოვინახულოთ; საფლავი თავგანაყარი გვამისა, სელიმის თავი სტამბულში რომ ჩაუტანიათ და გაავებულ თურქთა თავკაცს – მე ცოცხალი სელიმი მჭირდებოდაო – თავის ჩამტანელ-მიმრთმეველის თავიც იქვე რო გაუგორებია... სწორედაც რომ გაგახსენდება არა თურქებისგან, არამედ თავისივე კუთხის შვილებისგან საუკუნოდ საკვენესარი, გამოუსწორებელი ცოდვა, ჩადენილი მიხა ხელაშვილის მიმართ. მიხას რომ ესვრიან თავში, იმ თავიდან დანაფანტ ტვინს მიხას და რომ მოკრეფს და საფლავს გაუთხრის ჩარგალში. დუშეთის მილიციის ეზოში ზეზეურად დაგდებულ გვამს (რომელსაც ხევსური პოლიციელი, გვარად ქეთელაური, მოსალოდნელი განსაცდელის მიუხედავად, მიხას დას რომ მოაპარინებს) ცხენის ხურჯინის თვლებით ჩარგალში წაიღებენ და მიხას ტვინს და გვამს საზიარო სამარე ეღირსება“...

ვნატრობ: იქნებ სელიმის თავიც მიგვებარებინა წმინდა ნაწილებთან იმ საფლავზე, სადაც ბუნებას ერთმანეთისთვის შეუხორცებია ორი ხე: მუხა და ნაძვი და ცისკენ აუნვდია... ბუნებამ უშეცდომო ძეგლები იცის...

პირველ რიგში სელიმის მუზეუმში მივდივართ, სადაც ხიმშიაშვილები და აბაშიძეები გვხვდებიან. შთამბეჭდავია აქაურობა უნიკალური ექსპონატებით...

ძალიან საინტერესო იყო მუზეუმის დირექტორთან ბ-ნ ელგუჯა ხიმშიაშვილთან და მისგან მონათხრობ ამბებთან შეხვედრა. ამავე მუზეუმში დაგვიხვდა ბ-ნი ისიდორე აბაშიძე, ვინც თავისი სოფლისა და გვარის ჩამომავლობის ისტორიები გაგვაცნო. აქვე დაგვიხვდა ამავე სოფლის მკვიდრი ბადრი ხიმშიაშვილი, რომელმაც მთელი ექსპედიცია თავის ოჯახში მიგვიწვია და გულუხვ მასპინძლობასთან ერთად უთბილესი დედა და მამიდა გაგვაცნო და ვინ აღმოჩნდა ბადრი ხიმშიაშვილის დედა! – ჩვენი სათაყვანო მწერლის ნოდარ დუმბაძის პირველი სიყვარულის მერი მალულარიას ქალიშვილი – ჟუჟუნა აბაშიძე-ხიმშიაშვილისა, კდემითა და ქალურობით გამორჩეული ადამიანი... დარწმუნებული ვარ, ამ სიყვარულის ხალხურ მონათხრობებს, დიდი სიყვარულით მიიღებს მკითხველი...

ბადრი ხიმშიაშვილთან ოჯახში შემოგვიერთდა ბ-ნი თემურ ხიმშიაშვილი (ბადრის ბიძა, ამ სოფლის – ნიგაზეულის გაზეთის რედაქტორი)...

აქვე ჩავინერეთ სამაგალითო მთხრობელი, ბადრის მამიდა – მერი ვეხბის ასული ხიმშიაშვილი.

ჩავინერეთ შაქრო ხიმშიაშვილის მიერ შეკრებილი საინტერესო ტოპონიმები – თავისი თქმულებებით...

დაგვალამდა... მიუხედავად ამისა, ვახტანგ ბერიძე გვიჩვენებს, ვესტუმროთ და ჩავინეროთ ფატი (ფატკუმე) მიქელაძე... მადლობა, ვახტანგ, გამორჩეულ ოჯახში და მთქმელთან შეხვედრისთვის.

თავმდაბლობის გამო ქ-ნ ფატის ბევრი რამ დარჩა საამბობი. ისე ქარგავს და აფერადებს აჭარულ დიალექტზე სათქმელს, როგორ განუმეორებლადაც ქსოვს აჭარულ წინდებს...

შვილებთან იუმორით გაჯერებულ მის ურთიერთობებზე აღარა-ფერს ვიტყვი.

ჩვენ გადმოგვცეს ზამლეთის ხეობის სოფელ ფურტიოს მკვიდრის (შემკრების) თამარ დიასამიძის საინტერესო მასალა. მას ეს მასალა ჩაუნერია შემდეგი მთქმელებისგან: ნებუ ბერიძე, ამირან დიასამიძე, აინურ ბერიძე, სემენა დიასამიძე, არონ დიასამიძე, ფედოსი დიასამიძე. ეს მასალა შემდეგ ჟანრებს მოიცავს: პოეზია, შელოცვები, წყევლები, სოფლების სახელწოდებების წარმოშობასთან დაკავშირებული ლეგენდები და სხვ.

ჩვენთან ერთად განუშორებლად იმუშავებს ვახტანგ ბერიძემ, გივი ნახუცრიშვილმა, ლოლიტა სურმანიძემ, ვინც ყოველგვარი სამუშაო კომფორტი შეგვიქმნა...

დიდი მადლობა გურამ გაბაშვილს, დიდი მადლობა ნუკრი ირემაშვილს ბევრ სახიფათო გზაზე უხიფათო მოგზაურობისთვის.

არ ვთვლით, რომ ჩვენი საექსპედიციო მისია ზეპირსიტყვიერებაში დასრულდა. დანამდვილებით ვიცით, რომ ეს დასაწყისის დასაწყისია ამ დარგში მომავალი საძიებო ექსპედიციებისა, თუმცა უფალს ვწირავთ მადლობას იმისთვის, რომ ზუსტად დაგვანახა, რა სიმდიდრეა სულიერად აჭარაში დავანებული და წყურვილით ველოდებით, გავაგრძელოთ ამ კუთხის გულდამშვიდებული და გრძელვადიანი ექსპედიციები...

ჩემს თავს ამ ოცნების ასრულებას ვუსურვებ.

P.S. არავინ დაინყვიტოს გული თუ სახელდებით აქ ვერ ჩამოვთვალე; ადამიანები, რომლებმაც თუნდაც სოფლიდან სოფლისკენ მიმავალი სწორი გზა მიგვასწავლეს.

მარეთის ხეობა

ჩამწერი ბიორბი მაკარაძე

(ოლადაურის მკვიდრი. მაშინ (2009 წელს) იყო მოსწავლე XII კლასის, როცა ეს მასალა შეკრიბა, არჩილ მაკარაძის ხელმძღვანელობით)

”ხეობა, რომელსაც ისტორიულ სინამდვილედ მივყავართ“

მარეთის ხეობის ხისა და თიხის დამუშავების ოსტატები ცნობილი ყოფილან უძველესი დროიდან. ცხადია, ამას ხელს უწყობდა ცაცხვის, თელის, ლეკის, იფანის, სხვა ფოთლოვანი და წინვოვანი მცენარეებისა და თიხის დიდი მარაგი. უპირველესად, ცაცხვისა და ლეკისაგან ამზადებდნენ გოდრებს (გოდარა), მარებს – ხის გულამოღებულ ჭურჭლებს, თიხისაგან დერგებს, ჭურებს ხილის დადუღებული თუ დაუდუღებელი წვენების, რძის პროდუქტების, ღვინის, მწნილებისა და სხვა პროდუქტის შესანახად. გემოვნებით ამზადებდნენ ხის გობებს, სუფრებს, ლამაზად გაფორმებულ თიხის ქოთნებს, სურებს, დერგებს, დიდი და პატარა მოცულობის ჭურებს, რომელთაც სავაჭრო-საექსპორტო მნიშვნელობა ჰქონდათ.

„მარ“ ბარაქის ღვთაება იყო (დ. შენგელია, თხზ. 2, 1960, გვ. 468). „მარ – მარი“ ძველი ირანულიდან მომდინარეობს და ნიშნავს რიცხვს, რაოდენობას, აქედან წარმოქმნილია მრადლე – მუდამ (მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 253).

როგორც აღვნიშნეთ, სოფლის ისტორია შორეულ წარსულშია საძიებელი. ამაზე არაერთი ფაქტი მიგვანიშნებს. გადმოცემით, მდინარე ჩიხურისწყლის პირას, გამონათლევის უბანში აუგიათ საყდარი, სადაც საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ. განა სახელწოდებაც გამონათლევი ამაზე არ მიგვანიშნებს, ეს საყდარი ღვარცოფს დაუმენყრავს. ამის გამო მახლობლად მოსახლე ორი ძმა აბძიბა და მიქელა ორიოდე კილომეტრის ზემოთ, ლამაზ პატარა უბანში დამკვიდრებულან და ამ ადგილისათვის ჯუმუშაური (გ. ყაზბეგის მიხედვით, ჯიმიშაური) შეურქმევიაო. იქნებ ჯიმიშაური სწორედ ძმების სოფელს ნიშნავს, მეგრულ-ჭანურად ხომ ჯიმა ძმის აღმნიშვნელია.

გამონათლევის ნაეკლესიართან მოგვიანებით გივი ფუტკარაძის ოჯახი სახლობდა. მისი გადმოცემით, სახლთან ახლოს, ნალიისათვის საძირკველის გათხრის დროს, ძველისძველი ცული უნახავს (აღწერით კოლხური ცულის მსგავსი). შემდგომ ოჯახი მდინარის მეორე მხარეს გადასახლებულა. გადაბარგების დროს კი ცული სადღაც დაკარგვიათ.

საინტერესოა, საიდან წარმოდგება სახელწოდება ოლადაური.

თქმულებას თუ დავუჯერებთ, ჯუმუშაურში დამკვიდრებული ძმების ერთ-ერთი შთამომავალი, სახელად დაური, სოფლის განაპირას (ახლა სინდაური, ოლადაურის შუა უბანი) დასახლებულა. მას, რაკი მომხდურებმა ვერაფრით გაამუსლიმანეს, თანასოფლელები ყოჩალი

დაურის (თურქულად „ოაღნ დაური“) ეძახდნენ, რომ ვერ დაიმორჩილეს, ოსმალებმა მზაკვრულად მოკლეს თურმე, აქაურებმა კი მის პატივსაცემად სოფელს ოლადაური შეარქვეს.

ამ ვერსიას ამაგრებს ოლადაურისა და ჯუმუშაურის უხუცესი მკვიდრების, უალრესად ნიჭიერი და თვითგანათლებული ადამიანების ალექსანდრე მაკარაძისა და მიხეილ მიქელაძის ნაუბარი, რომელიც 25 წლის წინათ ჩაინერა ისტორიის მასწავლებელმა არჩილ მაკარაძემ (მასალები ინახება ოლადაურის ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში).

ჯუმუშაურში თავდაპირველად დამკვიდრებულ ორ ძმათაგან ერთ-ერთს კარგა ხანს ვაჟი არ შესძენია და გადაუნყვეტია, ეშვილა ვინმე. იმხანად გარეშე მტრების მოძალებისა თუ შინაური შფოთისა და გაუტანლობის გამო, ბევრი ოჯახი საკუთარ მიწაზე ხიზანი ხდებოდა. მესხეთ-ჯავახეთიდან (შესაძლოა ოლაღის ხევიდან) ერთ ლტოლვილ ოჯახს სოფელ მახალაკიძეებში შეუფარებია თავი. ოჯახის თავკაცი შესანიშნავი კალატოზი ყოფილა და მას მახალაკეთსა და მეზობელ სოფლებში ხშირად ინვედნენ სახლებისა თუ სხვა შენობების ასაგებად. აბიბას და მიქელას იგი ეკლესიის ასაშენებლად (გამონათლებში დამენყრილი ეკლესიის სანაცვლოდ) მოუნვევიათ, რომლის აგებაც სინდაურის უბანში დაუნყიათ. ცხადია, ოსტატს შვილებიც ახლდნენ. მიქელას მოწონებია მშენებლის უფროსი ვაჟი, რომელიც ოსტატობაში მამას არაფრით არ ჩამოუვარდებოდა თურმე. მისთვის თავისი ქალიშვილი მიუთხოვებია და მშენებარე ეკლესიის მახლობლად სამოსახლოც გამოუყვია. ასე ჩაეყარა საფუძველი ოლაღელის უბანს. შემდეგ უმრავლია მის შტოს და უკვე საკმაოდ წამოზრდილი სოფლისათვის ოლადაური დაურქმევიათ.

ხიზანში სტუმრობისას თამარ მეფე სალოცავად სხალთის ტაძარში დადიოდა. ფურტიოელები დღესაც გვიჩვენებენ იმ ადგილს, სადაც მეფეს ღამე უთევია, წყაროს (დედოფლის წყაროს), სადაც თამარი არაერთხელ ჩამომჯდარა წყურვილის მოსაკლავად. შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ ციხესიმაგრეების, აბანოების, ხიდების, ეკლესიების აგებას თამარის სახელს უკავშირებენ. მახუნცეთის, დანდალოს, ფურტიოს, ჭერის ხიდები ერთ დღეს ააშენა თამარ მეფემო. ალბათ, ასეც იყო, აკი თამარის ხანა შენება-აყვავებას მოიცავდა.

საერთოდ, თამარი რომ პოპულარული სახელი იყო აჭარაში, ამას „ტბეთის სულთა მატინაც“ ადასტურებს.

თქმულების ერთი ვარიანტის მიხედვით, ოლადაურში არსებული ტოპო – ნიმი „თამარჭალა“ ნაწარმოებია იმ იქაური ქალის – თამარის სახელისაგან, რომელმაც თავი შეაკლა მომხვედურებს, რათა თავისიანები ეხსნა.

მარეთის ხეობის შესასვლელსა და გამოსასვლელში ორი თავდაცვითი მნიშვნელობის ციხე-სიმაგრე დგას, ხეობის რამდენიმე ამაღლებულ ადგილას სათვალთვალო პუნქტები ჰქონიათ, მათ შორის ერთი თამარჭალაში. შენიმ – ნავდნენ თუ არა მტერს, ცეცხლის გაჩენით ატყობინებდნენ მოსალოდნელი

საფრთხის შესახებ, მაგრამ საფრთხეს თავს ყოველთვის როდი აღწევდნენ, ოსმალთა რაზმი ოლადაურში შემოჭრილა, ქვრივის სახლს მიდგომია და საჭმელი უთხოვია. შურისძიებით ანთებულ ქალს პურსა და ღვინოში სანამლავი შეუპარებია და მომხვედურები ამოუხაცავს, თავადაც შურისძიების მსხვერპლი გამხდარა. არ არის გამორიცხული, რომ თქმულება სინამდვილეს შეიცავდეს.

სწორედ ამ გზაზე, სანალიას მთიდან 3-4 კილომეტრში ბოსტანაღელეს გავლით, უძირო ტბიბოლოს მიდამოებში, უძველესი დროიდან არსებული აბანო, რომელიც ძვირფასი სამკურნალო თვისებებით ყოფილა გამორჩეული და რომლისთვისაც ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ყურადღება მიუქცევია ცნობილ მოღვაწეს იოანე ლაზს, პეტრე იბერიის აღმზრდელსა და მასწავლებელს. მას აბანოს ახლოს ქსენონი აუშენებია, სამკურნალოდ ჩამოსული თუ ჩამოყვანილი ავადმყოფები რამდენიმე დღეში განკურნებული უკან ბრუნდებოდნენ.

ოლადაურ-თამარჭალაზე გავლით შავშეთ-იმერხევისაკენ უმოკლესი გზით მიმავალი თამარი დაინტერესებულა სანალიის მთის აბანოთი. თამარჭალის მიდამოებში შეჩერებულა. მეორე დღეს, თამარჭალიდან 2-3 კილომეტრში, უძირო ტბიბოლოს მიდამოებში არსებული აბანოს აბაზანებიც მიუღია, კინიჯვრის ღელესთან არსებულ საყდარში ულოცავს და ყვირილას მიმართულებით შავშეთ-იმერხევისაკენ გამგზავრებულა.

თქმულების მიხედვით, კინიჯვრის საყდარს ზაფხულის პერიოდში საკმაო მრევლი ჰყოლია იმერხევისა და მარეთის ხეობის ახლო სოფლებიდან, სანალიას, მაჭახლისა და ჯინალის საზაფხულო იალალებიდან.

1906-1908 წლებში კონსტანტინე მაჭავარიანმა გამოაქვეყნა აჭარაში შეკრებილი თქმულებები, გადმოცემები, მათ შორის თამარ მეფესთან დაკავშირებული, ავტორის მიერ ჩანერილი ერთი თქმულების მიხედვით, აჭარაში მოგზაურობის დროს თამარი შეჩერებულა სოფელში, სადაც დაავადებული მტრედი თუ შევარდენი სამკურნალო წყალში განკურნებულა თურმე. შემდეგ ის ადგილი კეთილმოუწყვიათ, სადაც ბევრი ჩამოსული ავადმყოფი მკურნალობდაო (კ. მაჭავარიანი, თქმულებები, 1968 წ.).

იქნებ რაიმე საერთო ჰქონდეს ლეგენდაში მოყვანილ ამბავს სანალიის მთის აბანოსთან, ვინ იცის. ღვანლმოსილი პედაგოგის ვ.ი. მაკარაძის გადმოცემით (ბაბუისაგან მოუსმენია), თამარჭალიდან 3 კილომეტრში უძირო ტბიბოლოს მიდამოებში მართლა ყოფილა უებრო სამკურნალო თვისებებით გამორჩეული წყალი და თამარი თითქოს მართლა შეჩერებულა აბაზანის მისაღებად.

აბანოზე სამკურნალოდ ავადმყოფები დიდი რაოდენობით ჩამოდიოდნენ აჭარიდან, შავშეთ-იმერხევიდან, მასობრივი თავშეკრებები აღვიძებდა მთაში ეროვნულ სულისკვეთებას; ამიტომ დამპყრობლებმა მე-17-18 საუკუნეების მიჯნაზე ძვირფასი სამკურნალო აბანო ამოაქოლვინეს და აბანოს კვალი დაკარგეს.

თამაზ ღიასამიძე
მარეთის ხეობა, სოფელი ოლადაური

საწრფიადო

ქადო – დერნმის წანიანო,
მოხდენილო ეშხიანო,
აივანზე ნუ დადგები,
ქმარი ან აეჭვიანო.

ვარდის სურნელება ასდის
შენს გიშრისფერ, დამაბ თმასა,
ძველებურად რომ ან ვგადობ,
აღბათ მიცომ ან მცემ ხმასა.

დაივინყე ყვედაფერი,
ახარს შეურიგდი ბედსა,
თვადებს ცნემდით ნუ ილადავ,
ცხოვრებას ნუ უხრი ქედსა.

სევდიანო ჩიჭუნია,
ინდი-მინდი ფერად შინდი,
თუ ერთ ადგილს ვერ ჩერდები,
ისევ ჩემთან გადმოფრინდი.

•••

”მებობედო კარისაო,
სინათლე ხარ თვადისაო“,
ჩვენ ერთმანეთს ან ვივინყებთ,
გვაქვს იმედი ხვადისაო.

ჩვენი დიდი წინაპრები,
სთესდენ მარცვადს სიკეთისას,
რომ გვცოდნოდა ყადრიც, ფასიც –
მოდმისაც და მოკეთისაც.

•••

გიშრის ცბაში ამოვავდებ
ყადამსაც და საჭრეთედსაც,
გუდით ვლოცავ ყვედას ერთად,
მარეთსა და მარეთედსაც.

ქართულ გენს და ქართულ ჯიდაგს
სუდ ემრავლოს, სუდ ემრთედლოს,
რაც კარგია ქვეყანაზე –
მარეთედებს დაენათლოს.

წყარო

თავანკანა წყარო მოჩქევს
მთა "ნაცარას" ნაჟური,
აბა, ერთი მოსმით შესვი,
ვაჟი თუ ხარ ვაჟური.

სიხარულით სხივებს აფრქვევს
მზე სიცოცხლის სანყისი,
სადღეგრძელო უნდა შევსვა,
მომანოდეთ სასმისი.

სიბერე

დანდმა დაღია მოხუცი,
გაუქრო თვადის ჩინია,
სიბერეს სჩივის მარჯოკა,
სიკვდილის არ ეშინია.

უჩივის მარჯობასა,
არა ჰყავს გუდის სნორია,
ყვედა წავიდა, ვინც იყო
მისი ცოდი და სნორია.

ბებო

ღეღამ როცა ღეღუღეთში
წაგვიყვანა ბაღლები,
კუთხე-კუნჭულ მოვიარეთ
სახლი, ებო, ბაღლები.

რომ ვიპოვე ღერგუდაში
ჩანყობიდი კვერცხები,
ენბო-კვერცხი შემიწვი თქო,
ბებიკოს ვეხვენები.



ბებომ თხოვნა შემისრულა,
ერბო-კვერცხი შემინვა,
ცოფა მეც შემაქამელ,
მეხვეწება ჩემი ძმა.

მოთუხთუხე ცხელი წაფა
ჩავდგით სუფრის შუაში,
სქელი მქადი მოვიფხეთ
და ჩავკბინეთ ყუაში.

ბებომ წყალი მოგვიწანა
თიხის ძველი სურითა, –
ცივ წყაროს წყალს დავენაფეთ,
გუდითა და სუდითა.

თვალში ცრემლი ჩასდგომია,
გრძნობებს ველან ერევა –
მეფისმეფი სიხარულით
მოხუცს სული ეღევა.

მერე კადთაში ჩაგვისვა,
როგორც გვრიცის ბარცყები;
ასე მე რა გამაჩერებს,
მაგრამ როგორ ავდგები?

ცრემლებით სუდ დაგვისვდა
ღოყა, თმები, ყურები,
თითქოს თავზე დაგვაცადეს
წყალით სავსე სურები.

სახეში რომ შევაცქერდი
მას ბავშვური თვადებით,
უცნაური მომეჩვენა
მაშინ ბებოს თვადები.

ის იყო და... მას უკან დრო
ისე სწრაფად გავიდა,
კვდავ მგონია, რომ ბებო წყდის
მოსაწანად წავიდა...

ეხდაც თვადნინ მიდგას იგი
დაკოჭრიდი ხედებით,
ბავშვებს თმებს რომ გვისვედებდა
სიხარულის ცრემლებით.

•••

კდელმა თქვა: "ძირს რად მითხრიან",
წყვიდა რად ხარჯვენ ღონესო?
აგერა, თქვენთან მითქმია,
ვერავინ დამაღონებსო...

•••

ფიქრის გორას ჩავუარე
დაბინდული გონებით,
გორის ძირში ფაცხა დავდგი,
დაფნეს ფიჩხის კონებით.


დავჯექ, ქნარი ავამღერე
სუვდიანი სიმებით,
მდინარებზე წივი შევკარ
ისევ დაფნეს ბნკირებით.

დაფნეს წივზე მივესვენე,
მთვარეს გუდი გავუხსენ,
ღმერთს შევვედრე – საქართველო
ყვედა მწრისგან დაიხსენ.

* * *

სოფელში შემოსასვლელი სამანქანე გზის შეკეთებისას გზის ზედა ნაწილი ჩამოიშალა. გამოჩნდა ადამიანის თავის ქალა (დასაფლავებული ქრისტიანული წესით) და თითქოს მომესმა შორეული ხმა იდუმალი:

ხარ მემკვიდრე ქართულ მიწის, –
მისი წმინდა დამპარი,
არ ნახდე, არ დაივინყო
ის დიდი წინაპარი.



ვინაც მოგცა ქრისტეს ჯვარი
მოქარგული ვაბითა,
ცაძრები და გუმბათები
ვინაც ცამდე აბიდა.

ვინც პირველმა გაიკვალა
გბები მთისკენ სავადი,
დაგიფოვა რწმენა ნრფედი, –
ღმერთისკენ მიმავადი.

საკუთარი სისხლის ფასად
ნამუსი შეგინახა,
აგიხიდა თვალები და
სამყარო დაგანახა.

ქეშმარიტი მოგცა რწმენა,
რწმენა წმინდა, მაღალი
დაგიმკვიდრა სუღინმინდა,
სიფყვაც, საქმეც აღალი.

ქვის ნაფეხით მინა თხარა,
კდეს უპოვა ნაპრადი,
კაკლის ხისგან გამოთადა
ის პირვედი აკვანი.

სად გიმღერდა ღედა ნანას,
აკვანს ღიმით არწევდა,
მისი ცკბილი იავნანა
კდარჯეთამდე აღწევდა.

ამ დროს შენი დაიკონა
შენს აკვანთან ანგობდა,
ბებო, სახედაღარუდი,
ჯვრიან მქადებს აცხობდა.

ქვეყანას რომ შეესია
ყიბიღბაშთა დაშქარი,
ქართუდ წიგნებს რომ შეუნთეს
ისღამური მაშხადი.

წმინდა ჯვარი რომ შებიძნეს,
თავს დაგხურეს ჩადმები,
როცა ქორთხს გააფანეს
ნანამები მამები.

ქართვედ ქადთა ბაგე-ლანვი
სისხლის ცრმედმა დალანა,
როცა მისი ბროდის სახე
შავმა ჩადრმა დაფანა.

გაგიჩეხა ვენახები,
თავზე კვერი გაფანა,
ყვედაკაი, რაც კი ნახა
მღვრიე წყადს გააფანა.

ყვედაფერი ნადეკა და
ყვედაფერი დაგდიჯა,
მაგრამ სუდი, – სუდინმინდა
სხეულს ვერ მოაგდიჯა.

მწერმა რისხვით ქართვედ დედის
ნამუსი ვერ შედახა,
დედის სახელს უმადლოდე
”დედა ენის“ შენახვას.

– დედიჩემის იავნანა
ახდაც ისევ ამანთებს,
ლმერთს მადლობა, შენმა ძვლებმა
ისევ გამოანათეს.

შუამთობა

შუამთობისთვის მზადება რამდენიმე დღით ადრე იწყება: სამზადისში შედის დოლის, გარმონის, ფანდურისა თუ სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების მოძიება-გამართვა; მემთეურებისა და სტუმრებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის, ხილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის მომარაგება.

ასე იყო ძველადაც. ორი-სამი დღით ადრე გადაწყდებოდა, რომელ დღეს წასულიყვნენ. გასვლის დღეს პატარძლებს წაიყვანდნენ ცხენებით, ცხენს ოჯახის უფროსი ან ახლობელი უძლოდა წინ. ეს განსაკუთრებული პატივი იყო „გელინებისათვის“, თუ პატარძლის პატრონს ცხენი არ ჰყავდა,

მეზობლისგან უნდა ეთხოვა. აბა, ფეხით ხომ ვერ გაგზავნიდა? ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

დანარჩენები შეიკრიბებოდნენ სოფლის ცენტრში, „ჯამიკარ“ და შუადღის შემდეგ „დოლ-გარმონითა“ და სიმღერით, ფეხით გაუდგებოდნენ გზას. ყოველ შესვენებაზე გაიმართებოდა ცეკვა-თამაში. ასე იყო მანამ, ვიდრე „თიკალთას“ მიაღწევდნენ; აქ კი განსაკუთრებული „სერი“ ტარდებოდა, რადგან ეს ადგილი კარგად ჩანს მთიდან; „მემთეურები“ ზემოდან გადმოჰყურებდნენ „მეშუამთობებს“; დაიცლებოდა თოფები, გახურდებოდა „დავლი“, გაინელებოდა გარმონი... „მეშუამთობენი“ „მაყრულით“ შეუდგებოდნენ აღმართს, მთაში რომ ავიდოდნენ, იქ „ნაფოშტვარზე“ გრძელდებოდა ზეიმი კოცონის შუქზე, მოიკაზმებოდნენ მოცეკვავეები „ქურთას“ ფორმაში. ცეკვავენ „განდაგანას“, „ქურთბარს“ (ხორუმის მსგავსი ცეკვა)...

რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ სპირტიანი სასმელი არ იყო გამოყენებაში, სამი-ოთხი დღის განმავლობაში მხოლოდ ცეკვა-სიმღერაში ატარებდნენ მთელ დროს. რაფიელ დიასამიძე როდესაც მოიგონებდა მაშინდელ შუამთობას, იტყოდა: „მე, ქაზიმ თავდგირიძე, სევფეთინ ფუტკარაძე და რამდენიმე ახალგაზრდა, ჩვენი ტოლები, ჩუმად გავიპარებოდით სადმე მიფარებულ ადგილას და იქ ჩუმად „ვპურმარილობდით“, „ასაკოვანი ხალხი მაშინ ღვინოს არ სვამდა, კიდევ ძლიერი იყო მუსულმანური რწმენის გავლენა; ასე გრძელდებოდა 1950-იანი წლების მეორე ნახევრამდე“-ო.

შუამთობის ერთი ეპიზოდი ახლაც თვალწინ მიდგას – იგონებს შოთა ხასანისძე ფუტკარაძე... „1950-იანი წლები იყო. ბავშვი ვიყავი. ასე, 10-12 წლისა... „მეშუამთობებთან“ ერთად მთაში ასვლა გვეამაყებოდა ბავშვებს. მეც გამოვედევნე მათ ფეხდაფეხ. თიკალთას რომ ავედით, დიდი ცეცხლი დაანთეს. გოგინაურელი ნურიალი გოგიტიძე ცეცხლზე დოღს აფიცებდა, ნიორს უსვამდა და თან ეშხიანად მღეროდა:

”ნა კაი რამე ხარ ნიორო,
შენი მომყვანის მადლსაო,
მუცლის ცვივიდსაც უხდები,
ხმასაც უმაწებ დავლსაო“.

„იელებისკენ“ აღმართს რომ შევუდექით კომბლებიანი დავლის დაკვრაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ყავთან, ახმედ ფუტკარაძეები. შეიდ ფუტკარაძე გარმონს უკრავდა, მემთეურები და მთაში ადრე ასული ხალხი ჩამოეგებნენ და შეიქმნა დიდი ზარ-ზეიმი. მაყრულში მიხრალი ფუტკარაძის ზარით ნკრიალა ხმა ყველასაგან გამოიორჩეოდა“.

„1960-იანი წლებია, – იგონებს ალალი ფუტკარაძე, – შუამთობა მოახლოვდა, მაგრამ გარმონი არ გვქონდა სოფელში ვინმეს. უგარმონოდ კი

შუამთობას როგორ ჩავატარებდით. სოფლის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა, რომ გარმონი უნდა გვეყიდა სასწრაფოდ. მე და ზურაბი სევეფეთინის ძე ფუტკარაძეს დაგვევალა ეს საქმე. მაშინ მატარებელი „ბათუმი-მოსკოვი“ ყოველდღე დადიოდა, მგზავრობა ადვილი იყო. გავემგზავრეთ რუსეთში, ქ. ტულაში. ვიყიდეთ გარმონი – აზიური „ლიუბიტელსკი“ და უკან გამოვბრუნდით, რომ შუამთობას ამოვუსწროთ: უჩვენოდ, უგარმონოდ ბიჭები არ მიდიან მთაში. კუბეში ორი ჩვენ ვართ და ორიც რუსის ქალია. მე „საროჩკა“ გამიჭუჭყიანდა, ვთქვი, ამ ქალებთან ასეთი „საროჩკით“ სირცხვილია მეთქი. გაველი პირსაბანში და გავრეცხე; „სეტკა საროჩკა“ მქონდა, განურვისას ზედმეტი ძალა დავატანე ალბათ და „საკისური“ მოვწყვიტე, დავრჩი შიშველი, ფული კი იმდენი დავგვრჩა, რომ შუახევეში ასვლამდე მგზავრობაში ძლივს გვეყოფნის, გარმონს ხომ არ გავყიდდი; ჩამოფასებული „საროჩკა“ ვიყიდე და ასე ავედით შუახევეში. შუახევიდან კიდევ ფეხით სალამოდის ძლივს მივედით სოფელში. იქ ერთი-ოცი კაცი გვიცდიდა. ჯვალალი ფუტკარაძემ სადღაც გამონახა კომბლებიანი დოლი. იმავე სალამოს წავედით მთაში. „თიკალთას“ რომ ავედით, მთელი ოთხი სოფლის ხალხი იქ ჩამოგვეგება: ნოშრევან ფუტკარაძე იყო მაშინ დღვანის საბჭოს თავმჯდომარე, „ალალათვინ ამდენი ამბავი რად უნდაო“ ეთქვა. მარა ხალხს სერი უნდოდა, ამ საქმის „ატამანი“ კი მე ვიყავი და... გაჩაღდა სერი ვაკეში“. – ეს ამბავი ისეთი ეშხით მომიყვა ბატონმა ალალმა, რომ თვალწინ წარმომიდგა ის სახალხო ზეიმი, რომელიც ესოდენ ამაღლებულ განწყობილებას ქმნის მთის მტკიცე, შეურყეველი ხასიათის ხალხში და ყოველივე წარმოდგენილის გალექსვა მომანადინებინა:

შუამთობა საბერნიაზე

”იმ ძვედ დროში შუამთობა
ლინდა სანახავადა,
სუფრის თავში მუდამ იჯდა
მხნე, ქანმაგი თამადა.

მთის კადთიდან ინყებოდა
სიმღერები, თამაში,
მემთეურებს მოუხმობდნენ
ჩაბმუდიყვნენ სამაში.

მოდხენა და სეირები
ენყობოდა კორდებზე,
სიმღერები გაისმოდა
მხოლოდ ქართუდ ნოჭებზე.

შუამთობა ინყებოდა
კომბლების დღითა,
მემთეურებს "კაიმალი"
გამოჰქონდათ გობითა.

შხამფოთოდსფარებული
"გეურეგი" ცხვებოდა,
მისი გემო-სურნელება
გურიის მთებს სწვებოდა.

ახდა ნახეთ, რა ხორჭი
გაუმართავს ქალებსა,
მისი პირველად მნახველი
არ უჯერებთ თვალებსა.

აინურ, სუნდუს, პუნერ, აიშე,
შოხნეთი და ბინაბე,
მოხდენიდად ჩაბუქნავენ
ვაჟკაცების ჟინაბე.

"ადთუნ", "ქემერ" და "ბეშმიდი"
მზის სხივებზე ეღვდა,
ხმანკრიადა შეძახილი
"საბერნიას" სერავდა.

აქეთ ახმედ დაფუნდრუკობს
კომბლების დღითა,
ყავთან დავდურს ჩამოუვდის
დასინმული ჩოხითა.

იქ შიიდი ათამაშებს
გარმონს თავის ნებაზე,
თვადექრიადა გოგონების
გემოსა და ვნებაზე.

მაღად ხმაზე დაუნყია
აღადს ძველი "მაყრუდი",
აბესადომ ჩაენაცვდა –
ნამოინყო "ჩაკრუდი".

გივი განმონს ეშხით წედავს,
ამბობს – ძვედი მსმედი ვარ
და სიმღერას შემოსძახებს:
”მეც ბერი ვარ, ბერი ვარ“.

ყიჟინა და შეძახიდი
მთას აფხიზღებს, აცოცხლებს,
ხმები ისმის იმისთანა,
მკვდარსაც გამოაცოცხლებს.

შუამთობა ბეიმიას
ძვედ და ახად თაობის;
მთის სურნელი ვისაც უყვარს,
ამ დროს მთისკენ გამორბის“.

შუამთობის ტრადიციული დღესასწაული რომ გაუფერულდა, ანუ ისეთი ხალისიანი აღარ არის, როგორც მაშინ იყო, ეს ყველამ კარგად ვიცით. ისიც გასაგებია, რომ დრო ცვლის ყველაფერს, მაგრამ ისე არ ვქნათ, მხოლოდ გასახსენებლად რომ შემორჩეს იგი ჩვენს შთამომავლებს...

ასე იყო ქორწილიც, მაშინ სულ სხვა ელფერი ქონდა, მაგრამ ხომ არ დაგვიკარგავს, პირიქით, უფრო გამრავალფეროვნდა. ქორწილი რახან ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, როგორი იყო იგი ძველად. რა თქმა უნდა, გაგონილ-მოსმენილი კი მაქვს, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე თვით იმ ასაკოვან ადამიანებს მოვუსმინოთ, ვისაც ახსოვთ და უნახავთ:

„უწინ გოგოს ისე დეინიშნევდნენ, რომ გოგო-ბიჭი ერთმანეთს ვერც იცნობდნენ. დიდვანები ჩადგებოდნენ საქმეში. ელჩობას (მაჭანკლობას) ახლობლები განევდნენ. ჩუნქი (მეტწილად) ბიჭის ტაიაი (დედის ძმა) იყო ამ საქმეში, მისი იოლი (ვალი) იყო. ადრე ნიშანლობაც იყო. დანიშნულ გოგოს ხანდახან ერთ-ორ წელნად ვერ მეიყვანდნენ. ჰამა ბიჭი იარებოდა მასთან, სიმამრის სახში და ღამეც იქ რჩებოდა... არ დაგავიწყდეს და მანამდე აღდი (ჯვრისწერა) ნაქმარი იყო. ვინცხას ბევრიხან ვერ მეიყვანდნენ. ასეც ხდებოდა, რომ ფეხძიმე ან ბალვიანის (ბავშვიანის) მოყვანაც უწევდათ. არ იყო ეს კაი საქმე...“

ახლა ქორწილი. დოდოფალ ტვალი ეხურა თავზე (ტვალი – ცილინდრის ფორმის თავსახური, რომელიც სახეს მთლიანად ფარავდა). ბიჭი ვერ ხედევა, რაფერი იყო. სანამ გოგოს პატრონი გამეიყვანდა, ბიჭის მხარეს რიშვეთინა მიეცა, კარიდასამყრელოსაც ეძახდნენ. გედეიხდიდა მამამთილი ფარას და მემრე გამუყვანდნენ ძალს. ქორწილში მაშინ ღვინო არ გახსენდებოდა. ახლა რომ თრებიან, ასე არ იყო. ჭამდენ, შერბეთს სვემდენ, სეირნობდენ, მასხრობდენ და ის იყო. ბიჭის კუთხე რომ ეწვალეებიეს, რაცხას მეითხოვდენ. იმფერ საჭმელს, ჩათინი (ძნელი) საშოვნელი რომ

იყო. ვერ მეიტანდა მოსამსახურე და შააგდებდენ სუფრის ქვეშ, ზევიდან მუუყენებდენ კოვზების რახა-რუხს და ივერს იტყოდენ (ივერი – სიმღერა „ივერი მასპინძელსა“). სიტყვები ბევრი აღარ მახსოვს.

”მოიცანეთ ქათმის ჭიკვი, ივერი ჰარადეო,
ორი კოდი შაქარ ვაშდი, ივერი ჰარადეო,
თიბიღ-თიბიღი ფადაყა თაფლი, ივერი ჰარადეო“.

ვინცხაი სხვა მეიტანდა ამ მოთხოვნილს და მემრე გუუშვებდენ დამწყრევლსა. მექორნილეები, მაყრები სალამოდან დილამდინ სეირობდენ. არ დანვებოდენ. დილაზე ხევსსაც (საუზმეს) მუუტანდენ და აჭმევდენ. სანამ მაყარი არ წევდოდა, სიძე-დოდოფალ ერთათ არ მოყრიდენ...

მაშინ ქორნილში საჭმელებათ აკეთებდენ: ყავრუმას, ხორცს (იგივე ხაშლამა), ჩილბურს, ყაისეფეს, ბორანოს, ჰასუთას, კორკოტს, სინორს, ერიშტას, ლუხუმს, ქადას. ამას არჩები (მზარეულები) აკეთებდენ. საჭმელები არჩიხანაში კეთებოდა (არჩიხანა – სახელდახელო, სპეციალურად მოწყობილი ადგილი ეზოში, სადაც ცეცხლის დანთება შეიძლებოდა). არჩობას ყველა ვერ მოაფერებდა. ჩვენ ახლობაში კაი არჩები იყვენ გაღმა აიშა გენილი (იაშას დედა), აგერ კილო ეს ჩვენი აიშაი – ბიბიაშენი (ბიბია – მამიდა), მეც სულ არჩათ მიძახიდენ (იცინის ქალბატონი შოხრეთი), ვინცხას თუ კაი შეშა არ ქონდა, დადგებოდა ფუტი (კვამლი), ჩათინი იყო მაშინ არჩობა.

გაჭირვება იყო მაშინ. ერთ კაბით რამდენი ქალია მოყვანილი. ვინცხაი პანაი შეძლებული იყო, იმიდან ითხოვდენ კაბას და ჩააცვემდენ ქორნილში დოდოფალს. ახლა რომ თავზე გადადიან, ასე არ იყო მაშინ.

ქორნილში ახლა რომ ფარას წერენ, მაშინ ჰა იყო. მეზობლები და ნათესავები მუუტანდენ პურს, ჭადს, რძეს, მანონს, ყველს; ძალიან ახლობელი – ქათამს, თხას მუუყვანდა... ასე ეხმარებოდენ ერთმანეთს.

დედოფალს ცხენით მიეყვანდენ. დოდოფლის და დადიების (მეჯვარეების) ცხენები მამამთილსნა მიეყვანა. ფეხით არ მიეყვანდენ რძალს, სირცხვილი იყო. კვირის თავზე „სადილის მიტანა“ იყო წესი. გამუაცხობდენ ქადას, ჰალვას... ჩაანყობდენ ჰეგბაში (აბგა, ორთვლიანი ხურჯინი), გედეიკიდევა ფხარზე დოდოფლის ძმა ან ახლობელი ვინმე, წეიყვანდენ შინავრებს და მივდოდენ დოსტებთან (მოყვრებთან). სადილის მუუტანლობა ცოდვათ ითლებოდა. აქ მშვიდობა და... რომც მომკვდარიყო რძალი, სადილს მაინც მიიტანდენ ოჯახში.

რძალი მამამთილს ან დიდ მამულს ვერ დეელაპარიკებოდა, ორ-სამ წელიწად მაინც. ვერც მათთან ერთათ საჭმელს ჭამდა. სირცხვილად ითლებოდა.

აკვანის მიტანა ადრე არ იყო, მემრე შამოვდა. აკვანი ჰა იყო მაშინ, ხოჭიჭზე აწვენდენ ჩვილს (ხოჭიჭი – ყავრისგან შეჭედილი სპეციალური სანოლი ჩვილისთვის).

მოხრობელები: შოხრეთ ფუტკარაძე – 84 წლის; ჰუნერ დიასამიძე – 78 წლის

თამაზ მაკარაძე

მარათის ხმოვა, სოფელი ოლადაური

•••

შეხვად, მაგრამ ვერ გამოხვად,
გუდი გეყვიის დანჩით,
ასეთ სოფელს ვერსად ნახავ,
ათასში რომ ანჩით.

თამაზ მაკარაძე – დაბადებული 1959 წელს, პედაგოგი, რუსული ენა და ლიტერატურა, შვილი 2, შვილიშვილი 6.

არსად წავსულვარ, სუ ამ სოფელში ვცხოვრობ – რაც დავიბადე (გასვენებაში მიდის ხალხი, სოფელში მიცვალებულია).

მდინარე ჩირუხის წყლის მარცხენა სანაპიროზე ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია (დიდი საქმის მკეთებელი ხალხი) მაშინ მობრძანდნენ ოლადაურში, როცა სოფელი ახალგამოხსნილი იყო თურქეთის უღლისაგან. ამ დიდ ხალხს აინტერესებდათ ბევრი რამ.

1971 წელს ზვავი ჩამოვიდა ამ ტყიდან. ათი დღე თოვდა... აქედან დაიწყო მიგრაცია. 1989 წლამდე აქ ცხოვრობდა 120 ოჯახი. დღესდღეობით 40 ცხოვრობს. 1971 წლის 11 თებერვალს აქ ზვავი ჩამოვიდა და გადასახლდა ხალხი ამ სოფლიდან იმერეთში, შიდა ქართლში, გურიაში, სამეგრელოში, მესხეთ-ჯავახეთში, არ არიან მარტო სვანეთში. მწირი ნიადაგებია, ცოტაა აქ მიწა, გადიდდა ოჯახები და არ ყოფნიდა ეს მიწა... ჩვენ ვკონტაქტობთ ჩვენიდან წასული ხალხთან. სისხლმა სისხლი არ დაკარგოს, ვაპირებთ დავანესოთ სახალხო დღესასწაული „ოლადაურობა“. იმდენად ამიტაცა ჩემი სოფლელების მონატრებამ, სიყვარულმა, რომ დავწერე ლექსი

თქვენ ნაფუძარი გეძახით

დარდმორეუდი ვზივარ ბუხანთან,
ლვინოს ვსვამ, ფიადა იცდება,
თვადიდან ცნემდები გადმომდის,
ეს ნღები რა მადე იღვსა.
ჩვენები დღეს სადღაც სახდობენ,
სოფედი რა ჩქარა იცდება,
წინაპრის საფდავი გვაფრთხილებს,
აქ დანჩით, პაწრონი გვეცდება.

ძალიან ბევრი ლექსი მაქვს დანერილი, ჯერ წიგნი არ მაქვს... არ ვჩქარობ, პოეზია არ მთავრდება.

ზაფხულობით ვიკრიბებით, ქორწილებს ქალაქში ვიხდით, იქ ვიყრიდით თავს მთელი ნათესაობა და სოფლელობა. ცოტა ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ მაღალმთიან აჭარაში თათრები ცხოვრობენ.

ჩვენ ეხლა ვსხედვართ ისეთ ადგილას, სადაც ჯვარია აღმართული, ეს მოდაზე ვინმეს დასანახად არაა... ძირძველი ქრისტიანები ვართ, სოფლის „გამოსნათლევნი“ წმ. გიორგის ეკლესია დგას, ამას შენიშნავდით...

აქაური ქალი, აქაური დედა აქ დაბადებული, გაზრდილი დედა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ თავის ჯვარი ჰქონოდა... დამპყრობელი ამის საშუალებას არ იძლეოდა! აქ პროლეტები იყო, ქალბატონო...

იაკობ გოგებაშვილი წერს: მათ არ უღალატეს თავიანთ ენას, სარწმუნოებას, ქართველობას. ჩვენ ძირძველი ქართველები ვართ. ჩვენმა წინაპრებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ამ ნისლიან მთებში ქართული სული შენარჩუნებულიყო.

რაცომ აქვს ჩვენ მქადს ჯვარი

ნენი, შენ როგორ განამეს
გკდავდა აჭარის ჯვარი,
იბრძოდი, რომ დაგვჩვენოდა
ვაზი, ჭიგო და ჯვარი,
ასრუდა შენი ნანაწრი,
გაქარწყდა ყვედას ჯვარი,
მქადს შენსას ან და მარადის
მუდამ ექნება ჯვარი.
როგორც არ უნდა მებრძოლო
და არ მივორცნო გვარი,
ქონდა და კვდავც ექნება
აჭარედის მქადს ჯვარი...

მთავარია, როგორც თქვენ ბრძანებთ, ერთმანეთის სიყვარული არ დაკარგონ...

ეს მთა, სოფლის საფარი ტყეა, ნაწილი შეშის გამო გაჩეხა მოსახლეობამ... აქ ხარობს უიშვიათესი ჯიშები... ზამთარში ზვავსაშიში კერაა. აქა ეხლა სადაც სკოლის შენობაა, იმის გვერდზე ხის სკოლა იდგა... ის ზვავმა დაიტანა 1971 წელს.

აქაური კაცი ვახტანგ მაკარაძე ეხლა 90 წელს გადაცილებულია, მაშინ განათლების განყოფილებას განაგებდა. მუშაობდა. ათი დღე ინტენსიურად თოვდა. გადმორეკა, ბავშვები გაიყვანა შენობიდან და გამოხიზნული სკოლა ზვავმა დაფარა...

დაიწყო სოფლიდან გადინება... მათ სადიდებლად და სასახელოდ ვიტყვი, არ ივიწყებენ თავის სოფელს. ამ სოფელშიც ყოფილა ეკლესია,

ბზის ხეებია, ერთი პატარა უბანია, ნასაყდრალს ეძახიან... ბზის ხეებია იმ უბანში... გამონათლევზე უკვე ვთქვი.

•••

ქართველებო, აფხაზებო, ოსებო,
კვდავ ვიცხოვროთ უწინდურად ძმურად.
თქვენც გადმოდით ენგურს აქეთ ჩვენთან,
ჩვენც ჩამოვადოთ აფხაზეთში სცუმრად...

– სტუმრად რატო უნდა ჩავიდეთ, ჩვენია...

80 წლისაა, მიცვალებული... იტირებენ, შერეული ოჯახია. თვითონ მიცვალებული მუსლიმანია, ოჯახი ქრისტიანი...

ხუთი-ექვსი ადამიანი თუ იქნება მუსლიმანი, ძველი თაობა, ახალგაზრ – დობა ინათლება მასიურად... ძალით გამუსლიმანებულია ესენი...

ბადრი დარჩიძე

მარეთის ხეობა, სოფელი მახალაკიძეები

ბაბუა – შეიდალ იუსუფის ძე დარჩიძე, ბაბუა და ბებია უკრავდნენ გარმონს, როცა ქალების ზეიმი იქნებოდა, ქალები ემზადებოდნენ ქალების ზეიმისათვის. ბებია ბაბუას მოპარავდა გარმონს, რომ ბაბუას კაცების ზეიმში არ წაელო...

ბაბუას ყავდა თორმეტი შვილი, სამი ვაჟი, ცხრა გოგო. „ნახევარ აჭარაზე მეტია“ ბაბუას მონაგრები. ცხრა გოგო რო გათხოვდა, მოდიოდნენ ნადის საგაზაფხულო-საშემოდგომოდ სამუშაოებზე მოსახმარებლად სიძეებთან ერთად, რომელშიც თითქმის იყო ანსამბლი შეკრული...

სიძეები იბრძოდნენ სიმამრ-სიდედრთან თავის გამოსაჩენად... აქ ლიდერობდა ერთ-ერთი მამიდას ქმარი დაუდ მაკარაძე და რა თქმა უნდა, მამაჩემი. თორმეტი შვილში ბოლოა, უმცროსია. პირველად „თარანანი“, ქალთა საცეკვაო სიმღერა შაირებით და ცეკვით, აქ შესრულდა. ამ ოჯახს დაემატნენ მხიარული ქალბატონები, მეზობლები...

ამ საქმეში ქალებთან მისვლა და შენიშვნების მიცემა გაბედა დაუდ მაკარაძემ...

1947 წელში პირველად მარეთის ხეობიდან და აჭარიდან ეს ანსამბლი ჩამოვიდა თბილისში. იმ დროისთვის აჭარელი ქალისთვის სცენა უცხო იყო. საშა ჯიჯეიშვილს დაევალა, ამ ანსამბლისთვის გადაეხედა. 1977 წელს ეს მიაბზო დაუდ მაკარაძემ...

როდესაც ჯიჯეიშვილმა შენიშვნები შეიტანა ანსამბლში, ანსამბლმა არ მიიღო ეს შენიშვნები, „ქალაქური ვარიანტები“ შემოგვთავაზაო და ანსამბლი არ მოყვებოდა თბილისში... ანსამბლი გამოვიდა გარეთ ბათუმში – აჭარის მთავრობას რომ მიეღო თბილისში მონაწილეობა და რაც უნდოდა, ის შეესრულებინათ...

იმ დროისთვის ანსამბლი ასრულებდა ქალთა ცეკვა „თარნანინას“, იმ დროისათვის ქალთა ცეკვაში „თარნანინაში“ გამოყენებული იყო ტექსტები სტალინზე და ბერიაზე.

ამ ანსამბლში მღეროდა და ცეკვავდა ჩემი სიდედრი ბახალი მაკარაძე.

ამ ანსამბლს შეადგენდა: მამიდები, მამიდაშვილები, მეზობლები. დაახლოებით 20-ზე მეტი... გული ბოლქვაძე მართავდა ამ ანსამბლს თავზე დადებული გარმონით...

თბილისიდან ბედნიერები დაბრუნდნენ, მაგრამ ზოგიერთმა უსაყ – ვედურა – რატომ გამოხვედით სცენაზეო...

ეს ქალთა ანსამბლი „ხორუმსაც“ ასრულებდა...

1977 წელს დაუდ მაკარაძეს შევხვდი... დაველაპარაკე, ჯარში წავედი...

პირველი იტყოდა ტექსტს ანსამბლიდან, დანარჩენები მიმღერებას გააკეთებდნენ. ტაში და ასე ყველა მერე ის იცეკვებდა, დანარჩენები მიუმღერებდნენ თარნანინას.

გული მაკარაძე იცეკვებდა შიგნით გარმონით, ასე გავიდოდნენ სცენიდან...

სამხედროდან ჩამოვედი 1979 წელს და დავინყე მუშაობა სამხატვრო ხელმძღვანელად ოლადაურის კულტურის სახლში... სკოლაც ოლადაურში დავამთავრე...

მამაჩემი მუშაობდა კულტსახლის დირექტორად. მამაჩემი იყო მოცეკვავე, მომღერალი, ინსტრუმენტალიც. იმაზე ლამაზი კაცი სცენისთვის მე ჯერ არ მინახია.

1976 წელს მოსკოვმა გამოუყო ორი „ვასმიორკა“ ავტობუსი, ერთი თბილისის ცირკს, ერთი ოლადაურის კულტსახლს. მარა ჩემი და-ძმები ყველა მაგარი იყო, ჩემი ძმა ყველა ინსტრუმენტის ფლობაში მამაჩემს გავს.

სოფლის თავში ხომ ვცხოვრობდი, იქ ამოდიოდნენ ჩვენივე სოფლელი მოხუცი ქალბატონები, საქონელს საძოვარზე ამორეკდნენ. ეს ქალბატონები მწყემსობის დროს ხელზე კალათები და შიგნით ხერტალი და წინდის ქსოვა... მე მათ სიამოვნებით ვეხმარებოდი, ძროხებს მოვაბრუნებდი, წყალს მივუტანდი, მათზე მოფერება მიყვარდა. როცა წინდას ქსოვდა, ლილინებდა, როცა მატყლს ართავდა, ლილინებდა. იმ პიროვნების შესრულებული საქმე მაღამოსავით მოდიოდა.

აჭარაში როცა პატარა გოგო დეიბადებოდა, ეგრევე წვეიდოდა წინდების ქსოვის შემზადება, ის გოგო რომ გაიზრდებოდა, გათხოვდებოდა. დაახლოებით უნდა ჰქონოდა 30-დან 50-მდე, შეიძლება მეტიც, წყვილი წინდა...

პირველ რიგში მაჭანკლებს ხვდებოდა საუკეთესო წინდები, შემდეგ სიძის მამა, ძმები და ა.შ. ცხვირსახოციც იმდენი, რამდენიც წყვილი წინდა. დაქარგულს დაროშეკებივით ქარგავდნენ...

ერთი რამ იყო: წინასწარ სიტყვას ართმევდნენ ოჯახში და ათი წლიდან საპატარძლოს პატრონობდნენ... აკვანში ნიშნობებიც იყო...

„თარნანინას“ ტექსტები:

•••

მოდით ჩემთან, მეზობლებო,
ნახეთ, რა მიხარია,
ქადიშვიდი გემეზარდა,
უკვე გასათხვარია.

•••

ვჩეჩოთ, ვართათ, ვძახოთ, ვქსოვოთ,
დღეს ხომ ჩემი ნადია,
ვიმუშაოთ ყველამ ერთად,
ჩვენზე ცქერა მადლია.
თარა ნანი ნინაო,
თარა ნინა ნინაო.

•••

შრომა-გარჯა ვისაც უყვარს,
ცეკვაც მას მოუხდება,
გამო ციცავ და იცეკვე,
მორცხობა არ გიხდება.
თარნანინა ნინაო.

რა დამაზ გიხდებოდა
საჩეჩედზე მაწყდის ჩეჩვა,
როგორ შვენის შენს ხედებსა
დაჩეჩიდჩი მაწყდის კეცვა.
თარნანინა ნინაო.

რა დამაზად გიხდებოდა
ხერცდის ხედებში წრიადი,
შენი დამაზი სიმღერა
და თეთრი კაბის ფრიადი.
თარნანინა ნინაო.

ისევ ვხედავ, შენს ხედვებში
როგორ დნება ფარცენები,
ცანით საროვ მშვენიერო,
ნეცაი ვისი გახდები.
თარნანინა ნინაო.

შემოდის ბიჭი:
როცა ქალებში ბიჭი შემოვიდოდა, საცეკვაოდ იქ უკვე ატმოსფერო
იცვლებოდა. ეს ხალხურიდანაა:

•••

რა დამაბი გოგო შენ ხარ,
ცაში მფრინველი მერცხადი,
არ დავკარგავ შენ სიყვარულს,
სანამ ვიქნები ცოცხადი.
თარნანინა.

თარნანინაში მამაკაცები ნაკლებად მონაწილეობენ.
გოგო გაიპარება გოგოების სიღრმეში, ვითომ დაიმალება და გვერდიდან
გაუჭიტინებს და უმღერის.

•••

ბიჭო, პირი მოგიპარსავს,
სანახევროდ კისერიო,
აქეთ-იქით რას უყურებ
ჩემზე უკეთ ვის ედიო.
თარნანინა.

ბიჭს გოგო გამოყავს გოგოების სიღრმიდან და მიდის ჭიბონზე ცეკვა:
განდაგანას ვარიანტი.

უკვე გახალისებული ქალები
ხომ კაი ბიჭი იგდეს ხელში, ერთიმეორეზე ჯიბრი ცეკვაში... კულმინაციაა,
მოკლეთ.

* * *

გასული წლის გიორგობას აღიმართა ეს ჯვარი. ჩვენ გვაქ სახალხო
დღესასწაული მართობა, რომელიც სექტემბრის მესამე კვირის შაბათს
იმართება...

ეს არის ლექსით მოფერება, სიმღერით მოფერება, ცეკვა, სპორტული
ღონისძიებები... კულტურული ღონისძიებები.

აბა, სამშობლო განყოფილი ქალაქები არაა, ჩვენ ძალიან ცოტაა ძველი თაობის ხალხი, 80-ისანი, აქედან ვეფერებით ჩვენ სამშობლოს.

აქ არის „თამარის ქალა“, ლეგენდის თანახმად, მეფე თამარი დადიოდა აქა და ერთ-ერთი ლაშქრობის დროს დაიღალა და ამ ქალაში დაისვენა ერთი ღამით და მერე განაგრძო გზა ამალასთან და ლაშქართან შავშეთისკენ...

ლეგენდა სხალთაზე

აი, ამ გორს მიღმა სხალთის ხეობაა... თამარი როცა იქ ეკლესიის აშენებას დააპირებს, უკითხავს, სად ავაშენოთ ეკლესიაო და ვილაცამ უთხრაო – „აი, იმ მსხალთანო“ და ამიტომ დაერქვა მთელ ხეობას სხალთა... XII ს-ში. ის ხელოს რაიონია.

აი, აქედან უკიდურესი წერტილია მთა ჩირუხი, არსიანის ქედი... იმის იქით იწყება თურქეთი ტერიტორიულად, თვარა იმის იქითაც ჩვენი ქართველებით დასახელებულია ტაო კლარჯეთი, შავშეთი, იმერხევი და ა.შ.

ამ ჯვრის ადგილას ეკლესიის აშენებას ვაპირებთ. ამ მარეთის ხეობას „ყარადერეს“ ეძახდნენ თურქები. „ყარადერე“ – „შავ ღელეს“ ნიშნავს...

შეძერ ფუტკარაძე

მარეთის ხეობა სოფ. ლომანაური

დავიბადე დღევანში 1927 წელს, 90-ში ვარ. რა დაფუკრა (გარმუშკაზე), სიმღერა რამე არ შემიძლია. როდიდან და მე რვა წლისა არ ვიყავი, როცა ეს გარმონი დღევანში გერმანიიდან ჩამოიტანეს (უკრავს გარმონზე). „ვშლი ხომ, ხელები მიკანკალობს, ვშლი, ვშლი“.

კვიახიძეებიდან იყო ამ გარმონის ჩამომტანი, შეიღს უძახდნენ, დღევანის საბჭოს კარებზე დუუკრა, საბჭომ უთხრა რამე, ეს ქალის საკრავია, რამ ჩამოგატანიაო და ჩემმა მშობელმა მამამ აართვა ეს გარმონი და მაშინე კაი ფარა ორასი მანეთი გადაუხადა. მაშინდელი 5 ძროხის ფული... იმის მერე უკრავდი, დღევანი რა იყო, გოგნიაური და სხვა სოფლებში ნათესავის და არანათესავის ქორწილებში, თან საჩუქარი მიმქონდა, თან ვმღეროდი და ასე ვცეკვავდი. ქ-ნო ეთერ, კვიახიძეებში ხო ვიყავით, შეით ფუტკარაძის მამა იყო პირველი დამკვრელი, შეითის მამა, იმან ჩამეიტანა ეს გარმონი, იმისგან იყიდა ჩემმა მამამ... სუ ცოტა 100 წლისაა ეს გარმონი. შვიდი წელია, მეუღლე გარდამეცვალა... ყველგან მიშვებდა ჩემი ქმარი, დეპუტატი ვიყავ. ყველგან მენდობოდა... და, ძმა, ყველაი დემელუპა, აღარ ამიწევია ხელში ეს გარმონი... თორმეტი მიცვალებული გევისტუმრე... რვა შვილიდან ხუთი დემელუპა... ბადიში დამელუპა... ჩადრი მე არ დამიფარებია. ჩადრი ჩემთან არ მოსულა.

სკოლაში ვიყავ, მე-4 კლასი დავამთავრე. მამაჩემი იყო ბრიგადირი. ჩოთქი დევისწავლე... მაღაზიაში გადემიყვანა ნოქარმა დამხმარეთ... სუ მარტოებმა გავზარდეთ ბავშვები... თექვსმეტი შეთავებულნი არ მქონდა, რომ მევედი აქ. თხუთმეტის გავთხოვდი. ძალიან ლამაზი ქმარი მყავდა... ახლა ტელევიზორს რო ვყურობ, მიკვირს, რაფერ მიშობდა მარტოს ყველგან...

ზამთარში ქალაქში (ბათუმში) ვარ შვილებთან. ნევილებ გარმონს და ნავალ...

ბურამ მაკარაძე

მარათის ხეობა, სოფელი ოლადაური

პირველი მეგარმონე იყო ბებიაჩემი, გარდაიცვალა 1996 წელს. თავზე უკრავდა გარმონს, ბოლქვაძე-მაკარაძე, დურსუნის ასული, გული... ეს იყო ბებიაჩემი. ცნობილი მეგარმონე. ის გარმონი, რითიც ბებიაჩემი უკრავდა, თან უსტვენდა. ახლა ზოგიერთები რომ თავზე იდგამენ გარმონს, ბებიაჩემს ბაძვენ.

აქ ზემოთ სათიბებია – აქედან საღამოზე რომ შემოსძახებენ, „ყივილით სიმღერის“ ხმა ჩამოვიდოდა, აქედან პირდაღებული უსმენდნენ, ბევრი იყო „ყივილით სიმღერის“ შემსრულებელი. მაგაში ახლა ფულს უხდიან, მაშინ „უსასყიდლოდ“ ასრულებდნენ...

ბაბუაჩემი 16 წლით უფროსი იყო ბებიაჩემზე, ერთ-ერთი უთბილესი და თითოთ საჩვენებელი ტკბილი ოჯახი ჰქონდათ. გარიგებით მოიყვანა (მაშინდელ დროში, როცა რელიგია კრძალავდა). ჩადრის დროს ბებიაჩემმა ერთ-ერთმა პირველმა მოიხადა ჩადრი. ბაბუა სთხოვდა, რომ თუ შენ მოიხდი ჩადრს, სხვებიც მოგბაძვენ და მოიხადეო.

ნათელა (ნაზიბროლა) დავითაძემ და სხვებმაც მოიხადეს ჩადრი თითქმის ერთდროულად. ბევრის ჩამოთვლა შეიძლება...

ანსამბლი შეიქმნა 1947 წელში. გული იყო წამყვანი სოლისტი...

თბილისში ჩაატარეს კონცერტი, 16-20 ქალამდე ცეკვავდა. ყველა ბაძავდნენ ქალები მას... მერე 1956-ში იყვნენ თბილისში. რამოდენიმე კაცი... მერე ხეობამაც მიბაძა, მერე ახალგაზრდებმაც მიბაძეს გურამის ბებიას...

მღეროდა ძველებურ სიმღერებს, ბებია... ბადრის ექნება კი არადა, აქვს ის სიმღერები (ტექსტები) ჩანერილი.

რომ დავამახინჯო და რამე ისე არ ვთქვა... კარგი იქნებოდა ბიძაჩემთან, მამიდაჩემთან დალაპარაკება... მაშინ იქნებოდა 55-60 წლის, მაშინ მეგონა მოხუცი. ბებო წველიდა და ლილინებდა, „ტირილ-წუნუნს“ ვეძახდით.

დედას ყავს ერთი შვილი – ის ომში წაიყვანეს. მე დავწერე ამაზე:

•••

ვაჟკაც შვიდს ომში გაციდებ
და გზას გიდოცავ ბედისო,
მამუდის დაცვა მოგერგო,
მკდავის წრიადი გედისო.

დოცვას გაგაფან საგზადად,
იმედი გქონდეს დედისო,
ჯიღლას წაბიკვებს დაუდებ,
მოვხნავ ჯიბზბედა მწერისო.

ქიბონსაც ავახმიანებ,
ხორუმს დავუკრავ ჩვენისო,
ან შეარცხვინო ხანჯადი
ნინაპართ მოდგმის ჩვენისო...

ბებიაჩემი, როგორც გითხარით, ბოლქვაძის ქალი იყო. გული ბოლქვაძე-მაკარიძისა, ქუთაურულას ეძახდნენ. უკრავდა გარმონზე როგორც სასიმღერო, ისე საცეკვაო მელოდიებს. არ ჩატარდებოდა მისი მონაწილეობის გარეშე არცერთი ქორწილი.

მოკლეთ, იყო თვითნასწავლი მუსიკოსი-შემოქმედი, ხელით ტაშს ისე დაუკრავდა და იშაირებდა, თითქოს გარმონს უკრავსო, ამიტომაც შენც გაგიჩნდებოდა სურვილი გეცეკვა, გემღერა...

პატარაობაში სულ მიმღეროდა, მისი საყვარელი შვილიშვილი ვიყავი, რა ვიცოდი თუ ასეთი ფასი დაედებოდა შაირებს, თორემ ჩავინერდი... ის ახლა 96 წლის იქნებოდა...

* * *

გოგოს და ბიჭის გაშაირება. III ძალაც შემოდის და აგულიანებს, შექმენით ოჯახი, გაუზიარეთ.



გურამ მაკარაძის შანიკები

ბიჭი:

გოგოვ, მინდა რანდა გითხნა,
ან გაბედო უარიო,
შენ რომ ძაან მოგწონდება,
შენს ფიქრებშიც ხომ არიო.

გოგო:

აჰან მოვედ, რანდა მითხნა
ჩემთვის მოსაწონარიო,
გახსოვს გუშინ, რომ დაგეთქვა,
აღბათ ისევ ის არიო.

III პირი:

არე-მარეს მშვენება ხარ,
ერთფერებად დახაფული,
ერთმანეთის გასახარად,
შესაქებად დაბადული.

ბიჭი:

ღერნამივით წელი გაქვს და
ადისფერი თვადებით,
ციფავ, ცოდად გამომყევი,
წუთუ ან გებრადებით.

გოგო:

ქოვ, რას ამბობ ან გრცხვენია,
ხომ ან მოგივიდა ბევრი,
სჯობს რომ ცოცა გაიზარდო,
უფრო დაქვევანდე მეცი.

ბიჭი:

– ციფავ, ღვეწვი შენი ეშხით,
მოსვენება ან მაქვს ლამე,
გავბედე და გეუბნები
რა ვქნა თუკი შეგიყვარე.

შენ თავს ვინმე ვერ წამართმევს,
გუდის შენ ხარ ნუგეშიო,
გეფიცები, გაგახარებ,
მეყოლები უბეშიო...

გოგო:
კაი ბიჭი კი ხარ, მაგრამ
ლანიბი ხარ, უქონელი,
ოქრო-ვერცხი რომ მიყიდო,
გინდა ასი უშობელი!

ბიჭი:
პანახანში ეს ქვეყანა
დადაგდება, სანაწრედო,
ამთავეს მაშინ მოგიფან,
ახლა გამახარე, მწრედო.

გოგო:
ჩემ ძმას ცოცა მოერიდე,
თვადით წინ არ დაენახვო,
რომ გაიგებს, წაგითაქებს,
მერე ვის და დაენახო.

ბიჭი:
არემარეს მშვენება ხარ,
ჩემ თვადების დახაჯული,
ერთმანეთზე გასახარად
ერთმანეთზე დაბადული.

გოგო:
დანაპირებს არ მომიფან,
პირობას არ იქნებო,
ცოლად აღარ წამოგყვები,
აკრაქუნე კბილებიო.



•••

ინმის ყვირილი ჩაჩუმდა თითქოს,
აღარ ნებვირობს, აღარ თამაშობს,
ნეცავ მის მოღბე მხაფვარი იყოს,
რომ ეს მსვლელობა ცოცხლად დახაფოს.
მე კი ვუყურებ შორიდან დიდხანს,
ვხედავ რქებით რომ ზეფას იკავებს,
მე მაცყუებენ, ისევ რომ მიყვარს,
რა დამიშავა, რომ არ მიყვარდეს.

ხუთიათასამდე ლექსი მაქვს, ახლა გუშინდელ ჩემ ლექსებ ვასწორებ,
ვმუშაობ...

მე მქონდა 4000 წიგნი. გიმივერანდა, ქალბატონო ეთერო, ჩემი
ბიბლიოთეკა. სპეციალობით აგრონომი ვარ, ეხლა აქ სკოლაში ქიმი-
ბიოლოგიას ვასწავლი... ბათუმში ჩავიტანე ჩემი ლექსები და ვერ ავართვი...
იმას აქ, იმას აქ. იმას აქო და ვერ ავართვი... გული გამიტყდა...

ახლა 5-6 წელიწადია თითო-ოროლა ლექსს ვწერ. მოდიოდა ასე
ნიავეღვარივით, ვწერდი...

•••

ჩემს მინაზე რალა გინდა,
ჩემს მინისთვის რისთვის ომობ,
ბედმა თუკი გადმოგაგდო,
სცუმარივით იყავ მხოლოდ.

სამაჩაბდოს რისთვის მართმევ.
სამხნეთ ოსეთს აქ რა უნდა.
გამეცადე, ნულა დგახარ
ჩემი სახდის ფანჩაფურთან.

ხედავ, რომ შენ სუდიერი
არაფერში არ გიჯერებს,
წამოდგება მოყმე მადე,
ყელს გამოჭრის სარჯინობებს.

წადი, წადი, გამეცადე,
ჩემი თვითონ მინდა ვმართო,
ერთ სანწიმეწრს ვერ დაგითმობ,
მშვიდათ მინდა დავიმარხო.

•••

თუ ძნელებლობის ქარიშხალმა მომწყვიტა უნინ,
სამასი წელი შორსა გყავდა ნეწარი შვიდი,
ნახე?! დიდი ხნის დაკარგული მოგიხვედ გუშინ,
შენი ღიღების ასაბიდად სისხლს და ოფდს ვლვრიდი.
მე შენ კადთიდან ციხე-გადავნის ქონგურებს ვხედავ,
ავაბასავით გყარავდობ. ანაფერს ვჩივი...

•••

ცხვრის ფანა მისი ბაჭკნებით
თუ არ მომწყემსა სარქადმა,
ხადხის გუგუნა გამოსვდა
ერთად არ შეკრა სარდალმა.

ერთ მუშყად თუ არ აქცია,
არ გაუყენა ბრძოლის გზას,
ის დამარცხდება და მინა
სისხლის ნაკადულს მოისხამს.

ასეა ცხვრისა ფანაშიც,
თუ მგელმა მგლობით შევარდა,
ჯერ ბაჭკანს შექამს, მერე ცხვარს,
შემდეგში ცხენის რემასაც.

ფხიბდად იყავი, სარქადო,
არ დარჩე უმუშავარი,
საქმეს ვერ გამოგისწორებს
ნაგვიანვეი მდევარი.

ცხვრების ჰაწრონნი მოგივლენ,
იცი, მნარეა მევადი,
ვერც ნიშა ხარი გიშვედის,
ვერც ხარი მისადევარი...



შემკრები არჩილ მაკარაძე

მარეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის სპეციალისტი

ქალს საგანგებოდ მოყვანილი ბებია-ქალი ამშობიარებდა, რომელსაც „ებეს“ ეძახიან. სწორედ „ებე“ აიყვანს ბავშვს პირველად ხელში და ორმოცი დღის განმავლობაში დადის ოჯახში, ახალშობილსა და მის დედას უვლის. ჩვილს 4-5 დღის შემდეგ აკვანში ჩაანვენენ, სასურველია სავსე მთვარის დროს, ვისაც ცოცხალი მშობლები ჰყავს, პირველად ის აკეთებს ამ მისიას. აკვანი პირველ ბავშვზე მშობიარობისას დედის მშობლებს მოაქვთ. განსხვავებულია აკვნის საბან-ლეიბი, თეთრეული. საერთოდ, ბავშვის სქესის შესაბამისად ირთვება. შემორჩენილი რწმენით, მწვანე ფერის პერანგი, არტახი და საბანი ბავშვს ავადმყოფობას არიდებს, დედას ავსულებს აშორებს. აკვანს ქარვის ან გიშრის მძივებით, ავი თვალის საწინააღმდეგოდ დამზადებულ სხვა საგნებითაც ამკობენ. მიაჩნიათ, რომ ლეიბის ქვეშ დაყრილი ნახშირიც კი იცავს ბავშვს ავი სულისაგან. ვაჟის დაბადებას მეტი სიხარული ახლავს, რადგან გვარის, შთამომავლობის გამგრძელებლად მიაჩნიათ. საერთოდ, კაცი აჭარაში გარკვეული უპირატესობით სარგებლობს. იმ ოჯახში, სადაც ახალი სიცოცხლე გაჩნდება, იკრიბებიან ნათესავები, ახლობლები, საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის მოსული რძლის მშობლები. ოჯახში მზადდება სარიტუალო კერძები.

მამა ან ბაბუა ვაჟის გაჩენას თოფის სროლით აღნიშნავენ. სამხიარულოდ შეკრებილი ნათესავები ლოცავენ ახალშობილს. მას ჯანმრთელობას, შრომის სიყვარულს და ბედნიერებას უსურვებენ.

პატარას პირველად, სამი-ოთხი დღის შემდეგ, „ებე“ (ბებია ქალი) დაბანდა მხოლოდ თბილი წყლით, მერე კვერცხის გულით თითქმის ყოველდღე, რათა იგი „თვალცემელა“ არ გაიზარდოს. ესეც ბავშვის მომავალის განსაზღვრას ემსახურება.

ახალდაბადებულს ქორფას ეძახიან. წლამდე, ფეხის ადგამამდე – „ჩვილს“. ფეხის ადგამიდან ათ-თორმეტ თვემდე – ანგელოზს, როცა ბავშვი აკვნიდან ზემოთ იყურება და იცინის, იტყვიან, ანგელოზს უცინისო.

საყურადღებო რწმენა-წარმოდგენებია დაკავშირებული ფრჩხილების დაჭრასთან, თმის შეკრეჭვასთან, კბილის ამოსვლასა და ფეხის ადგმასთან. ბავშვს აკვანთან კედელზე ურმის ტაბიკს დაუკიდებენ, ჩვილფეხიანი არ დარჩესო, აკვანში თავს დოღბანდით შეუკრავენ, მრგვალი ფორმის თავი ჰქონდესო, პირველად ქვედა კბილის ამოსვლას ამჯობინებენ, „ცას უყურებსო“, ზედა კბილი, „შინას ჩაჩერებია, ბავშვი დღეგრძელი არ იქნებაო“, პირველად ამოღებულ კბილს ან სახლის სახურავზე შეაგდებენ, ან ნაყოფიან მოზარდ ხეზე დაუკიდებენ. წლამდე ბავშვს ჩიტის ენას შეაჭმევენ, „მოჭიკჭიკე“ რომ იყოს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალშობილისათვის სახელის შერჩევას. ქალიშვილს ხშირად სახელს დედა არქმევს, ბიჭის სახელი კი ბჭობის საგანია. ოჯახის წევრები ხშირად აქცენტს აკეთებენ დიდ წინაპარზე ან საზოგადოებაში დაფასებულ ვინმე ახლობლის პატივსაცემად არქმევენ. ოჯახის თითოეული წევრი მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში. დედა თანაბრად უნანილებს ყველა შვილს სითბოსა და ალერსს. ერთნაირია მისი დამოკიდებულება ქალთან და ვაჟთან, ერთნაირად აჩვევს შრომას, საჭიროებისას ერთნაირად სჯის. დედას განსაკუთრებული ყურადღება მაინც გოგონას მიმართ აქვს.

მამის დამოკიდებულება შვილისადმი მოჭარბებული სიმკაცრით გამოირჩევა. იშვიათად ეფერება მას.

როცა შვილების შრომით საქმიანობაში ჩაბმის დრო დადგება, მამა ვაჟს გვერდით ამოიყენებს, საქმეს ასწავლის, აჩვევს, მერე კი ავალებს, ითხოვს მისგან ასაკის შესაბამისად დავალების შესრულებას.

უზრუნველი ცხოვრება, მხოლოდ თამაში და გართობა, ბავშვებისათვის 5-7 წლამდე გრძელდება. პირველად ბავშვს წყლის მოტანას დაავალებენ. ბიჭს ფარცხზე დასვამენ, გოგოს კი ხელსაქმეს – ქსოვას, ჩეჩვას, ჭურჭლის დარეცხვას, ოთახის დასუფთავება-დალაგებას ასწავლიან, ცოტა მოგვიანებით – რთვას, საქონლის საძოვარზე გაყვანასა და მის მწყემსვას. ქალს დედა პირველად მჭადის დაკვრას ასწავლის, მერე თანდათანობით სხვა საოჯახო საქმეებშიც დაიხმარებს. ვაჟის სერიოზული საქმე ყანაში პირველი კვალის გაყვანით იწყება. კვალში ჩამდგარ ბავშვს ბაბუა ლოცავს და გუთანს დააჭერინებს. მერე გამარგვლა-გათოხვნაა. ცოტა მოგვიანებით, 14-15 წლის ასაკიდან – თიბვა.

ტრადიციული ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს მოზარდები ადრეული ასაკიდანვე ეზიარებიან. უფროსებთან ერთად იშვიათად მოუსხდებიან სუფრას, მათ უსიტყვოდ ემორჩილებიან, ვაჟი მამასთან პაპიროსს ვერ მოსწევს, ვერც ალკოჰოლურ სასმელს მიეცანება. ეს, შეიძლება, სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდეს.

ბევრად განსხვავდება ბავშვების დამოკიდებულება ბებია-ბაბუას მიმართ, ბიჭისთვის ბაბუა, ხოლო გოგონასთვის ბებია უფროსი მეგობრები არიან. პატარები მათთან უფრო თამამად გრძნობენ თავს. ბებია ასწავლის გოგონას ხელსაქმეს, უქსოვს, უკერავს, ეხმარება სათამაშო დედოფალას შეკერვაში. ბაბუა უყვება შვილიშვილს გვარზე, ოჯახზე, ლეგენდებზე, საგმირო საქმეებზე, ტრადიციებზე. ბაბუა ამზადებს, აკეთებს შვილიშვილისათვის ციგას, სათამაშო აკვანს და სხვ. ზღაპრების თხრობაც ბაბუასა და ბებიას საქმეა.

ოჯახში და-ძმებს შორის დამოკიდებულება უფროს-უმცროსობით განისაზღვრება. უმცროსები უსიტყვოდ ემორჩილებიან უფროსებს, დები – ძმებს. დას უმცროსებზე მეთვალყურეობა და პატრონობა ევალება. 15-16 წლის შემდეგ უმცროსი ძმაც დისათვის ავტორიტეტია. ძმას დის ნებისმიერ საქმეში ჩარევის უფლება აქვს, მისი დაცვა ევალება.

ყრმობა საკმაოდ ადრე სრულდება და მშობლები ზრუნვას იწყებენ შვილის დასაოჯახებლად. ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ცხოვრებაში. აქედან იწყება გადასვლა ახალ სოციალურ საფეხურზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქალი ხდება რძალი, ცოლი, მოგვიანებით დედა, ხოლო ვაჟი თავის უფლებებს იმკვიდრებს ოჯახში, იზრდება მისი პასუხისმგებლობა.

მთხრობელი ვაჟა მაკარაძე

* * *

ერთხელ მუხამედ მაკარაძე (მძლოლად მუშაობდა 45 წელიწადს) მეზობელი რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის ვენახში შეიპარა. მტევნის შეჭმაც ვერ მოასწრო, იმ წუთშივე დააკავეს მცველებმა. ჰკითხეს, თუ საიდან იყო და ვისი შვილი. მამამისს – ქიბარ მაკარაძეს ყველა იცნობდა, ამიტომაც მან თავისი ვინაობა დამალა. ჯუმეშაურში დურსუნის შვილი ვარო, უპასუხა. ამ ამბავმა დურსუნის ყურამდე მიაღწია.

ერთ დღეს მამა-შვილს სოფლის მალაზიაში შეასწრო დურსუნმა: თუ ღმერთი გნამს, მიპასუხე, ვისია მუხამედი, შენი თუ ჩემიო. თუ კარგი გააკეთა, ქიბარისაა, თუ ცუდი, დურსუნისაო. ქიბარმა უპასუხა, წადი და ჩემს ცოლს ჰკითხე, ვისია მუხამედიო.

* * *

საბჭოს თავმჯდომარის ეზოში შეგროვილ სოფლის აქტივისტებს – სოლომონ მაკარაძეს, ქიბარ მაკარაძეს, ლევან ბერიძეს, შადიმან ქარცივაძეს და სხვებს მოსვენება არ აქვთ. როგორ მოიქცნენ? ნაუსვლელობა არ იქნება, ხულოში პარტიული აქტივის კრება ტარდება. უკან დაბრუნების საქმე ადარდებთ, ისე თოვს, შესაძლებელია, გზები ჩაკეტოს. დიდი ყოყმანის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შეჰბედა საბჭოს თავამჯდომარეს: კარგ პურ-მარილს ვკისრულობთ, ოღონდ ამჯერად გვიპატრონეო. რაც მოხდება, სოფელს გადახდებო, – ჩაიქნია ხელი ნესტორმა. მოიყვანეს შავი ყოჩი – გამართეს პურ-მარილი.

პურ-მარილის ამბავმა ნესტორს ჩაასწრო პარტიის რაიკომში (თურმე პარტორგმა აცნობა). პირველმა მდივანმა დაიბარა ნესტორ მიქელაძე და მისი აქტივისტები. ნესტორ, ხომ იცი ყოჩი გაცოცხლებულა!..ყველას სათანადოდ მიუზღეს.

* * *

თალიბ მაკარაძე იგონებდა, რომ ომი ახალი დამთავრებული იყო. მე და მერჯან მაკარაძე შუახნის კაცმა სახლის ასაშენებლად ხელვაჩაურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში წაგვიყვანა. წესია, ოსტატს საგანგებოდ შერჩეული საჭმელები უნდა მიართვან. ოჯახის დიასახლისმა მორიდებით იკითხა, რა საჭმელებს მიირთმევთ, რა უფრო გირჩევნიათ. ჩვენ ხუმრობით ვუპასუხეთ: ფხალეულს და კიდეც, რაც უნდა იყოს, სულერთია ჩვენთვისაო. დიასახლისს კიდეც გაუხარდა, გაჭირვების პერიოდი იყო, იფიქრა, პირველად რომ ფხალეული დაასახელეს, ალბათ, ძალიან უყვართ და ყველა ჯერზე შავი ფხლით ამოგვივსო კუჭი.

ერთ ღამეს ბოსლიდან ძროხები გამოვუშვით და ბოსტანში შევუშვით. დილით დიასახლისი გაბრაზებით ყვიროდა, დამაქციეს ძროხებმა, ოსტატებს ფხალეული უყვართ, ახლა რა უნდა მივართვაო. მეზობლებს გამოართვა ფხალი და იმ დღესაც ფხლისაგან გამზადებული საჭმელი მოგვართვა.

* * *

ნესტორ! თვალებს რატომ ხუჭავთ, თქვენთან გამოძახებულ კაცს რომ ელაპარაკებით.

პირდაპირ თვალეებში როგორ შევხედო, ერთი ძროხა ჰყავს კაცს და ისიც გეგმის შესასრულებლად უნდა ჩავაბარებინოო...

* * *

ოსმან! გეგმის კარტოფილი რატომ არ ჩაიტანე და არ ჩააბარე ყინჩაურში.

– ტომრები არ მქონდა.

– ჰოო, ყურთისონში ტომრის მქსოველები მყავს, მიდი და მოგიქსოვენო.

სიმღერა ოდადაურზე

მთას გადივდი, ხევს გადივდი,
ნაძვებს ლიმიდს გადუმიდი,
ანც დალდიდი, ანც დახრიდი,
შეხვად ოდადაურში.

შეხვად, მაგრამ ვერ გამოხვად,
ბუდი გეწყვის, დანჩიო,
ასეთ სოფელს ვერსად ნახავ,
ათასში რომ ანჩიო.

წანმალადი ქაბუკები,
წანკენარი ქადები,
აიქნები – გაიქნები,
ვერსად გაექანები.

წარბგახსნიდი მეზობლები,
თვადწათუდი ოდები,
ბალები და ეზობები,
მობახუდი კორდები.

შეხვად, მაგრამ ვერ გამოხვად,
ბუდი გეყვის, დარწიო,
ასეთ სოფედს ვერსად წახავ,
ათასში რომ არწიო.

ლექსის ავტორია ნესტორ მალაზონია

თქმულება თამარჭალაზე

თამარჭალის შესახებ ოლადაურელებს საუბარი რომ გაუბათ, დაუფიქრებლად გეტყვიან, ერთ დროს ამ ადგილას თავისი ამალით დიდ თამარს გაუვლია, შეჩერებულა კიდეცო, დასძენენ, სამხრეთ-დასაავლეთ საქართველო თამარის მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, ხიხანსა და სხალთაში ჩამოსული მეფე შავშეთ-იმერხევსაც მოინახულებდაო. შავშეთ-იმერხევისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა სხვა ხეობიდან ფურტიოსა და მომწვარზე გადმოვლით მარეთის ხეობაში გადმოდიოდა. ერთი მხრივ, და აუყვებოდა ოლადაურ-მახალაკიძეები-სანალია-კინიჯვარს, მეორე მხრივ – ოლადაურ-თამარჭალა-უძირო-ტბიბოლო-მანყვალთის მთას და სადღაც 9-10 საათში მარეთის ხეობიდან შავშეთ იმერხევში შეიძლებოდა მოხვედრა.

სწორედ ამ გზაზე, სანალიას მთიდან სამ-ოთხ კილომეტრში, ბოსტანდელის გაღმით, უძირო ტბიბოლოს მიდამოებში უძველესი დროიდან არსებულა აბანო, რომელიც ძვირფასი სამკურნალო თვისებებით ყოფილა გამორჩეული და რომლისთვისაც ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ყურადღება მიუქცევია ცნობილ მოღვაწეს იოანე ლაზს, პეტრე იბერის აღმზრდელს და მასწავლებელს. გადმოცემით, იგი ფურტიოდან ყოფილა. მას აბანოს ახლოს ქსენონი აუშენებია, სამკურნალოდ ჩამოსული თუ ჩამოყვანილი ავადმყოფები რამდენიმე დღეში განკურნებული უკან ბრუნდებოდნენო.

ოლადაურ-თამარჭალაზე გავლით შავშეთ-იმერხევისკენ უმოკლესი გზით მიმავალი თამარი დაინტერესებულა სანალიის მთის აბანოთი.

თამარჭალის მიდამოებში შეჩერებულა. მეორე დღეს, თამარჭალიდან 2-3 კილომეტრში უძირო ტბიბოლოს მიდამოებში არსებული აბანოს აბაზანებიც მიუღია, კინიჯვრის ღელესთან არსებულ საყდარში ულოცავს და ყვირილას მიმართულებით შავშეთ-იმერხევისაკენ გამგზავრებულაო.

თქმულების მიხედვით, კინიჯვრის საყდარს ზაფხულის პერიოდში საკმაო მრევლი ჰყოლია იმერხევისა და მარეთის ხეობის ახლო სოფლებიდან, სანაღიას, მაჭახლისა და ჯინაღის საზაფხულო იალალებიდან.

1906-1909 წლებში კონსტანტინე მაჭავარიანმა გამოაქვეყნა აჭარაში შეკრებილი თქმულებები, გადმოცემები, მათ შორის თამარ მეფესთან დაკავშირებული. ავტორის მიერ ჩანერილი ერთი თქმულების მიხედვით, აჭარაში მოგზაურობის დროს თამარი შეჩერებულა სოფელში, სადაც დაავადებული მტრედი თუ შევარდენი სამკურნალო წყალში განკურნებულა თურმე. შემდგომ ის ადგილი კეთილმოუწყვიათ, სადაც ბევრი ჩამოსული ავადმყოფი მკურნალობდაო (კ. მაჭავარიანი, თქმულებები, 1966 წ.).

ღვანლმოსილი პედაგოგის ა. ი. მაკარაძის გადმოცემა გვაუწყებს, რომ “მეფე თამარ ზამთრის დღინ იყვის და ზაფხულს კოლას და ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდვიდის აფხაზეთს: გეგუთს და ცხუმს“..ცელის ტბის ნამდვილადგილმდებარეობაზე თავისი ვარაუდი გამოთქვა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, მაგრამ გადამწყვეტ სიტყვას არც ის ამბობს, სახელოვანი ისტორიკოსი იმედოვნებდა, რომ “მომავალში მეტი ცნობები აღმოჩნდებოდა და მაშინ უფრო ადვილი იქნებოდა წედის, წელის თუ ცელის ტბის ნამდვილი მდებარეობის გამორკვევაო” (ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 22).

საყურადღებოა, რომ იმავე თამარჭალის მიდამოებში ერთ-ერთ სათიბს ტბას უწოდებენ, ალბათ დამშრალი ტბა, თოვლის დნობისა და ხანგრძლივი წვიმების შედეგად წარმოიქმნება და შემდეგ შრება, ხოლო ერთ-ერთ მთას უძირო ტბიბოლო ჰქვია. საერთოდ, ეს ადგილები მდებარეობითა და ბუნებით სააგარაკოა.

ტრადიციისამებრ მეთორმეტე საუკუნეშიც, სამკურნალო წყლის ახლოს არსებულა განახლებული ქსენონი, სამკურნალოდ ჩამოსულთა მომსახურებისათვის. აქაური ბუნებითა და ძვირფასი სამკურნალო წყლით მოხიბლული თამარი არ შეიძლება არ შეჩერებულიყო თამარჭალის მიდამოებში.

„თამარჭალა, სათიბი, ცელის ტბა, მთის სახელის ტბასთან დაკავშირება მართლაც რომ საინტერესო დამთხვევაა“ (სურმანიძე).

ავტორის მიზანს არ შეადგენს იმის მტკიცება, იყო თუ არა თამარ მეფე დასახლებულ ადგილებში. ხალხურ თქმულებებს მივყვებით, არ შეიძლება მათში სიმართლის მარცვალი არ დავინახოთ.

თამარჭალის შესახებ არსებობს ლეგენდის ვარიანტებიც.

ეს მასალები არჩილ მაკარაძემ ჩაინერა უხუცესებისგან.

სამკურნალო შელოცვები

ბოროტი ადამიანის მიერ „თვალნაკრულისა“

1. შეგილოცავ თვალისასა, კაცისასა, მთისა, ბარისა, ქვრივისა, ჩავკარ ჩემი ყავარჯენი, ამოვიღე შავი გველი, დავჭერ, დავჭერ, ჩავაყარე ბარისა, ქოთანში, გევიტანე ქედსა მაღალსა, ვადუღე და ვაქაფქაფე, ვინცხაის თვალი შენ გეცა, ოი და ვაი, ქვაი და მიწაი.
2. შეგილოცავ თვალისასა, შინაურისა, გარეულისა, ცხრა ათასი ფერისა. წითლისა, ყვითლისა, თვალჭრელისა, თვალშავისა, მაღალისა, დაბალისა. ვინცხაის თვალი შენ გეცა, მისი პირი პირუკულმა, შენი პირი პირნაღმა, როგორც ცულს ტარი მოერგება, ისე ჩემი შელოცვა მოგერგება, ვინცხაის თვალი შენ გეცა, მის თვალეებში ქაცვი, ეკალი და სარი.
3. მოვიდოდა შავი წყალი, მას მოჰქონდა შავი გველი, ამოვდე ფოცხი, გამოვტანე, დავჭარი და დავთიბე, ჩავყარე სარეველას ქოთანში, ვადუღე და ვაქაფქაფე, გევიტანე ქედსა მაღალსა, მივეცი ქარსა და ნიავსა.
4. მამითა, ძითა, სულითა წმინდითა, ლოცვა თვალცემულისა, ავი სულიერისა, ჯაზის შეერისა, ჯინის შეერისა, გასკდა და განიავდა მათი ავი თვალი.
5. ალისასა, მალისასა, თვალი მეცა ადგილსასა, შინაურისა, გარეულისა, უცხო მოცინარისასა, ქვედა მაყვალს ყანა მედგა, ყანაში იყო ლოდი, ლოდქვეშ იყო დიდი გველი, მივიხედე, მოვიხედე, ცალი თვალი წყლისა ჰქონდა, ცალი თვალი ცეცხლისა, გუუსკდა წყლის თვალი, შუუხელდა ცეცხლის თვალი.
6. ეგერ მიდის შავი წყალი, იმას მოაქვს შავი გველი, ჩავკარ ჩემი ყავარჯენი, ამოვიღე იგი გველი, მოგვიდე ლობესა, ყორესა, იგი ჭკნებოდა, ღრებოდა, ისე ღრებოდა, შენი ავი თვალი.
7. შეგილოცავ თვალისასა, ავი სულისა, ავი თვალისა, შინაურისა, გარეულისა, კაცისა, ქალისა, ტანდაბალისა, ტანმაღალისა, თვალჭრელისა, თვალშავისა, შენსა თვალის მცემელსა შავი ნაცარი.

 - შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით.

•••

ისეთ შემთხვევაში, როცა თვალში ბენვი ჩაუვარდებოდათ, განკურნების მიზნით ასე შეულოცავდნენ დაავადებულს.

აქარია, მაქარია, თვალწინ სამართებელია, შავია თუ წითელია, თეთრია თუ შავია, გამოი, გამოიხედე, გამოი, გამოიჟუჟუნდი, ნუ ხარ ბნელაში.

- შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით.

სურდოსი

1. სურდო მესტუმრა ადვილათაო, ან რა მივართვა სადილათაო? ანგალი, მანგალი, სამი თაგვის ბარკალი, შებოჭე და შებორდიკე, ძაღლის კუდსა გამოაბი. ძაღლი ღელეს გაახტუმლე, სურდო წყალში ჩაახტუმლე.
 2. სურდო მქონდა ადვილადა, რა მივართვა სადილადა, ძაღლი ხეზე გავახტუმლე, სურდო წყალში ჩავახტუმლე. ელეელიკო, მელელიკო, კურტუმო და ბარკალი, ლობის ძირში ჩავფალი. იგი მამამ ცხენი მომცა, ავამტვრიე, დავამტვრიე, – კარსაც მოხდა, კარმა იწყო ზრიალი, მეზობლებმა გრიალი.
- შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით.

ჭრილოზით დაავადებულისა

ევედი სერსა მაღალსა, დაეხედე ბარსა სოფელსა, დედაშვილი ქამად იჯდა, წინ ჰქონდათ ოქროს სუფრა, ზედ ედგათ წვრილი წრიმალი, დედა სკვნიდა, შვილი ხსნიდა, სკვენელსა ხსნელმა დააჭარბა.

- სამჯერ შებერვით შეულოცავდნენ.

დამწვროზისა

1. წითელი ხარი, წითელი ხუცესი, ზღვა ხნული, ქვიშა თურული, ვის მოსწრია, ვის გაჰგონია, მომწვარი გაძნელებული, მომწვარი, აღმა ამოდი.
- შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით.
2. ელი ელავდა, მელი მელავდა, ნაგალი ხევდა, მომწვარი გაძნელებული სამი დღის უკან გაქარვებულა.
 3. ელეღია, მელეღია, ზღვა ღელავდა, წითელ ხუცესსა ხარი გაება, ზღვაში ხნავდა, ქვიშას თესავდა, ვინ გაიგონა, ზღვა ხნული, ქვიშა თესილი, სამ დღეს იქით დამწვარი გაძნელებული.
- შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით.

შეშინებულისა

1. ქორი, ქორი ქანდარასა, ქათამი და ბუჯერასა, ზნევ მოდი, ზნევ მოდი, ფერი მოდი, ფერი მოდი, შეშინებული ტანის ხორციდან და ბუდიდან გამოდი.
- შელოცვა სრულდებოდა სამჯერ შებერვით.
2. სულითა წმიდითა, ლოცვა შეშინებულისა, სულო რამ შეგაშინა, გულო რამ შეგაშინა, ავმა სულიერმა შეგაშინა, ჯაზის შეერმა შეგაშინა. შეშინებულო გულო, კარში გამოი, შეშინებულო, გულიდან გეი.
- შელოცვა სრულდებოდა სამჯერ შებერვით.

დაავადებული ფრჩხილისა

ბედო, ბედო, ბედნიერო, სახელი გაქვს ბედნიერი, სად დეიბადე, სად გეიზარდე, ცხენის ნალს ქვეშ, თუ ორბის ფრთის ქვეშ?

- შელოცვა სრულდებოდა სამჯერ შებერვით.

ტყიბლით დაავადებულისა

ელელია, მელელია, ბოლო მარგალიტისა, სამი სამება ღვთისა, მამლისა ყივილისა, მოვიდა ბრძანება ღვთისა: „ტყიბლი“ ღრებოდეს, ჭკნებოდეს, თავდებოდეს.

- შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით.

სირსვილისა

1. ილაგრა ყანასა, ხარი ხნიდა ჭალასა, ხარს ტაბიკი დუუნყდა, სირსვილს ძირი შუუნყდა. სამჯერ შებერვით შეულოცავდნენ და ყოველ შელოცვისას ნემსის წვერით შემოხაზავდნენ დასირსვილებულ ნაწილს.

2. სირსვილი, სირსვილი, ხარი ხნავდა ყანასა, ხარსა ტაბიკი გუუტყდა, სირსვილს ძირი მუუნყდა, მე ვარ შენი მლოცველი, ღმერთი იყოს შენი მარგებელი.

- შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით.

ბლერით დაავადებულისა

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა, მე შეგილოცავ კუისა, კუე კუე კურკუმელო, პირ-აღმართო, ჭირ ჩაღმართო, ცხენის ფეხო ჩონჩორიკო, რა ეხოვი მურგსავითა, რას იკბინები ძალღვივითა, აგჭრი, დაგჭრი, ჩემისა ბასრისა დანითა, ჩაგყრი რვალისა ქოთანში, გადუღებ და გაფოფინებ, შვიდ დღეს და შვიდ ღამესა. გავატან ქედსა მაღალსა, მივასევ ყვავსა, ყორანსა, გამოი, გამოქარდი, ძვალში თუ რბილში იყო.

- შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით. დღეში რამდენიმეჯერ შეულოცავდნენ.

უჟმურისა

1. სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა, ლოცვა უჟმურისა, თვალუჩინარისა, უჟმურო გამოდი, გამოეშურე, შორსა წადი, სადაც არ იყურებოდეს ძალღის ყეფა. კაცისა უჭუი (კიჟინა), მამლისა ყივილი, იქ გასუმენ, იქ გაჭუმენ, იქ გაპატიებენ. გამოდი, უჟმურო, გამოეშურე, თუ არა, აგჭრი, დაგჭრი, ანითა, მანითა, შავტარიანი დანითა, გრძელტარიანი

- წალდითა. გაგატან ცხრა მთას იქითა. ჩაგყრი რვალისა ქოთანში, გადულებ და გადოდინებ, გაგადნობ წყალსაებ, გაგაქრობ ქარსაებ.
- შებერვით სამჯერ შეულოცავდნენ.
2. ეგერ მუა შავი კაცი ჯარითა, მისი შავი კბილებითა, აქ ისმის თეთრი მამლის ყვილი. იქ ნევდეს უჟმური, სადაც არ ისმის თეთრი მამლის ყვილი. იქ იყოს მისი ადგილი.
 3. ეს ალაგი ფასაცია, ფასაც კარი შვენერია, შინ ჯავი, გარეთ ხმალი ეშმაკისა მათრახისა.

თიბაძარისა

- იავო, თივაო, ტატეო, მკვახეო, რას ბლავი ხარივითაო, რას ჭყივი ლორსავითაო, რას ჭენობ ცხენსავითაო. აგჭრი, დაგჭრი, დაგდებ უძრავ ქვასავითაო.
- შელოცვა სამჯერ სრულდებოდა შებერვით.

დაჟეჟილოგისა

- ადამ დეიბადა, ცხრაო, დეიძახა, ცხრა წყაროს წყალი ერთად შეიყარა. ადამ კვეთდა, შტომან კვეთდა, შტომან ქარი მისცა, ზღვას მისცა, ზღვის გაღმა ხილი ხილნაყარი, ათასად აყვავებულა, გევედი უფეხოდ, მოუკრიფე უხელოდ, გადავყლაპე უკურკოდ, თეთრმა ყოჩმა გირქინა, კანკალა წყალმა გიკბინა, შეჭრეტილისა, შეშეჟილისა, ოხოხოი უუშვი, ოხოხოი გუუშვი.
- სამჯერ შებერვით შეულოცავდნენ.

შაკიკისა

1. არავ, რას ჩივი, ბარავ, რას ტირი, ბარავ, რას გოგოთობ? რავა რას ვჩივი, რავა რას ვსტირი, რავა რას ვგოგოთობ, ჩემსა ქრისტესა თვალსა ბულთი ჰკრეს, იმას ეძლიბლის, იმას ეკურცხლის, რაა მისი წამალი? ჩადი ჩემსა ბოსტანსა, მონივე სამი სამყური კამიხა კუკულო, შეაბი აბრეშუმის წითელ ძაფზე, წამოაცვი ფოლადის ნემსი, შეაბი შუბლზე, ის არის წამალი.
- შებერვით სამჯერ შეულოცავდნენ და მოხსენებულს შუბლზე მტკივან მხარეზე ჩამოკიდებდნენ.
2. შაკიკი შემოჩვეულა ვენახისა ბოლოსა, ისე ჭამდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო, გუუნყრა წმინდა გიორგიმ, გეიპარა დილასაო.
3. სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა, ლოცვა თავისა ტკივილისა, ყანის ბოლოს შაკიკი შემოპარულიყო, ისე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა, გუუნყრა წმინდა გიორგიმ, გეიპარა დილასა. მარიავ,

ტირი, მარიავე, რას ჩივი, გურამ მთასა ქორწილია, ჩემი შვილი წვეულია, ააგდეს ბურთი, მოხდა თვალსა, ეკურცხლის თვალი, ეტკივის შაკიკი, რა იმისი წამალი? სამი სამყური, ფოლადი ნემსი, წითელი აბრეშუმი, გადაუსვი წარბსა, გადავადგე მთასა, მე ვარ მლოცავი, ღმერთისა მაქებარი, როგორც დანის განაჭერი დანას ერგებოდეს, ცულისა განაჭერი ცულსა ერგებოდეს, ისთე ჩამონალოცი ჩემი ნაკითხი ჩვენ ავადმყოფს ერგებოდეს.

4. შაკიკი შემოგვეჩვია სათიბისა ბოლოსა, შენი შვილი გონიოს წევდა, თვალში მოხტა ფირითა, გადმოდინდა სისხლი, ჩეი ბაღჩაში, ავწყვიტე სამი სამყური, აბრეშუმზე წამოაცვი, გადაუსვი, გადაყვება, გადმოუსვი გადმოყვება, ღმერთისა ემრით გაქარდება.
5. შაკიკი შაკიკს ჩამოჰპარვოდა, რაა მისი წამალი? ყირმიზი ძაფი აბრეშუმისა, უხმარი ფოლადი ნემსი, დაახვიე აბრეშუმის ძაფი, გადუუსვი შუბლზე და გადუუსვი ნეკი ორივე წარბზე. მე ვარ შენი მლოცველი, ღმერთია შენი მარგებელი.

 - შელოცვა შებერვით სამჯერ სრულდებოდა.

თვალში ბენჯარდნილისა

მუხის „ფაჯას“ დაასვლებდნენ, დაადებდნენ მტკივან თვალზე, შეუხვევდნენ და თან ასე შეულოცავდნენ: აჯამე, მაჯამე, ბენჯო გამოი ფაჯაზე, გამოდ, გამოდ, ითამაშე, ეშმაკისა ბალახზე.

- შელოცვა სრულდებოდა სამჯერ შებერვით.

საყმანვილოსი

შავო მატავრავ, შავ ტყიდან გამოსულო, შავი შენი უნაგირით, შავი შენი შეკაზმულობით, შავო მატავრო, სად მიხვალ? ჰა, ფეხს სად მიაბაკუნებ? ბილი საჭმელად, ძვალი სახრავად, სისხლი სასმელად.

დედ-მამის ასაკურიახებლად არ გაგიშვებ, ჩემი ჰავანისა დანითა ბასრითა აგჭრი, დაგჭრი, დაგთიბავ, რაა მისი წამალი? სელისა ზეთი, ღორისა ქონი, ლილა-ქალამანი, კატის ბუდე, ვაი რა ვთქვი თავისი ქირი.

- შელოცვა სამჯერ სრულდება.

„გოჟოს“ ანუ რაქიტისა

გოგოვ, გოგოვ, გოჟოგელავ, ღანკაელავ. არხალაგო; მარხალაგო, ჰაპცია ბიჭის (თუ გოგოს) ფათარაკი, ალი მონადირობდა, გელი მოლას ცდილობდა, ის რომ რკინასა სჭამდა, როგორ ჰყრიდა ქვიშასა. დამბადადებელმა გუუნყრა, გეიპარა გიჟი დილასა.

გიჟოს გამოლოცვას აწარმოებდნენ მთვარის ცხრობაზე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით.

სულიერად შერყეულისა

სულიერად შერყეულის გამოჯანმრთელების მიზნით საგანგებოდ მოწვეული ისლამის კულტის მსახურის ყურანიდან ლოცვებს ამოუკითხავდა და შეუბერავდა სახეზე. თუ კითხვა-ლოცვა ვერ მოახდენდა ავადმყოფზე დადებით შედეგს, ამ შემთხვევაში დაშინების ხერხს მიმართავდნენ. დანის, ხანჯლის ან ცეცხლის ჩვენებით აიძულებდნენ ავადმყოფს, რომ გონს მოსულიყო.

შენყენილისა

დაავადებულის მკურნალობის მიზნით მას ასე შეულოცავდნენ:

ღვთითა, მამისა წმინდისა, მე გილოცავ შენყენილისა, ენე დიოდა, ქალმა ასე დეიძახა. სამ დეიძახა, სამი... შეიყვარა, ციხე აშენდა. კოშკი დაიდგა. დრომდე და მორჩობამდე დედასთან გააჩერე.

წყევლით წმინდა სულისა ლოცვის იდგა ვარიზის ხიდე, ქალი იჯდა, დედამ შვილსა უარი უთხრა, ცა დადგა. რა სულმა სულიერმა, ჯერ იძრა და მემრე დადგა ნუსხის კიდო, ეთეო, ბალანაი დადგა.

- სამჯერ სრულდება.

კუს ძარისა

კუნკურენკო წამომჯდარხარ, მაგ ჯარეკზეო. წამოგისხამს გჭრი ალითა, მალითა, შავტარიანი დანიითა. დაგკიდებ ეკალ. ხარშავ ქვაბში რგვალისასაში, გაგაქრობ თვალსწრაფადა.

ეს შელოცვები მთხრობელმა თავისი სოფლის უხუცესებისგან ჩაიწერა...

ანდანებო

- ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოაწყანს ქვიშასაო.
ათჯერ გაბომბე, ერთჯერ გასქერი.
აღამიანს ჩაგმა სიარულს ასწავლის, ფული დაპარაკსაო.
ავი შემნახველი ქურდზე უარესიაო.
ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.
ავი ძალი არც თვითონ ქამს, არც სხვა აქმევსო.
ავ კაცს შორიდან შემოუარეო.
ავსა კაცსა ავი სიწყვა ურჩევნია სულსა, გულსა.
ავს ნუ იქმნ, ავისა ნუ გემინიაო.
ამოლუბული ხმალი პურ-მარიღში ჩაიგოო.
ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი – პატიოსნება დაპარაკობს უენოდაო.
არ გათეთრდება ყონანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო.
არმინდამ ქვეყანა დააქციაო.
არცოდნა არცოდვიაო.
არც მწვადი დასწვა და არც შამფურიო.
არც ღვინოა და არც წყალიო.
არც ქარის მოყვანილი მიწა და არც გაყვანილიო.
ასი წლის დედაბერმა იანვარში მარწყვი მოინდომაო.
ასჯერ ხეს რომ უთხრა გახმიო – გახმებაო.
აქლემს უთხრეს, კისერი მრუდე გაქვსო, სხვა რა მაქვს სწორეო.
აღმართს დაღმართი მოსდევსო.
ახალი მეგობარი შეიძინე, ძველს ნუ დაივიწყებო.

- ბავშვი ცირიღში იბრდებაო.
ბავშვს ჰკითხეს, რად ცირიო, გამდის და ვცირიო.
ბადი ნვერში გამწარდებაო.
ბებერი ხარის რქაც ხნავსო.
ბედაურები დაიხოცნენ, ვინებს დარჩათ მოედანო.
ბუდი მომეც და სანაგვეზე გადამაგდეო.
ბელმა თქვა: ვინც მომიხმარს, წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვუვლიო.
ბედნიერს ცოლი მოუკვდება, უბედურს – ცხენიო.
ბევრი ვეცადე შენთვისა, ძლივს გამოვიდა ჩემთვისა.
ბევრი "ვოიში" ხარს უკულმა წაიყვანსო.
ბევრის მდომე ცოცხასაც დაკარგავსო.
ბერიკაცი სიბერეში დუღუკს რომ ისწავლის, საიქიოში გამოადგებაო.
ბოდი რომ წაიქცევა, სახლ-კარიც დაიქცევაო.
ბრწყინამა სხვას მიადახა. "პაი, შე, ბრწყინაო".

- გადაღებული საქმე ეშმაკისააო.
გაღია ყველა ერთია, ოქროსი იყოს, გინდ ხისა.
გამოსაშვები სისხლი უნდა გამოიშვასო.
გამოუდექ სიმართლესა, გამოგიღვეს სინათლესა.
გამშვედებელს ყველაზე მეტი მოხვდაო.
გაჟეჟიღს გაყეხილი სჯობიაო.
განა ყველა კაციაო, ვისაც ჩოხა აცვიაო.
გაყეხილი პური ან გამრთედებაო.
გალმით შეედავე, გამოლმით შეგრჩებაო.
გაჭირვებამ დედობილთან დამანვინა.
გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.
გემი ისე ან დაიქცევა, ნავადაც ან გამოდგესო.
გვედი გარედან არის ქრელი, კაცი – შიგნიდანაო.
გვედმა კბენა ან იცოდა და კაცმა ასწავდაო.
გინდა მგელს შეუჭამია, გინდა მგლისფერ ძაღლსაო.
გიჟს ყოველი ქვიანი გიჟად ეჩვენებაო.
გიჟი მობვერი კარგი ხარი დადგებაო.
გდახა თავმა ფეხები შეანუხაო.
გდახა მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.
გდახა მოყვარეს კაი მყერი სჯობიაო.
გდახა მწუნებელი ან გაგონიდაო.
გდესი კაცი რომ ცხენზე შეჯდება, ღმერთი დაავინყდებაო.
გდესს მქადის სახელი დაავინყდაო.
გოდონმა თქვა. "ცხენი არასდროს მყოლია, მაგრამ ფეხით ან მივიღიაო".
გუდი გუდს იცნობს და სუდი სუდსაო.
გუდკეთილობა კაცს ააშენებს, ბოროტება კი – დააქცევსო.

- დაბად ღობეს ყველა გადათედავსო.
დაბმული ძაღლი ავიაო.
დავრდომიღს წიხლი კი არა, შვედა უნდაო.
დათვმა დათვი მოივიდა და სხვის ყანაში წაიყვანაო.
დედა შვილისთვისაო, შვილი თავისთვისაო.
დამადღუღმა ქინმა კაცი მოკდაო.
დაუჩვევეღს ნუ დააჩვევ, დაჩვეუღს ნუ მოაკვებო.
დაშინებუღმა ძაღლმა ცხრა წელიწადს ქიშკარს უყეფაო.
დედა იკითხეო – კვიცი იყიდეო.
დედაკაცი და ეშმაკი – ორივე ერთიაო.



დედაკაცის შარი – მოვარდნილი ღვარი.
დედაკაცმა რომ გაინიოს, ცხნა ულელი ხარ-კამეჩის ღონე აქვსო.
დედაკაცს სანამ ქმარი ჰყავს – ამირანის, რომ მოუკვდება, ამირანთ-ამირანისო.
დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.
დედინაცვადი – თვადში ნაცანი.
დედის წინ მორბენად კვიცს მგელი შექამსო.
დიდ გვადვას დიდი ავდანი მოსდევსო.
დიდ კაცს დიდი სუდგრძელობაც მართებსო.
დიდ მფერს კაცი ან შეეხვეწება ან გადაეხვეწებაო.
დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევსო.
დიდის ღუკმა ცოდის მბითვსა სჯობიაო.
ღრობე მოსწრებუდი სიწყვა ხმაღბე უკეთესიაო.
ღრობე ხმარებუდი ფარი იგივე ხმაღიაო.
ღლევანდეკი კვერცხი მინჩვენის ხვადინდედ ქათამსაო.
ღლევანდედი სიწყვა ხვადინდედის ხიღიაო.
ღინჯი სისუდედე ზოგჯერ აჩქარებუდ სიბრძნესაც სჯობიაო.

•
ენით დავკოდილი ხმაღბე უარესიაო.
ენით მოცანის ურმით მოცანილი სჯობიაო.
ენამ დაღუპა ქვეყანა, გან ხმაღმა ამოღებუდმაო.
ენას კდიფე ან დაეღებაო.
ენთი აყვაკება ნეხვიც აყვაკდებაო.
ენთი გვერდიდან ფიცანი ან გაითღებაო.
ენთი თხილის გუდი ცხნა ძმამ გაიყოო.
ენთმა დასვრიღმა ღორმა სხვა ღორები დასვარაო.
ენთი მერცხდის ქიკქივი გაბაფხულს ვერ მოიყვანსო.
ენთი მგდისკენ, მეორე თხისკენაო.
ენთი პირის ქირიმე და ბვერი ხედისაო.
ენთი დაკვრით ხე ან მოიჭრებაო.
ენთმა თაგვმა ცხნა ქვევრი წაბიღნაო.
ენთ მეზობელს მეტედი სჯვიოდა, მეორე ხელს ისვამდაო.
ენთ ქვეყანაში ძალი ან იყო და კაცას აყეფებდნენო.
ეს ქვეყანა კიბე არის: ზოგი ადის, ზოგი ჩადის.
ეჭვებს ბვერი თვადი აქვსო.

- ვანდი უეკლოდ ანავის მოუნყვეფია.
ვანდი უეკლო ნუ გგონია და კაცი უნაკლო.
ვინც სხვას ორმოს უთხრიდეს, მან თავისი ბომა მოთხაროსო.
ვინც თავისთვის ავიაო, იმის სუდი შავიაო.
ვინც თავის ჰაფივი არ იცის, არც სხვისი ჰაფივი ეცოდინებაო.
ვინც მდიდარია ფუდით, ის ღარიბია სუდით.
ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.
ვინც მოითმინა – ვერცხდიაო, ვინც არა და ცეცხდიაო.
ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკისო.
ვაჟკაცი მცერი გერჩითს უხეირო მეზობელსაო.
კაი ცოფმორეულსა და ვუი ცოდმორეულსაო.
ვისაც ემძახდე, იმას ემსგავსეო.
ვისაც ქირი უნახია, ნამადიც იმას ჰკითხეო.
ვიყავ შენს დროსაო, მოხვად ჩემ დროსაო.

- ბანმაცისთვის ყოველი დღე უქმეაო.
ბლვა კოვბითაც დაიდვასო.
ბიარი ნისქვილი მადე გაფუქდებაო.
ბვინქვეშ თავვი არ მოკვდებაო.
ბანმაცი მეზობლის მოშორება თუ გინდა, რაიმე ასესხე და ნულა მოთხოვო.
ბოგი ქირი მარგებელიაო.
ბოგ კაცს ანგარიშის რცხვენია და ჩხუბისა არაო.
ბოგი კაცი არის, ბოგი კიდევ კაცუნაო.
ბოგი დედაკაცი არი, ბოგი – დედაკაცუნაო.
ბურგს უკან ბოგჯერ ხელმწიფესაც შეაგინებენო.

- თავვი ბელედში შიმშიდით არ მოკვდებაო.
თავკმა თხარა, თხარა – კაფა გამოთხარაო.
თავად არ იყო ძმარო, შიგ გაურიეს წყადო.
თავის გაფეხა სჯობის სახედის გაფეხასაო.
თაფლი იყოს, ბუბი ბალდადიდან მოვაო.
თევზი თავიდან აყროდდებაო.
თევზი დასაჯეს და წყადში ჩააგდესო.
თევზმა თქვა: სათქმელი ბუერი მაქვს, მაგრამ პირი წყდით მაქვს სავსეო.



თვადი გულის სარკეაო.
თვადი თვადს რომ მოშორდება, გუდი გადასხვავდებოდა.
თვადი სქამს, თვადი ძღებოაო.
თოვდი თეთრია, მაგრამ ქვეყანა ზედ დადისო.
თუ გუდი გუდობს, ქადა ორივე ხელით იჭმებოაო.
თუ გინდა მჭერი გაგიმრავლდეს, შინაურებს ნაკვიდუო.
თუ რამ ნახდა, სოფელს გადახდა.
თხა თხაზე ნაკლები მგელმა შექამაო.
თხას თხის ფეხით დაჰკიდებენ, ცხვარს ცხვრის ფეხითაო.
თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო.
თხის ჰაერონს თხის კუდიო.
თვრამეფი წლის ქადი ან ქმარქვეშ, ან ქვის ქვეშო.

•
ოსეთი გოდორი მოქსოვე, შენ შვიდიშვიდსაც გამოადგესო.
ოსეთი ცყუიდი უნდა თქვა, რომ ფეხები ჰქონდესო.
ოსეთი ხიდი გადუ, რომ შენმა შვიდიშვიდსაც ზედ გაიაროსო.
ის ურჩევნია მამულსა, რომ შვიდი სჯობდეს მამასა.
იქცოდეს – შეესიე, შენდებოდეს – შეენიე.
იმქვეყნად შებრადება ან უნერია, ვინც ცუდი მეზობელია.
კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.
კარგი შვიდი დედის გულის ვარდიაო.
კვიცი რომ დედის წინ ხელომას დაიწყებს, მგელი შექამსო.
კარგი ამხანაგი კარგი ძმობის დარიაო.
კაი ცხენი მათრახს ან დაიკრავსო.
კამეჩის მოქიდავე ხარს რქები ან შერჩებოაო.
კაცა ისე უნდა დაიქინო, რომ ბრქყადები ან გაგვრასო.
კაცია – მღვდელი მოსწონს, კაცია – მღვდლის ცოდი.
კაცი ან ვარგა უმჭერო, ანც მეცად მჭერმორეული.
კაცი ვერ შესწვდა ცხენს და უნაგირს მცვრევა დაუნყოო.
კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერია.
კაცი იმ ცოცს ქრიდა, რომედებდაც ფეხი ედგაო.
კაცი ყველაზე მეცად მგზავრობაში იცნობაო.
კაცი კაცის წამაღია.
კაცის თვადს შავი მიწის მეფი ვერაფერი გააძღებსო.
კაცმა რომ კაცი გაიწნოს, 9 ფუთი მარდი უნდა შექამონ ერთადო.
კოკასა შიგან რაც სდგას, იგივე წარმოსდინდების.
კუბიანს სამარის მეფი ვერა გაასწორებსო.
კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახინ-ნახინო.

- დამაბი ქადი დღეს შენი, ხვადე – სხვისიაო.
დამაბი ქადის ცოდად შერთვა – ნყადში ჩავანდნაო.
დოდი მაშინ მძიძეა, რა ადგილს ძევს და რა ადგილით დაიძნას, გამსუბუქდესო.

- მადღს მანიდიც მოაყანო.
მამა დაივიწყა და მამინაცვადს ფიფელობდაო.

თამარ მაკარაძე

„ქუშინარობა“ მარეთის ხეობაში

მარეთის ხეობა გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებრივი პირობებით ერთ-ერთი საყურადღებო ხეობაა ზემო აჭარაში. ხეობის ისტორიის, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის, სოციალური ტრადიციების, სულიერი თუ მატერიალური კულტურის შესახებ საინტერესო ფაქტობრივი მასალები აღუნუსხავთ გ. ყაზბეგს, თ. სახოკიას, დ. ბაქრაძეს და სხვებს.

მარეთის ხეობის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე განლაგებულია სოფლები, რომლებისთვისაც ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებია დამახასიათებელი. აღნიშნული ხეობის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს სოფელი მანყვალთა, რომელიც ოლადაურის თემში შედის.

ზემო აჭარაში (ხულოსა და შუახევის რაიონებში) იმართებოდა და დღესაც იმართება თითქმის ყველასათვის ცნობილი დღესასწაული „შუამთობა“. ასევე ტარდებოდა შუამთობის მსგავსი მცირე დღესასწაულები, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, მივიწყებულია. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაულია „გუშინარობა“ („ქუშინარობა“). იგი მარეთის ხეობის სოფლებს შორის მხოლოდ მანყვალთაში იმართებოდა. „გუშინარობის“ დღესასწაული და მისი სინონიმური ტერმინი „ქუშინარობა“ ტოპონიმ „ქუშინარი“ („ქვიშნარიდან“) მომდინარეობს (ცნობა მოგვანოდა ეთერ ზოიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ).

წყაროსთვალსა და მანყვალთას მთას შორის არსებულ ტერიტორიას, სადაც ჭალებია, „ქუშინარი“ (მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992, გვ. 113) ჰქვია. აქედან გამომდინარე, ამ დღესასწაულსაც, ზემოთ აღნიშნული სახელის მიხედვით „ქუშინარობა“ („გუშინარობა“) ეწოდება. არაა გამორიცხული, ამ ადგილს ეს სახელწოდება, პირიქით, დღესასწაულის სახელიდან გამომდინარე ჰქონდეს შეთვისებული. „ქუშინარი“ ჭალებში ამალგებული ადგილია, რომელიც კორტოხის სახელს ატარებს. კორტოხის ქვა – ხიჭიანი, ხრიოკი და

გუმბათოვანი (ლაკოლითის ფორმის) მთაა. იგი მდებარეობს შავშეთისაკენ მიმავალი სამანქანე გზის სამხრეთ-დასავლეთით, საიდანაც მოჩანს მთის თითქმის ყოველი ადგილი. კორტოხი სოფლიდან დაშორებულია 6 კილომეტრით, ზღვის დონიდან მდებარეობს 1394 მეტრის სიმაღლეზე.

„ქუშინარობა“ ეწყობოდა ყანების გათოხნის შემდეგ, შუამთობაზე წასვლამდე 10-15 დღით ადრე, „კვირკობის“ დღეს. კვირკობა არის „ჩურუგას“ ანუ ივლისის პირველი კვირა დღე. ამ დღეს არ შეიძლებოდა ყანაში და ბოსტანში მუშაობა. იტყოდნენ: „მოსავალს მატლი შეჭამსო“. თუ აუცილებელი იქნებოდა ვინმესთვის ყანაში გასვლა, პირველად ყანაში რკინის ნაჭერს გაიქნევდა, შემდეგ თვითონ შევიდოდა. ასევე, კვირკობის დღეს მთაშიც არ შეიძლებოდა მემთევერთა საქმიანობა. რძის პროდუქტების დამზადება (ნაღების მორევა და კარაქის გარეცხვა, ყველის ამოღება, ნაღუდის დაზელვა და სხვა). ამ დღეს არ შეიძლებოდა ბანაობა – „კანზე ბრუმოებს (გამონაყარი) დააყრისო“.

„ქუშინარობა“ ერთდღიანი დღესასწაული იყო. რიტუალში მონა – წილეობდნენ არამარტო მანყვალთის მცხოვრებნი, არამედ მონვეული ჰყავდათ ოლადაურის თემში შემავალი ყველა სოფლის (ოლადაური, მახალაკიძეები, შუბანი, კობალთა, დარჩიძეები, პაპოშვილები, კორეჭი, ჯუმუშაური, კარაპეტი) მკვიდრნი.

დღესასწაულთა ხასიათის მაჩვენებელია მათში „მენინავე“ ქალების გამოყოფის ტრადიცია (ე. ზოიძე). ქუშინარობაზე მიდიოდნენ მხოლოდ ქალები და ბავშვები, მამაკაცები მასში არ მონაწილეობდნენ. მამაკაცის წასვლა ამ დღესასწაულზე სირცხვილად ითვლებოდა.

ქუშინარობის შესახებ საინტერესო ცნობები მოგვანოდა სოფელ მანყვალთის მცხოვრებმა 110 წლის ზეხრა დავითაძემ. „ალოუნებით – ჯიღჯილებით“ (ოქროს ან ვერცხლის ყელსაბამი) „კორდომებით“ (ვერცხლის ფერადი თვლებით გაფორმებული გულსაბნევი, რომელიც მკერდს ერთ მხარეს ფარავდა) „ქოსტეგებით“ (ვერცხლის ძენკვი) გულდამშვენებული, წელზე ფარცხი ქემერით (ფარცხისებურად მოქსოვილი ვერცხლის ქამარი) და თორით (შალის ძაფისაგან მოქსოვილი, თეთრი, ყვითელი ან წითელი ფერის ქამარი) მორთულ-მოკაზმული ქალები ცხენებით, ზოგი კიდევ ფეხით ავიდოდნენ კორტოხის სერზე, „ვორირამის“ სიმღერით, სიცილ-ხარხარით და „ვაი-ყიამეთით“ (ხმაური), სანამ კორტოხის სერზე ავიდოდნენ, რომელსაც „ყიშლის დარეს“ (საძოვარი, იალალები, პირუტყვის დროებითი სადგომი გაზაფხულსა და შემოდგომაზე, „დარე“ – დამრეცი ადგილი) ეძახიან და შეისვენებდნენ. ყიშლის დარედან მოჩანს მარეთის ხეობის უმეტესი სოფლები და საზაფხულო იალალები. იქ იმხიარულებდნენ და გააგრძელებდნენ გზას კორტოხისაკენ. კორტოხის სერზე მთიდან მემთევრები გამოვიდნენ, რომლებიც დიდრონი კარდლებით და თეთრი ნაჭრისაგან შეკერილი ჩახვებით (ნაჭრისგან შეკერილი სამკუთხა ფორმის

ჭურჭელი) გამოიტანდნენ ხავინს, გევრეგს, ბორანს, მანონს, ნალებს, დამნნილ და შავ („მოშუშულ“) ყველს. ლხენა ინყებოდა ასვლისთანავე და სალამომდე გრძელდებოდა. ცეკვა-თამაშის მონაწილენი ისევე, როგორც შუამთობაზე (ზ. თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბ., 1980, გვ. 25) ამ დღესასწაულზე იცვამდნენ სიცილის მომგვრელ ტანისამოსს, იკეთებდნენ გრძელ კუდეებს და ამგვარ ბევრ რამეებს იგონებდნენ, რომ სეირს სეირის ხასიათი ჰქონდა.

ქალები ცეკვავდნენ ხორუმს, ყოლ-სამას, განდაგანას, ვოსურას. ცეკვა ხორუმს სიმღერის ასეთი ტექსტიც ახლდა:

„გოგოვ, შენი თეთრი კოფცა
ვინ შეკერა მაგურა კოხცად?
მაგის შემკერავი მოკვდა,
ჩემი გუდი იმან მოკდა.
თქვენ ქარცეცხდში იფანჯოდით,
რომ დაგეცვათ ჩვენი კერა,
შემოკვედე ყვედა ქად-ვაჟს,
ვინც მის დასაცავად წევა“.

დღესასწაულში მონაწილეებს თან ექნებოდათ დოლი, გარმონი, საზი, ჭიბონი და სხვა.

სალამოს მემთვერები მთაში წავიდოდნენ, ხოლო ბარიდან ასული ქალები „ვორირამის„ სიმღერით თავიანთ სახლში ბრუნდებოდნენ. ზოგი კი მემთვერებს გაჰყვებოდა მთაში.

„ვორირამა“ – სოფელში გავრცელებული სიმღერა იყო, რომელსაც ყველგან მღეროდნენ. შუამთობაზე, ქუშინარობაზე, ქორწილში, სათიბებში. სიმღერის შესრულება ყველას არ შეეძლო, მღეროდნენ ის ქალები, ვისაც კარგი ხმა ჰქონდა. სიმღერა ორხმიანია, ასრულებდა ყივანა და ბანი ხმები. „ყივილის მთქმელი ერთ-ორ სიტყვას დააბრუნებს და მერე ბანები მიყვებიან“ (ალ. მსხალაძე, აჭარის საოჯახო სანესჩვეულებო პოეზია. ბათუმი, 1969, გვ. 68).

სიმღერის ტექსტი მრავალნაირია, ერთ-ერთი ასეთია. :

•••

„რა დამაზი გოგო შენ ხარ,
ცაში მფრინავი მერცხადი.
არ დაკვარგავ მე შენს თავსა,
სანამ ცოცხადი ვიქნები“.

მისამლერი:

”ვოი რერო, ვოი რერო,
ვორერო და ვოჰო ვორერო რერო,
ვოხო ვო
ვო! ჰე ვოხე ვო ჰო ჰო“.

”გაზაფხუდი მისთვის მინდა.
ყვედა ხეს აქვს ყვავიდი,
ან დაივინყო, ბიჭიკო,
პირვედი სიყვარული“.

ამის შემდეგ მისამლერი მეორდება:

”ციდან წვეთები ვარდება,
ბალში ვარდებას ეკარება,
სანამ ცოცხალი ვიქნები,
შენი თავი მეყვარება“.

მისამლერი კვლავ მეორდება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „გორირამას“ ყველგან მღეროდნენ, მაგრამ სხვადასხვა საკულტო წესჩვეულების შესრულების დროს ტექსტიც განსხვავებული იყო. სათემო ჭალების მოთიბვის ანუ „საფოცხვის“ დამთავრებისას სიმღერის ტექსტი ასეთი იყო:

”დავამთავრეთ ჭადები და
სახლში მივადთ ქადებო“.

ახლავს მისამლერი

ქორწილში კი დედოფლის მაყარი ასე იმღერებდა:

”დედამთილო, კარში გამოი,
ჩეიბანე შენი რძალი,
გონჯი თვადით თუ შეხედე,
ძაღღმა გახნას შენი ძვადი!“

მისამლერი

ეს ისეთივეა, როგორც აღწერილი აქვს მკვლევარს ალ. მსხალაძეს.

•••

”ღეღამთილო, გამეიხედე
მოგიყვანეთ კარქი რძადი,
თუ კარქ თვადით არ შეხედე,
ძაღღმა გახრას შენი ძვადი“.

მისამღერი

”ღეღამთილო, იო
რას მემღურებო,
შენი ბაღვი თაქაჩადი
მე სხვას წაყვებო!“

მისამღერი

”შენი ჩაქაფთაი-მაქათაი,
ვინ მოგიცანაო,
ჩემმა ძიამ, ჩემმ ჯანამ,
მან მომიცანაო!“

მისამღერი

პირბადის ახდის დროს კი:

”ზემზემწყადი რა უხდება
გვედის ნაკბენ იარასო.
ეხვენები, პირს არ იხდის,
თუ არ აჩუქებ ფარასო!“

მისამღერი

„ქუშინარობა“ უდაოდ საინტერესო დღესასწაული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღეს მივიწყებულია. საკრებულოს ხელმძღვანელობა მის აღდგენას ფიქრობს. საინტერესო მასში განსაკუთრებით ისაა, რომ დღესასწაულში ქალებისა და ბავშვების გვერდით მონაწილეობის მიღებას აპირებენ მამაკაცებიც, თუმცა შესაძლებელია ამ ფაქტმა დღესასწაულს ტრადიციული იერსახე შეუცვალოს. დღესასწაულის აღდგენა აუცილებელია, მაგრამ უკეთესი იქნება სახეუცვლელად აღსდგეს და უმჯობესია იგი ქალთა დღესასწაულად დარჩეს. მამაკაცების მონაწილეობის გარეშე, რათა დღესასწაულის სტრუქტურა არ დაირღვეს. ტრადიციული ხალხური დღესასწაულები გარედან ხელოვნურ ჩარევას ვერ ითავისებენ.

შუშანა ფუტკარაძე

მართის ხეობა, სოფელი ლომანაური

მოგონებები კიახეთზე

ბევრი ლამაზი მოგონება მაკავშირებს ამ სოფლის მოსახლეობასთან. ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლების ზაფხულის პერიოდი გატარებული მაქვს კიახეთის ბავშვებთან და მემთევრ ქალბატონებთან. ყოველი ზაფხულის დასაწყისში, 25 მაისიდან, საქონელს მივრეკავდით დღვანის მთაზე საბერნიაზე. ეს მთა, იაილები, ეკუთვნოდა დღვანის თემის ყველა სოფელს: დღვანს, ლომანაურს, გოგინაურს, კიახეთს. ჩვენი იაილა დასახლების შუაგულში იდგა. ბებიაჩემს კარგი მეზობლობა ჰქონდა მემთევრ ქალბატონებთან. იყო მისვლა-მოსვლა, გადაპატიჟება-გადმოპატიჟება; უცხო საჭმლისა თუ ბარიდან ამოტანილი ხილის ურთიერთ მირთმევა, ურთიერთმოკითხვა. ჭირი და ლხინი საერთო იყო მთელი სამი თვის (ივნისი, ივლისი, აგვისტო) მანძილზე, მარიობის (აგვისტოს) 25 რიცხვამდე (ახლით 9 სექტემბრამდე) მთაში ვრჩებოდით. მთაში ასვლისას იაილები თეთრი გვირილებითა და ათასფერი ყვავილებით გვხვდებოდა, მთიდან წამოსვლისას კი თეთრად მობიბინე სათოვლიები გვაცილებდა ხოლმე. დაუვიწყარია ჩემი ცხოვრების ეს ნათელი, სუფთა, თბილი დღეები...

შთამბეჭდავ მოგონებად დამრჩა მთაში ნანახი შუამთობა, სახალხო დღესასწაული. იგი იწყებოდა დაახლოებით 23 ივლისს – ჩურუგას (ახლით 5 აგვისტოს) და, სულ ცოტა, სამი დღე მაინც გრძელდებოდა. ბარიდან, ე.ი. სოფლებიდან მთისკენ მიემართებოდა მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი. ღრმად მოხუცები, ავადმყოფები და მხოლოდ მათი მომვლელები რჩებოდნენ ბარად. საოცარი პატივისცემა იყო გამოხატული გათხოვილი ქალბატონებისადმი, რძლებისადმი. მთაში ისინი ცხენებით მიჰყავდათ ხოლმე, ცხენს აუცილებლად უნდა გაძლოლოდა მამამთილი ან მამალი. ცხენოსანი ქალბატონებს ეცვათ სპეციალური საცხენოსნო ტანსაცმელი, რომელსაც ცხენის ჩარი ერქვა. თითო იაილაში რაც უფრო ბევრი ცხენოსანი ქალბატონი ამოვიდოდა ბარიდან, მით უფრო საამაყო იყო, ბავშვები სულ იმის თვლაში ვიყავით და ვეჯიბებოდით ერთმანეთს, ვის რამდენი ცხენოსანი სტუმარი ჰყავდა საშუამთობოდ. მთაში ასასვლელი გზის ზოგიერთი მონაკვეთი საკმაოდ სახიფათო, ვიწრო და კლდოვანი იყო. ცხენოსანი ქალბატონი რომ არ შეშინებულიყო, ასეთი გზის მონაკვეთზე მიმავალ ცხენს კუდში ჰკიდებდა ხელს გამყოლი (რძლის მამამთილი ან მამალი). დღეს მთისკენ კარგი სამანქანე გზაა გაყვანილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ცხენოსანი ქალბატონები თითქმის აღარ არიან. მთაში შუქიც გაიყვანეს. ამ კეთილშობილი საქმის წინამძღოლები არიან მამა-შვილი ბატონები ლევან და ანზორ გოგიტიძეები. ბატონი ანზორი მაღალმთიანი აჭარის ჭეშმარიტი ხევისბერია. ცნობილია, რომ მთაში (სებერნიას იაილებში) შუქი დედის, შესანიშნავი ქართველი

მანდილოსნის, ფიქრიეს (ფიქროს) ანდერძის თანახმად, მის პატივსაცემად გაიყვანა. ნათელში ამყოფოს უფალმა საუკუნოდ ამ დიდებული ქალბატონის სული; ბატონ ანზორსა და მის ოჯახს, მის საყვარელ ხალხს კი არ მოაკლოს დღეგრძელობა და ბედნიერ საქართველოში ცხოვრება.

შუამთობის დღეებში იმართებოდა ცეკვა-თამაში, სიმღერა; ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და მხიარულობდნენ დილიდან შუალამემდე. განსკუთრებული მხიარულება იმართებოდა კიახეთის იაილებში. ამ სოფლის მოსახლეობა დაჯილოდოებულია მუსიკის ნიჭით. მღეროდნენ მამაკაცებიცა და ქალებიც. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მინდა გავიხსენო სულიერად და ხორციელად ულამაზესი, უსპეტაკესი ქალბატონების შავშურა ნენეს სიდრეტას, გოგნიავრელი ზულფოს (ნურიალის დის) და ხეცივრელი ასულების ფერიდესა და აინურის სიმღერები; მათ ბაგეებზე აყვავებული ქართული ჰანგების სილამაზე და სიტკბოება განუმეორებელია. შესმატკბილებული ხმების მსგავსი ერთიანობა (ჰარმონია) არსად მომისმენია. ქართული ენის, ქართული ხმის სილამაზის ზეიმი იყო მათ სიმღერაში, ზოგიერთი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის, უფალმა აცხოვროს!

გულში ჩამწვდომი და დაუვიწყარი იყო მამაკაცების მიერ შესრულებული სიმღერებიც. აქაური მაყრული, მგზავრული, ნადური, იევრი და ჰარალე, დილაჲ ვოდელა დილაჲ ნინე, ბახმაროს მთაზე, მინდორში ბალახ-ბულახში და ა.შ.... ხომ განუმეორებელია, ბრწყინვალეა შესრულების ხელოვნებითა და ხმების მიმზიდველი ჰარმონიულობით. იმ სიმღერებში გამოყენებული ზოგიერთი ხალხური ლექსის სტროფები შემორჩა ჩემს მეხსიერებას, ზოგიერთის გახსენებაში კი დამეხმარნენ შუამთობის მონაწილე ქალბატონები: სალიე, ლილმო, ლიანა ფუტკარაძეები, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მათ. მკითხველს ვთავაზობ ხალხური პოეზიის ნიმუშებს და ვიმედოვნებ, ახალგაზრდები კვლავ იმღერებენ შუამთობის დღესასწაულზე:

•••

შენ წრედი ხარ, მე ბუდბუდი, შენთვის კდება ჩემი გუდი...
შენ წრედი ხარ, მე ყავიო, ერთი თემენა მიყავიო,
სადგომედათ ბნადი ხარ, დაბძანდი და იყავიო...
გალმა, გამოლმა სერები, შვაზე იყო ერთი ქედი,
გამჩენდო, გეხვენები, გოგვებს გაუხსენი ბედი...
ბიქო, შენსა ბუდუბასა მოუკედი განსაო,
დედაშენი ვერსად ნახავს ჩემისთანა რძადსაო...
ბიქო, პირი მოგიჰარსავს, სადამაზოთ ვისერიო,
აქეთ-იქით იყურები, ჩემზე დამაბს ვის ედიო...
გოგოვ, კაბა შეგიკერავს, მოუკედი სიგრძესაო,
დედაშენი ვერსად ნახავს ჩემისთანა სიძესაო...
გურიაში ყანა მქონდა, შით მეთესა კანწოფიდი,

სამი შეყვარებული მყავს, მაინც არ ვარ კმაყოფილი...
შენი ქინძე, შავთვადღან, შენი გიშრისფერ თმისაო,
არ დამიკარგო კავშირი, ნაშრომი სამი წლისაო...
მინდორში, ბაღას ბუღასში ამოსუდიყო იაო,
ლაძეში დამესიბმნება შენი დამაბი ყიაო...
მონაწერებულმა წუხელი ცხადად სიბმარში გნახეო,
ვარდივით შემომეგება შენი დამაბი სახეო...
თაბე ამოსულო ბაბილო, ყაიმალბე უფრო ცკბილო,
მოგქამე თეთრი ლაბაბი, დამაბი ყურის ბიბილო...
ყინმიბ მამლის ბიბღეუბი, გოგოვ, შენი კბილები,
გეიციხე, დიგინახავ, ჩემ უბეში შიგინახავ...
ცაში ისარი ვისროდე, აიღუნსა, დაიღუნსა,
კარგი ბიჭი კი ხარ, მაგრამ პირი გიგავს მაიმუნსა...
ცყეში შევედ, ხეი მოვქარ, გამოვთადე ძეილო,
კარგი გოგო კი ხარ, მაგრამ ენა გქონია გძეილო...
იქით ჭადას გეიხედე, ძროხა ძოვდა თერთმეფი,
დექსი, დექსი, დექსმეფი, გოგო მინდა თექსმეფი...
მალდა სერბე ვვიხედე, ამოსუდა ბადია,
თექსმეფივე კი არადა შენთვინ ერთიც ბრადია...
წყადში თევზი მიცურავდა, თავს აქანებს, წედს არაო,
ეხდანდელი ბიჭუნები ფუღს ითხოვენ, ცოდს არაო...
ყვედა სადგურს მინჩვენია მე სადგური სვირიო,
კარგი ბიჭი კი ხარ, მაგრამ წამოგბდია ცხვირიო...
ჩვენი ებო ვინრო არის, ვერ გაივდის ავტო,
შეყვარებულს ვარი ვუთხარ, ახდა დადის მარტო...
სიყვარულის ანგელობო, თვადჭუჭუნა ყვავილო-
სურასავით დამაბო, წედში გამოყვანილო...
თვადჭუჭუნა, დოყა ვარდი, დაგინახე, შიმიყვარდი,
დედამ გშობა ასე კარგი, თუ ბეციდან ჩამოვარდი.
ბიჭო, შენსა ებოშია ამოსუდა იფნებო,
წადი, დედასა უთხარი, მისი რდადი ვიქნებო...
ბიჭო, ქუდი დაგიხურავს, ქუდია თუ ბოხობო,
აქამდისინ სხვასთან იყავ, ჩემთან რაწო მოხობილო...
გოგოვ, შენმა სიყვარულმა იმირია ფიქრებო,
ამას იქით, დამაბო, შენთან ახლოს ვიქნებო...
ბიჭო, ქუდი დაგიხურავს, სხვისია თუ შენია,
ქადებისკენ იყურები, პირი დაგიფჩენია.
მარტო ქუდი კი არა და ჩემი სახლიც შენია...
ცყიდან შეშა მოვიწახე, გავაკეთე თავარა,
გოგოვ, შენმა სიყვარულმა გუღში გამაკანკადა...

ბიჭო, ჩემი სიყვარულით გინდა ცხვარი დაკადი,
გოგოს გუდის მოსაგებად ვერ გიშვედის კანკადი...
წვიმა წვიმს და წამი არა, თეთრ კაბაში გამიარა,
ბიჭო, შენმა სიყვარულმა კაკად გულში გამიარა...
წყაროს წყადი მოდინდება, მოდის, მოედინება,
შენ ჩემ მკდავზე ამელამ ცვბიდად დაგეძინება...
უშნო უშნო შაირებმა დამანყებია ცივება,
შენს ნათქვამზე, იცოდე, ყვედას გიეცინება...
წყაროს წყადი მოდინდება, არ ეწევა ღარაზე,
შენი ჩემი სიყვარული აღარ მუა ფარაზე...
ბევრი აღარ გეშაირო, ახდა დავდე მცვიცე ფიცი,
შავი ძროხა, თეთრი კვიცი, ამის მეცი აღარ ვიცი...
ცყეში ნავედ, თაფდი ვხიდე, ჩამოვკაფე თედები,
ნალა ბევრი გავაგრძელო, ჩაგაკმედიე ენები...
აგუგუნდით წრაქცორებო, თქვენ გასნიეთ, ხარებო,
სამახსოვროთ გიმღერეთ, შუამთობის ქადებო...
დაუკანით ფანდური, სიმღერა ვთქვათ ნადური,
შემაქამეთ ხავინი, მეცი რა ვთქვა, არ ვიცი...

ქალები და კაცები სიმღერაში ერთმანეთს შეეჯიბრებოდნენ ხოლმე, ერთმანეთს გაეპასუხებოდნენ, სათქმელს ერთიმეორეს გამოართმევდნენ. ამას აღმოსავლეთ საქართველოს მთაში კაფიობა ჰქვია. ჩვენთან გამორთმეველი სიმღერა ერქვა. იტყოდნენ უფროსები, გამორთმეველი სიმღერა იციან კიახიძიებმაო.

დასაკრავი ინსტრუმენტები ბევრი ჰქონდათ: ფანდური, ჩონგური, გარმონი (მუზიკაი), დოლი. უკრავდნენ და ცეკვავდნენ მოხდენილად, ბუნებრივად; მამაკაცები ვაჟკაცურად, თავდავინწყებით ცეკვავდნენ, ქალები კი დაგნებულად, ნაზად; მაგრამ ზოგჯერ აზარტულადაც. განსაკუთრებით ქალების ხორუმის შესრულებისას, ზოგჯერ კაცებს ბაძავდნენ ხოლმე. ცეკვავდნენ ოთხნანას, ყოლსამას, ჯაყდანანას, გადაქცეულს, ყარაბალს, ქურთბარს, რუსულს, ცეკვას (ერთგვარი ცეკვაა), შამშალახოს, ლეკურს, კინტაურს, შამილს, ხორუმს, ზედშედგმულ ხორუმს და ა.შ. გარმონზე მოხდენილად უკრავდნენ შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცები შეიდ ფუტკარაძე (საუბედუროდ, ადრე გარდაიცვალა), გივი (შეიდის ძე) ფუტკარაძე, ალალი ფუტკარაძე და სხვები. ძალიან კარგად ცეკვავდნენ ახმედ და ხასან ფუტკარაძეები, თუმცა ამ სოფელში ყველა კარგად ცეკვავს, გამორჩევა ძნელია...

ცეკვა-სიმღერის ნიჭი უფალს ყველასათვის მიუცია ამ სოფელში. ქალთაგან განსაკუთრებით კარგად ცეკვავდნენ სიდრეთაი და ბინაზაი, ჩემი ნათესავები. ბინაზაი მაღალი, წონწორიქაი, ბროლ ლალისფერი (თეთრ ყირმიზი) სახის ულამაზესი ქალბატონი იყო, სიდრეთაი ხორბლისფერი და ეშხიანი, ასეთივე

იყო შორეთაიცი გულმოყვასი, თბილი, როგორც ემსალ მამიდა, სუნდუს მამიდა, თუთა-მამიდა... დაუფინყარია ზაიდა მამიდას სილამაზეც...

კიახეთში ბევრი ნათესავი მყავდა, ბაბუების, ბებიების, დედის, მამის მხრიდან. გულწრფელი სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით მინდა გავიხსენო ისინი. დიდებული ქალბატონები, ნამდვილი ქართველი მანდილოსნები, ჩემი საყვარელი ნენები, დეიდები, მამიდები, ბიცოლები. მათგან ბევრი სასიკეთო რამ მაქვს ნასწავლი, როგორიცაა: სტუმრის პატივისცემა, სიკობტავე, ტკბილი სიტყვა-პასუხი, მოყვასის სიყვარული, თავმდაბლობა, გულისხმიერება, სამართლიანობა. ამ ქალბატონებთან ყოფნა დიდი ლამაზი გაკვეთილი იყო. აი, ისინიც: ნაბოგვარას მუნთაა ნენე, მისი და გულაიშა ნენე, ესენი ბაბუაჩემის დეიდაშვილები იყვნენ. სამწუხაროდ, ნათესაობა თანდათან იშლება, რაც კარგის ნიშანი არაა, ცხადია...

დიდი პატივისცემით მინდა სახელებით მოვიხსენიო ამ სოფლის დიდებული ქართველი მანდილოსნები: ასია, აიშე, აინური... ბინაზა, გულაიშა, გულხანუმი, გულფერი... ესმა, ესმერა, ემსალა, ზაიდა, ზულქიფლი, თუთია, იეთარა, მუნთაა, მერიემი, ნეგბერი, რუხსეთი, სიდრეთა, სუთო, სულთანი, სუნდუსა, ულფეთი, ფადო, ფატყუმა, ფერიდე, ყუდუსა, შარზენა, შეჰრო, შორეთა, ხატიხე, ჯიშმინა, ჰავა, ჰურია, ჰურა, ჰუნერა თუ ვინმეს სახელი გამომჩა, პატიებას ვითხოვ.

მისაბაძი და აღსადგენია ქალების ჩაცმულობა, ტრადიციული ტანსაცმელი, თუნდაც დღესასწაულების დროს მაინც რომ ვიმოსებოდეთ ძველებური, ძველქართული ტანსაცმლით, საკმარისი იქნება. ასე იქცევიან კიახეთის გადაღმა იმერხევისა და შავშეთის სოფლებში.

საშუამთობოდ ყველა ცდილობდა ლამაზად შემოსილიყო. ძველი ქართული იერის მატარებელი ტანსაცმელი ძალიან ჰშვენიდათ ქალებს, კაბები ნატურალური აბრეშუმის ნაჭრებით იყო შეკერილი, ფერები გემოვნებით შერჩეული: შავ კაბას ნარინჯისფერი, ვარდისფერი ან მწვანე ფერის აბრეშუმის ზედატანის ჩასაცმელი კოფტა (ბულუზი) ამშვენებდა, ნითელი ან ვარდისფერი კაბა თეთრ კოფტას მოიხდენდა... თავზე ყველას ეხურა თეთრი ფერის გამჭვირვალე მანდილი (უჩდუმი), რომელზედაც ამოქარგული იყო ყვავილები, ამ ქალბატონების ხელსაქმის მაჩვენებელი. თავსაფრის წინა კიდეები, ნანიბურები შემკული იყო ვერცხლისფერი ციცაქალებით (წვრილი, ბრჭყვიალა მოსართავებით). წელს უმშვენებდათ ვერცხლის ქამრები, მოსევადებული, ძვირფასი თვლებით შემკული; ანდა აბრეშუმის ძაფით ნაქსოვი თორები, ზოგსაც თალაბულოს ლამაზი სარტყელი ეკეთა წელზე. ალთუნები (ოქროს ფირფიტები) და ძვირფასი მძივები, ვერცხლისა და ოქროს ძეწკვები ხომ თითქმის ყველას ეკეთა ყელზე. ტრადიციული სამკერდე სამკაულები ალთუნები, ვერცხლის ქოსტევი (ძეწკვი), ვერცხლის კორდომი და ძვირფასი მძივები (ქარვის, ძონის, გიშრის, ფირუზის, ლალისა და მარგალიტის...) ქალების ჩქარი ცეკვის დროს ახმაურდებოდა ხოლმე...

ბავშვები სულგანაბული მივჩერებოდით ამ საინტერესო სანახაობას და ვოცნებობდით ასეთ ტანსაცმელსა თუ სამკაულებზე.

მეორე მსოფლიო ომი ახალდამთავრებული იყო, მაგრამ ხალხის ჩაცმულობას არ ეტყობოდა სიღარიბე... მართლაც, შთამბეჭდავი სანახაობა იყო. ახლა ამ ძვირფას ნივთებს მუზეუმებში თუ ნახავს ვინმე, რაც დასანანი...

თურქეთში მცხოვრები ქართველების – ჩვენებურების ქართულისადმი ინტერესი და სიყვარული სწორედ აქ ჩამესახა გულში, ამ იაილებში, საქართველო-თურქეთის საზღვართან ძალიან ახლოს. ხშირად ავდიოდით მაღალ სერებზე და გადავყურებდით გადაღმა საქართველოს იმერხევისა და შავშეთის სოფლებს. სულ ახლოს ჩანდა ივეთი, იმფხრევილი და დიობანი. იმერხევის სოფლები, სადაც ჩვენს ბებიებს დობილები ჰყავდათ. შორს კი მოჩანდა შავშეთის ულამაზესი სოფლები: სხლობანი, ტბეთი, გარყილობაი. საზღვრის ჩაკეტვამდე გადადიოდნენ-გადმოდიოდნენ ერთმანეთთან. ბებიაჩემი – ზექიე ნენე, სათუთად ინახავდა ივეთელი დობილის მიერ ნაჩუქარ სათვალო მძივებს (ლილებს). საუკუნეთა განმავლობაში გადაღმა და გადმოღმა საქართველოს შორის მოყვრობა-ნათესაობა იყო. საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ ზოგ ქალბატონს აქეთ დარჩა ოჯახის ნევრები, ზოგს იქით. კარგად მახსოვს სამი შავშურა ნენე და ერთი არდაჰანულა ნენე. სამწუხაროდ, მათი სახელები ვეღარ გავიხსენე...

სალამობით, როცა საქონელს დააბინავებდნენ, მონველიდნენ და ნანველს შეინახავდნენ, ქალბატონი მემთევრები ეზოებში გამოეფინებოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად ჩამოსხდებოდნენ, ერთმანეთის ჭირსა თუ ლხინს გაიზიარებდნენ. მთისა და ბარის ამბებზე იმსჯელებდნენ, თანაც ხელსაქმით იყვნენ დაკავებულნი. ზოგი ართავდა მატყლს, ზოგი ქსოვდა, ახალგაზრდები უმეტესად ქარგვით იყვნენ გართულნი. მთაში ცხოვრებას განუმეორებელი ხიბლი ახლდა. ძალიან ლამაზი იყო აისისა და დაისის პეიზაჟები.

ზემოთ აღნიშნული ნენეები იშვიათად ჩაერეოდნენ ხოლმე ქალების კრებულში. ისინი მონყენილნი ისხდნენ თავიანთი იაილის სამზეროზე, ტანტრაბაზე (აივანზე) და გარინდებული გაჰყურებდნენ საბულთი ვაკის ზემოთ განოლილი ქედის ერთ მონაკვეთს რომელსაც ჩატეხილი ერქვა (შამბალეთის თავში). თურმე იქიდან გადიოდა გზა გადაღმა საქართველოში, თავიანთ დედუღეთში. სამშობლოში, ეს სევდიანი ნენეებიც შეექცეოდნენ ხელსაქმეს, მაგრამ ხშირად უჩერდებოდათ ხელები და ნაღვლიანი, ცრემლიანი თვალებით იცქირებოდნენ იმ უღელტეხილისაკენ; ალბათ იმ გზაზე გადასვლას ნატრობდნენ, მშობლიურ სახლ-კარს, დედ-მამას, დაძმას ეფერებოდნენ ოცნებით. ისინი თავისებური ქართული კილოთი მეტყველებდნენ ხოლმე. ესეც იქცევდა ჩემს ყურადღებას. ბებიაჩემის ნაამბობით ბავშვობაშივე გავიგე, რომ ეს ძვირფასი ნენეები სამშობლოს ნატრულები იყვნენ, რომ მათი ქართული გადაღმა საქართველოს

ჩვენებურების ქართული იყო, რომელიც გადაიქცა ჩემი შთაგონების წყაროდ და მონიფულობის ასაკში კი ჩემი სამეცნიერო საქმიანობის სარბიელად.

ჩვენებურების ქართულზე მუშაობის დროსაც დამეხმარა სოფელ კიახეთთან სიახლოვე, იმერხევის სოფელ იფხრევლს რომ ვესტუმრე და მასალების შეკრება დავინყე. ბევრმა მთხრობელმა ნათესავადაც კი მიმიღო. კიახეთიდან გადატანილი მსხლის ჯიშის ხეებიც კი მაჩვენეს და ნაყოფის გემო გამასინჯვინეს. ერთმა მთხრობელმა მეველედ ლაღანიძემ შესანიშნავად გვიმასპინძლა; ბევრი რამ გამომკითხა კიახეთის შესახებ, ტანტრაბიდან (აივნიდან) გადამახედა ბახჩაში და მითხრა: ეს სხალი კიახეთიდან ჩამოსულია, – მიმითითა დახუნძლულ ხეზე, – იქ ქირვები გვყოლია. ჩემ ზმის (ძმის) ქირვაი იქვერი ყოფილა ესედაი. ახლა ყველამ გააშენა ეს სხალი... (იხ. ჩვენებურების ქართული, I, 1993 წელი, ბათუმი, გვ. 279). დღეს აღარც კიახეთური ნათლიაა ცოცხალი, აღარც იმერხეველი ნათლული და აღარც ამ ამბის მთხრობელი. ნათელში ამყოფოს უფალმა მათი სული!..

კიახეთთან, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ჩემი ცხოვრების ბევრი ლამაზი ეპიზოდი; ბევრი რამით ვარ დავალებული ამ სოფლის მიმართ. რა დამავინყებს კიახიძეებელი მომღერალი ვაჟკაცების მიერ ნამღერ სიმღერებს ჩემდამი მოძღვნილ შეხვედრაზე, რომელიც გამიმართა 1996 წლის 18 მაისს ჩემმა მშობლიურმა უსაყვარლესმა სოფელმა ლომანაურმა. იმ შეხვედრაზე კიახეთის სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი იყო წარმოდგენილი. შესანიშნავი მასწავლებლები და მუსიკალური ფოლკლორის შემომქმედნი: აბესალომ, ზურაბ, გივი, შოთა, გურამ, ვიქტორ, ნოდარ ფუტკარაძეები, თამაზ და რომან დიასამიძეები; ჩემი უახლოესი ნათესავები იდრის, ჯუმბერი, ალექსანდრე და აკაკი თავდგირიძეები, რომელთა თავადურ კარმიდამოში ბევრჯერ მიმიყვანია უცხოელი თუ შინაური სტუმრები და გვარის შესაფერისი მასპინძლობა გაუწევიათ.

მუსიკალური ნიჭით არიან გამორჩეულნი ქალბატონი პედაგოგებიც: ნათელა მამულაძე, ნადია, ლიანა, ირმა, ნაილე, ნაილე ფუტკარაძეები, მზია თავდგირიძე, მაგული ბალაძე, ნათელა ვახტანგიძე...

კიახეთს ბევრი სასახლო შვილი გაუზრდია სამშობლოსათვის, ბევრი ბრძენი, ჭკუის საკითხავი ვაჟკაცი ჰყოლია წარსულში და ჰყავს ამჟამადაც. ყურანის ფილოსოფიის შესანიშნავი მცოდნე და მასწავლებელი გახლდათ დაუდ ეფენდი თავდგირიძე, მისი ვაჟი ბინალ ეფენდი თავდგირიძე, სამაგალითო პიროვნებანი იყვნენ იუნუს, რაფიელ დიასამიძეები, ხუსეინ, ხასან, შევქეთ ფუტკარაძეები. შესანიშნავი ოსტატები იყვნენ ნური, ოსმან, მუხამედ, დურსუნ, იოსებ, ლევან, გურამ ფუტკარაძეები. აშენებდნენ და აშენებენ მოხდენილ სახლებს, ამკობდნენ მათ ლამაზი კარ-ფანჯრებით და შესაფერი ავეჯით...

კიახეთის ისტორიას თავიანთი მოღვაწეობით საინტერესო ეპიზოდები შემატეს ამ სოფლის გამორჩეულმა შვილებმა, პროფესორებმა ბიჭიკო

დიასამიძემ, მერაბ ფუტყარაძემ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოჩენილმა პიროვნებებმა: რაჟდენ, ასმათ, აკაკი, ედნარ დიასამიძეებმა, გორა, ჯუმბერ, ფატი ფუტყარაძეებმა.

კიახეთს პატარა, საინტერესო მუზეუმიც აქვს მონყობილი, სადაც წარმოდგენილია ზემო აჭარის მაღალმთიანი სოფლების ყოფაცხოვრებისათვის დამახასიათებელი ისტორიული მასალები, წარსულის ამსახველი ნივთები, სოფლის ინტელიგენციას დიდი გულისხმიერება გამოუჩენია მის შესაქმნელად. ამ ბოლო დროს კიახეთს რომ ვესტუმრეთ, მუზეუმში მზრუნველად მოფუსფუსე მამაშვილი ვიქტორ და რუსლან ფუტყარაძეები დაგვხვდნენ. ვიმედოვნებთ, რომ რაიონის ხელმძღვანელობა ჯეროვნად დააფასებს სოფლის (საერთოდ ამ მხარის) ისტორიის სარკეს, ამ საინტერესო მუზეუმს, ხალხის ნაღვანს და მომავალში ყურადღებას გამოიჩენს ამ საინტერესო ობიექტის უკეთ წარმოჩენისათვის.

მუზეუმის გვერდით მდგარ ძველ შენობას, სალოცავ ტაძარს – ჯამეს, ხის ჩუქურთმებით დამშვენებულს, ალერსით შემოხვევია შავი ადესას ლერწები. მაღლარი ვაზის ამ ჯიშს შოთას ყურძენს ეძახიან სოფელში. ყველასათვის საყვარელ მასწავლებელს შოთა ფუტყარაძეს ჩაისუბნიდან მოუტანია ვაზის ნერგი და გაუვრცელებია სოფელში. კიახეთი მაღალმთიანი სოფელია. აქ ყველა ხილი ვერ ხარობს, ყურძენი მით უმეტეს. ამ ჯიშის ვაზი კი ასწრებს დამნიფებას და გვიან შემოდგომაზე აქაურ შავთვალა გოგო-ბიჭების თვალებივით უმუქდება ფერი, აქაური ქართულივით ტკბილი ხდება მისი წვენი. უჭკნობი ყოფილიყოს ვაზის ფესვი ამ ლამაზ სოფელში, არ გამოლეოდეს მომვლელი და წინაპართა შესანდობარის მთქმელი უკუნითი უკუნისამდე!

დასასრულს, ჩემი კოჭლი ლექსი უნდა ვუძღვნა სოფელ კიახეთს:

•••

უფდის სითბო გფარავდა,
მთაშიც გქონდა საყდარი,
შენნაირი სოფელი,
ქვეყნად სხვაგან სად არი...
შენი ძველი მამუდი,
ცრემლებგადანამუდი
ობდად დაგრჩენია
ჭაოს კიახეთი,
აქით მოგყოლია ხმაღი მჭერთა მკვეთი...
მთაში, დამაბმურევ და თიკადთის წყაროვ,
წყაროს თვადთან ხისგან გამოთდილო ღარო,
ჩემი სიყმანვიდის შთაგონების წყაროვ,
მინდა ღექსის რითმით გუდი გაგიხარო...
შავშურ ნენეს კეცში გამომცხვარო კვერო,

ერის მომავალი უნდა გამოკვეთო...
სვედი ნისდის საბანო, სოფლად ჩამოფენილო,
თავდგირიძის ფუჟკარო, სუღში შემოფრენილო,
აქით დაშის წყალო, იქით შამბაღეთო,
ჩუჭა ლედის ცვარო, მთების მონანრეწო...
იქ არყნადის ყვავილო, ციდან ჩამოყვანილო,
სამოთხიდან მოსულო აქაურო წვანილო...
დიდი ნენეს ნამყოფო ნაბოგვარის ქედო,
იმერხევის მთისკენ, კარო გასახედო...
გაიხარე სოფედო, შენ გუდგაუყოფედო,
სიმღერების მშობედო
ჩვენო კიახეთო!..

ვაჟა მსაქარაძე

მარათის ხეობა, სოფელი ოლადაური

შუამთობა

შუამთობა მთის უძველესი, ტრადიციული დღესასწაულია, რომელსაც თავისი შინაარსი და დანიშნულება ჰქონდა. ამ სიტყვით ხალხს მოკლედ, ლაკონურად ჩამოუქნავს ხალხური ზეიმის სახელი. „შუა“ – დროის აღმნიშვნელია, „მთობა“ – ზეიმის შინაარსსა და ადგილზე მიგვანიშნებს.

შუამთობა ჩვეულებრივ აგვისტოს დასაწყისში იმართებოდა და სამოთხ დღეს გრძელდებოდა. ზეიმისთვის თითოეული ოჯახი საგანგებოდ ემზადებოდა: ხილით, ბოსტნეულით, ტკბილეულობით დატვირთული ბარელები დიდ-პატარიანად აიყრებოდნენ (ბარში ერთი უფროსთაგანი რჩებოდა), ვინ მორთულ-მოკაზმული ცხენით, ვინ კიდევ ფეხით, კოლექტიურად ესტუმრებოდნენ მთას, მემთეურს.

მთა უმემთეუროდ წარმოუდგენელია. ისინი პირველნი ადიან მთაში და ზაფხულის თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ცხოვრობენ და საქმიანობენ ოჯახსა და ახლობლებს მოშორებულები – უვლიან პირუტყვს, ალიონიდან გვიან ღამემდე მუხლჩაუხრელად შრომობენ, ქმნიან მთელი წლის სარჩოს – ყველს, ერბოს, ნადულს. ისინი წელთა სიმრავლით წელში მოხრილი, გაჭაღარავებული, მაგრამ სულით გაუტყეხელი ქალები არიან, ჩვენ რომ მოფერებით დედაბრებს ვეძახით (ე. დავითაძე, „სოფლის აღმამენებელი“).

შუამთობა იმ დროს იმართება, როცა სოფელში ყანების თოხნა, ბარის ჭალების მოთიბვა-დაზვინვა და ზაფხულის სხვა მიმდინარე სამუშაოები დამთავრებულია. მშრომელ კაცს უფლება ეძლევა, ერთი კვირით მაინც დაისვენოს, სანამ ზაფხულის მეორე რიგის სამუშაოებს – მთის ზონის

ჭალების თიბვას, ნეკერისა და შეშის დამზადებას დაინწყებდეს, ამიტომ არის შერჩეული ამ დროისათვის მშრომელი კაცის ფიზიკური დასვენებისა და სულიერი გართობისათვის ეს დიდებული დღესასწაული.

ორივე მხარე ანგარიშს აბარებს ერთმანეთს. მემთეური სათითაოდ გამოჰკითხავდა ბარის ამბებს, შემდგომ მარანში შეუძღვებოდა, თავს მოხდიდა გვარდებს, კასრებს, გობებს და თავის ნაჯაფს აჩვენებდა, მთის ამბებს უყვებოდა, თან ფაციფუცობდა, საჭმელს ამზადებდა. ამჯერად სახელდახელოდ ბორანს, ხავინს, ნალებს, მანონს შესთავაზებდა, შემდგომ კი დასახელებულ საჭმელებს ნალებში მოხელილ სიმინდის ფქვილისაგან თიხის თავდახურულ კეცში (შიგ შხამას ფოთლებს ჩაუგებენ) გამომცხვარ გვერეგს, მოშუშული ყველის მოხრაკულს მიუმატებდა. მესამე-მეოთხე დღეს, ცხიმისაგან გადატვირთულები, ჭარბადელოს ფხალეულს, წონოლას და პრასის მჟავეულს მოითხოვდნენ დასაყოლებლად, როგორც იტყვიან – „გულის გადასაკაფად“, შერეკილ დოს მიაყოლებდნენ. ასე იყო ყველა იაილაში.

შუამთობის დროს ხდებოდა ნათესავებში, ახლობლებში დაპატიჟება, მეზობელ მთის მემთეურების მონახულება, სიყვარულება.

შუამთობის ერთ-ერთი ძირითადი სილამაზე იყო ნამდვილი გლეხური გართობა-თამაშობანი, ცეკვა-სიმღერა, რომელიც სამი-ოთხი დღის გან – მავლობაში განუწყვეტილ იმართებოდა გორებზე, იაილებში ხან ერთი, ხან მეორე თავშეყრის ადგილებში. ზეიმი ხან ღამემდე გრძელდებოდა კოცონის შუქზე. ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს მოხუცი მემთეურები ენაცვლებოდნენ, საუკუნეს მიტანებული მოხუცები ტოლს არ უდებდნენ ახალგაზრდებს.

შუამთობაზე მღეროდა და ცეკვავდა ყველა – დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ცოლი თუ ქმარი, ახლად დანიშნული თუ შეყვარებულები. სწორედ შუამთობის დროს ირჩევდნენ გულის სწორს. შუამთობა სიყვარულის, სილამაზისა და უბერებლობის ზეიმს წარმოადგენს. ცეკვა-სიმღერას სახუმარო ლექსების თქმა მოსდევდა. საღამო ხანს იმართებოდა ბერიკაობა. ქალის ტანსაცმელში გამონწყობილი, სხვადასხვა ჯინჯილებით მორთულ-შემურვილი ღრმად მოხუცი მამაკაცი, სახედარზე უკუღმა შემჯდარი, ჩამოუვლიდა შეკრებილთ და შაირობაში, ლექსების თქმაში ინვევდა ირგვლივ მყოფთ. ახლაც მახსოვს 90 წელს გადაცილებული თერჯო ფუტკარაძის, დარბაისლური ხალხური მთქმელის, ცეკვის ჟინის აღმძღვრელი მუსიკალური მელოდიები.

აგერ, გოგონები ცალკე ხორუმის ცეკვას წამოიწყებდნენ, ბიჭებიც ჩაებმებოდნენ ფერხულში სიმღერით:

•••

„გოგოვ, შენი თეთრი კოფცა,
ვინ შეკერა ასე კოხცა,
მაგის შემკერავი მოკვდა,
ჩემი გუდი იმან მოკდა.“

შეყვარებული ბიჭი მოცეკვავეთა წრეში შემოვარდებოდა ცეკვით,
„ჰიდაინანოს“ მიმღერებით და გულისწორს ეძახდა:

”თარობე მაქვს ექვსი ვაშლი,
შვიდი შენ მოგიფანო,
წანწრაფაზე ფიფინები,
გარედან დაგინახეო“.

ამას მოჰყვებოდა შეყვარებული ქალიშვილის პასუხი:

”და თუ შენ დამინახე,
რაცომ არ დამიძახეო,
შენ თუ ასე მომხიბდავდი,
ნეწაი არ დამენახეო.“

ასე საყოველთაო, სახალხო ზეიმის დროს იქმნებოდა და სრულყოფილი ხდებოდა „ქალთა ხორუმი“, „თარნანინა“, „ჰიდაინანო“.

შუამთობის სილამაზე იყო ცხენოსნობა და მხედრული ოსტატობის გამოცდა. მახსოვს, ბავშვობაში ჩირუხის მთაზე ჯოგებად დანავარდობდნენ წმინდასისხლიანი საჯდომი, ყაბარდოული თუ მეგრული ჯიშის ცხენები. იმართებოდა შეჯიბრება დოღში, მარულაში.

ლაზარობა

ამინდის ცვალებადობასთან დაკავშირებით, უძველესი დროიდან არსებობდა და დღესაც არის შემორჩენილი სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენები. თოჯინის მსგავს ფიგურას მორთავდნენ, ჯოხზე ჩამოკიდებდნენ, შემდეგ შეიკრიბებოდნენ სოფლის გოგო-ბიჭები, მივიდოდნენ თითოეული ოჯახის ეზოში და დაიწყებდნენ სიმღერას. თუკი ხშირი იყო წვიმები, მაშინ ამბობდნენ:

”ღაზარია მოადგა კარსა,
აბრიალებს თვადსა,
აბდაი მოადგა თაროსა,
დეემსგავსა მთვარესა,
ღმერთო, მოგვეც მზე და მთვარე,
შეგვინახე წვიმა წყადი“.

გამოვიდოდა ოჯახის რომელიმე წევრი და გადმოყრიდა ნაკვერცხალს, თითქოსდა წვიმა გადაილებსო. მისცემდნენ პროდუქტს, ნიგოზს, კვერცხს, რაც კი ემოვებოდათ ოჯახში. თუ გვალვები იქნებოდა, მაშინ მღეროდნენ:

”ღაზარია მოადგა კარსა,
აბრიალებს თვადსა,
აბდაი მოადგა თაროსა,
დეემსგავსა მთვარესა,
ღმერთო, მოგვეც ნვიმა წყადი
შეგვინახე მზე და მთვარე”.

შემდეგ ამ მოგროვილ პროდუქტს ვინმეს ოჯახში გააკეთებინებდნენ, ბევრს იმხიარულებდნენ, ჭამდნენ და დაიშლებოდნენ. სწამდათ, რომ ამინდი გამოსწორდებოდა.

ნადია ფუტკარაძე

მარათის ხეობა, სოფელი დღვანი

ვარ დაბადებული 1937 წელს, სოფელ დღვანში. ბევრი ვიცი აჭარის წარსულის შესახებ, ჩვენი სოფლის შესახებ...

ჩემს მშობლებთან ერთად ბევრი გაჭირვება გამივლია. ჩემი ნენეი უღფეთ იდრისის ასული თავდგირიძე (ფუტკარაძე) სოფელ კვიახიძეებიდან იყო. ჰყავდა ორი და და ერთი ძმა.

ნენეი მელექსე ქალი იყო, წერა-კითხვა არ იცოდა, ზეპირად გამოთქვამდა.

ერთ დღეს დედეი და ნენეი შეიჩხუბნენ, არ მახსოვს რაზე და გეიბუტნენ. ერთმანეთს აღარ დეელაპარაკენ.

მეორე დღეს დილაზე ნენემ დედეს უთხრა, დედევ, მომისმინე, ლექსი გამოგიტქვი და გითხრანა:

”ერთი მითხარ, რა განყინე,
ასე გუდი რომ მაწვინე,
თეთრი ღობიოს ფურცელია,
ჩვენი გაბუჯვა სინცხვილია,
ცივი წყადი ვიცივოთ,
ეხდა ერთად ვიცინოთ”.

ჩემი ძმა ალი (ლევანი) ქათმებს აბალახებდა, ცავდა, რომ მელას არ მოეპარა, სახლთან ახლოს დიდი ხევია და მეღიებო იქიდან რომ გვატყვილებს, ასე რამდენჯერ მოვტყუვდით, აღარ მახსოვს. საღამოს მეღამ ქათამი გერჩექ მიეპარა, ანამ არ გეიხედა, ალი გალახა და დაამწყვდია...

გათენდა დილა, ნენემ თქვა, მე ალის ლექსი გამოუტქვი:

”რა ვუშველო მედასაო,
ქათამს პარავს ყვედასაო
არ შევაქმევ ქუჭუდსაო,
იმას ავაძრობ სუდსა,
იმას ნევყვან არასაო,
იმით ვვლებ ფარასაო“.

* * *

სოფელ კვიახიძეებში საგუშაგო იყო, იქ სამანქანე გზა არ მოდიოდა, სამხედროები ორი ცხენით ტვირთს ეზიდებოდნენ შუახევიდან დღვანის გავლით, ნენეს ხელით აჩვენებდნენ, რომ შიოდათ. ნენეი მჭადს და ყველს გაუტანდა წყაროსთან და დეელოდებოდა, რომ ჭურჭელი უკან წამოელო. ნენემ რუსული არ იცოდა. ერთ დღესაც რო მევემსახურეთ, „ხაროშ“, „ხაროშო“ გვეუბნებთან. ნენეი ამბობს, მჭადის ფქვილი უნდათ და იმიტომ ამბობენ „ხაროშო“. დღეს ოთხი კეცი მჭადი გამოვაცხვე და აღარა მაქვს მჭადის ფქვილიო...

სალამოს ნენემ ბაბოს უთხრა, რუსებმა ფქვილი მამთხოვეს და ვერ მივეციო...

მამაჩემმა ჰკითხა, როგორ მიხვდი, რომ ფქვილი უნდოდათ, რაფერ მიხვდი და ხოროშ, ხოროში, იძახეს. ბაბოს გაეცინა და გვითხრა, მაგენს ფქვილი კი არ უნდოდათ, მადლობა გადაუხდიათო.

ულფეთ ნენეს ერთ დღეს შევეკითხე: ნენევ, მჭადს რომ აკრავ კეცში, ჯვარს რატომ სვამ:

•••

”ნენევ, მითხარ მჭადს რომ აკრავ,
რაწომ დასვი მასზე ჯვარი,
რა ვქნა, შვიდო, ჩემო ციცავ,
ნათქვამია დღეს ამგვარი.

•••

სამასი წდის ბაწონობამ
ჩადრში გამოგვახვია,
მაგრამ ჩადრი დროთა სვლამ
ნაკუნ-ნაკუნ დახია.

•••

მიხობიდი, მოხობიდი ბუხარია,
ჩემი დები ჩემ ძმის სახელშია,
რა ძადიან მიხარია.

•••

მეზობელი ჩემო ფაცავ,
კაბა არ დაისველო,
წყლის ბიღვაში მომკდარი ხარ,
მე რაფერნა გიშველო.

•••

აქარა ისე არიეს
ძმას ძმისი აღარ სჯეროდა,
შენყდა ქორნიდი, დღეობა,
დექსებს არავინ მღეროდა.

•••

ოთხსა ძმაშია ვაჟკაცი
ეს გახდეთ რიღვანია,
რი ჩამოციდა ძმის სახელს,
სოფელს დაერქვა დღვანია.
ამ სამი ძმისგან გამრავლდა
ფუტკარაძეთა გვარია,
სოფელ დღვანშია ცხოვრობენ,
ასამდე კომდი არიან.

გამახსენდა ნენენეს ორი სტროფი ლექსი:

•••

ანნდი დავნვი, დავნახშირი,
გავაკეთე სწვირი მეო,
პრაცო, ერთი მაკოცნიე,
შენი სულის ქირიმეო.



ლელე-ლელე შევიარე
ფეხი ჩაკვარ ცადახში,
პრაფო, ქადად გამომყევი,
დაგაცხოვრებ ქადაქში...

•••

ჩემი ანაი მარიემ ქარცივაძე წერა-კითხვის უცოდინარებს ანბანს და კითხვას ასწავლიდა.

„აუხსნა ია, თოხი, მუხა... ასე შემდეგ. აუხსნა ზღარბი, შეეკითხა რამიზემიას, აბა, რა წაეკითხეო? „ძღრაბლიო“. შემდეგ ახსნა კამეჩი. ის კაცი იმეორებს „ჯამუში“, ახსნა – თხა. ისევ ის იძახის „პოსი“. დედაჩემმა უთხრა. – ყველა სწორად კითხულობს, შენ, რამიზემიავ, რა დაგემართაო?“

– კაი ქალი ხარ, მერიემ გელინო, მარა შენი ხათრით ჯამუშის, ძღრაბლის და პოსის სახელს ვერ შევცვლიო.

მე ჩემი ჯამუში ძალიან მიყვარსო, კიდევ ძღრაბლი და პოსიო.

სიყვარულის ბრადია

მე რომ მიყვარს მთაშია,
შენ რომ გიყვარს ბარში,
მე ვარ ჭია-მაია,
გამოსუდი გარში.

არ იგი, ეს ცხოვრება
დამდაგვედი აღია,
გარეთ რომ ვარ, იგოდე
სიყვარულის ბრადია.

•••

იმერხევი, მარადილი
მეკითხები, ვისია
პასუხს გაგცემს ნენეს ძვლები,
ჩემია თუ სხვისია.

შავშეთსა და მარადიდში
ჩვენებრ უყვართ მამული,
ცაო-კდანჯეთიდან ისმის
ჩონგურის ხმა ქართული.

არ გაბედო, ამიმღვრიო
უნმინდურად ჟიროხი,
არ შეგრჩება ჩემი მინის
არც კვნესა, არც გორიხი.

ხაღხურ მოცივზე

ვიფერდები თანდათანა,
ამის ცეცხლი მნვაჳდა განა,
მოი, დამასე გუღბე დანა
და გაჳყევი განდაგანა.
ამოილე გუდიდანა,
რა გინდოდა ჩემიდანა,
შენც დაიფე გუღბე დანა,
შენც დაინვი თანდათანა.
იჳნებ მერე გაჳაციო,
დაგაყარო სუღთათანა,
რომ აჳყევი აჳათიებს,
ვინ ყოფიღხარ ამისთანა!

შემიყვარე თავიდანა,
ჳავრი თავში ავიდა რა,
ჳაი ხანი გავიდა რა,
სიძღღვიდი ნავიდა რა!.


ნოდარ მიქელაძე

ზამღეთის ხმოზა, სოფელი ფურტიო

ღეჳსი ნოდარის

რა უბედურს ბედი დაჳყვა,
გუღსა ცეცხლი მოგედო,
ვინ დაგიძრო ყვავიღბე,
ბობოჳარო ჳოეფო.
სიჳღიდს შენთან რა უნდოდა,
შენ სიფობღეს ეგრფოდი,
რომ ეფდია ნუთისოფედს,
რამღენ რამეს გეჳყოდი.





ნენიაზე მომღერადი
დაგიღოცოს მარჯვენა,
შენი ებო, შენი სახლი
ნეწავ ახლა გაჩვენა.
ბიჭმა ცოლი მოიყვანა,
შეეძინა ბიჭია,
ბაბუკვლავ, რომ იცოდე,
სუდ აქვს შენი ნიჭია,
გუდზე მინას რომ აყრიან,
ჩამოეშვება ფანდა,
ყვედა შენთვის დასწინოდეს,
შენი მწრების გარდა.

ბებიას ბაბუსასგან

ამდენს ნუ დარბი, ქადაუ,
ნუ ეჯიბრები მთავრესა,
ცოცხათი ჩამოჯდებოდე,
გამითენებდე ლამესა.

ადეში ბერიძეს

ფურცოში გავიბარდე,
ვიყავ დედის კარგი შვიდი,
მეზობლებში საამაყო,
ცხოვრება მქონდა ნაბი და ცკბიდი.
მშვიდობით, ჩემო ფურცოვ,
ჩემო დამაბო მხარეო,
31 წლის ბიჭმა
გუდს მინა წავიყარეო.
ეს რა ბედი დამენერა,
ადრათ იყო ღმერთის წერა,
ბამთრის გადასახვევზე
გამიჩერა ღმერთმა ენა.
ჩემს ფურცოვს ვხედავდი,
მაგრამ არვინ მომეშვედა,
თვადნინ მედგა მე კახინა
და ჩემი საყვარელი დედა,
მამი, შენ დიდი ბოდიში,
რომ აღარ გძინავს ღოგინში,

კაცი ჩამოხმი წანბედა
შენი ადამის ღოდინში.
ორშაბათ დიდა გათუნდა,
ჩემთვის უიღბლო ყოფიდა,
ძმა-ბიჭებმა მოვიყარეთ,
დავდიეთ ღვინო.
ღვინის სმა რომ დავამთავრეთ,
ნასვდა მოგვიხდა,
ავდექით და გავეშურეთ
გრძელ გზებზედა.
ჩემი სიკვდილი, იცოდეთ,
ჩემი სიმთვრადის ბრადია,
მე თუ ველან წამოვდგები,
ფუნჯიოს ხაღბის ვადა.
მე ისეთმა ხაღბმა მომკვდეს,
დაფიქრდით და ხედად ნახავთ,
ახლა თქვენ თავს მოუარეთ
მწუხარებას გადადახავთ.
ბორბოგი ხაღბის მნახველებს
ღმერთი მოუწყანს განაჩენს,
მე რაც გითახნით, ესაა,
მერე გაიგებთ დანარჩენს.
ბევრმა იცის ჩემი ამბავი,
მაგრამ არავინ არ წყდება,
გავა დრონი და წლები
სიმართლე მისით გაწყდება.
ჩემს კახასა შემიხედეთ,
ჩემს ცოდსა, ჩემსა იამბეს,
ჩემს ჰაყარებს არ მოაკლოთ
მამიკოს თბილი სინათლე.
ბოდიშს გიხდით, დებო, ძმებო,
გაგიმწარეთ ცკბილი გუდი,
დიდმა სიყვარულმა იცის,
რომ ადემისკენ გქონდათ ყური.
ნუ წირი, ჩემო დედაო,
არ მითხნა, ადემ რა ქენი,
მე აქედან ყოველ დღე გხედავ
და სიბმრებით გეფურები.
კიდევ მოვა გაბაფხუდი,
კიდევ დარეკენ ბარები,



ერთუცებ ან მომირჩება
მწრისგან დაქრილი იარები.
ჩვენ მწრები ან ვიყავით ანვის,
სიყვარული გვქონდა გულში,
მათ ვი ბოროცება სურდათ
და ამას ვერ გადავურჩი.
მინდოდა, კიდევ მომსწროდა,
თოფით გამქლო კარები,
რომ მეორე შვიდსაც ეძახა:
მამი, შენ გენაცვადები!
ამ ქრილობას, ჩემო დედი,
შენ ვერ მოგირჩენს ვერავინ,
ჩემო სოფელო, ფურცოვ,
კარგად იყავით ყველანი.
დედას შვიდი რომ უკვდება,
იმ დრიდან იცმევს შავ კაბას,
ჩემო კარგო, ცვბილო დედავ,
ნულან სწირიხარ.
ჩემო დამაბო იამბე,
ჩემ საფდავთან გამოიარე,
ამას გთხოვ, ჩემო ცოლო,
ჩემს პაწარებს მოუარე.
ან შემირცხვინო კაცობა,
სიყვარული შემინახე,
უქმაობა ძნელი ანის,
ვაჟკაცურად გადადახე.
ჩემო ცოლო საამაყო,
შენ ყოველთვის დაგლოცავდე,
გამოდი და ჩემ საფდავთან
ნაინ-ნაინ ყვავილები დარგე.
ჩემი სიკვდილის მიბეზი
დიდი ღმერთი გამჩენია,
მშვიდობით, ჩემო ოჯახი,
მეფი გზა ან დამჩენია.
გულზე მინას რომ აყრიან,
ჩამოეშვება ფარდა,
ყვედა მოკეთე კარგად გამყოფონ,
ჩემი მწრებისა გარდა.

•••

კაგმა ისე უნდა იცხოვროს,
ქვეყნად არ ჰყავდეს ბადადი,
ვადმოხდიდი უნდა ნახვიდე,
ხადხის წინაშე მართადი.
გუდბე მინას რომ გაყრიან,
ჩამოეშვება ფარდა,
ყვედა შენზე უნდა სწიროდეს,
შენი ცოდ-შვიდის განდა.

•••

შენ, ჩემო დიდო ოცნებავ,
შენ, ჩემო წყნარო სევდაო,
ჩემო წინ გბისა მნათობო,
ჩემო დამაბო დედაო.
ოცნების წადლებს მივყვები,
შენ რომ დამაბად გხედაო,
მამიკოს გვერდით იცოცდე
შენ, ჩემო ცვბილო დედაო.

ახადი წელი

ახადსა წელსა მოგილოცავთ,
მრავად ახადს დაესწარით,
ისეთი გბით არ გისურვებთ,
რასაც ახდა მოესწარით.
მე დღეს ახდა რა მამღერებს,
ცხოვრებაა ბლაპანი,
სად გაგვიქრა კანფეცები,
შაქარი თავსაყრედი.
სისხლით მორწყეს ყვედაფერი,
შავმა ჩაცმამ იმაფა,
რამდენი ვაჟკაცი მოკვდა,
რა ჰასუხს ცემთ იმათა.
მშობლებო და წინაპრებო,
მიდით, რკადი გაარღვიეთ,
ეს დამაბი საქართველო,
ასე რაფომ დაანგრიეთ.



•••

ოპ, ღმერთო რა დაგიშავე,
რომ მიმაჯაჭვე ღოგინად,
ახადგაბრდობა მომისპე
სიკვდილ-სიგოცხდის ღოდინსა.
ან გესმის ჩემი კვირი,
გუდში მაქვს მძიმე ცვივილი,
პანადიჩი რომ მომიყვანე
და შემიცვადე ღომილი.
ამდენი ზამთარ-ზაფხული
მანაწრე მთა და ბარია,
ოპ, ღმერთო რაწომ ან გესმის,
რომ მცვივა მთელი წანია.
ოთხი წედია, დავსწინი
ჩემ გაჩენებუდ ხედ-ფეხსა,
ჩემი სიგოცხდე რად მინდა,
წივთივით ვწევარ ღოგინსა.
ჩემი წარსულის შემყურე
თვადზე მადგება ცრემლები,
წუთუ არაფრის ღირსი ვარ
და ღმერთმა მარწო დამწოვა,
მინდოდა ბევრი მეცოცხდა,
შვილიშვილები მეზარდა,
მაგრამ ბედმა დამცინა,
შვილიშვილების გაბრდა ან მალღინსა.
ბევრი სიმწარე მინახავს,
თავი მეგონა ძლიერი,
ჩემი ძმის სიკვდილის შემდეგ
გუდი გამიხდა ცბიერი.
ალარც დედა მყავს, ალარც ძმა,
მამა ხომ სუდ ან მყოლია,
მარწოლა დამრჩენ ცოდ-შვილი
რომედნიც მე შემხარია.
მამის წაწრული ვიყავი,
მე უბედური თავითა,
დამსაჯა ღმერთმა, წამართვა
მშობლები და ძმა წაწვიითა.

ელგუჯა ხიმშიაშვილი

ზამლეთის ხეობა, სოფელი ნიბაზეული

ნიგაზეულში ვცხოვრობთ 297 კომლი, ზამთარში აქ ვრჩებით 150-დან 200 კომლამდე, სეზონური ოჯახები გვყავს. ზამთარში ქალაქში მიდიან. შესანიშნავი წყაროები გვაქვს, ჰაერია, წყალია, გვკვებავს ჩვენ, მეტი რა გვაქვს... ადრე 2-3 მეტრო თოვლი მოდიოდა ერთბაშად. თოვლი რო მოვა, აქ არაფერი მანქანა არ ამოვა, თოვლის მარაგი არ კლავს წყაროებს, წვიმა არ ამარაგებს წყაროებს, თოვლი ამარაგებს.

თერთმეტი გვარი ცხოვრობს ამ სოფელში. ისტორიულად ამ სოფელში თერთმეტი გვარი ცხოვრობდა.

– იმ სომხის სურათი სა ნაიყვანე, ბიჭო, სა ნაილე ის სურათი, ვინც მოკლა სელიმი.

– აგერ არის.

– სომეხმა მოკვება თავი. სულთანმა შემოუთვალა მაჰმუდ II-მ, ცოცხალი სელიმი ჩამომიყვანე... რომ ჩავიდა და თავი ჩაუტანა სულთანმა მას მოკვება თავი, ცოცხალი რატომ არ მომიყვანე.

16 წლის ასაკის იყო როცა ბრძოლა დაიწყო თურქეთის წინააღმდეგ, განთავისუფლება რომ უნდოდა თურქთა ბატონობისაგან.

ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა სელიმს მეფე ერეკლე II-სთან, ერეკლე II დასაფლავებაზე იყო ჩასული, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფშავ-ხევსურებთან, მთიელებთან.

ახლა ივნისის თვეში ვიყავი ჩასული ფასანაურში, იქ ვიყავი უშარიძეებთან. უშარიძეები იყვნენ სელიმის მედროშეები, იქიდან წამოსულები.

იმ ხალხმა გვითხრა: ჩვენი წინაპრებისგან გაგვიგონია, რომ სელიმი ფასანაურში ჩამოდიოდა, „პატარა მეფეს ვეძახდითო“. ჩვენი მეფე ჩამო – ვიდაო, ვამბობდითო. მაგენს ცხვარი მოყავდა ფასანაურიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, აქ ჩვენს მთებში მოყავდათ, აქ აზაფხულებდნენ. ესენი, ჩვენი შუახვევის ხალხი, ყოველთვის იცავდნენ სელიმის დროს თურქებისა და სხვა ავაზაკებისგან მათი ცხვრის ფარებს... ფშავ-ხევსურებსა და მთიელებს იცავდნენ... ამიტომ დიდ პატივს სცემდნენ აქაურებს.

ადრე იყო ნუგზარ არაგვის ერისთავი. აი, იმის პერიოდში აქედან შასახლდნენ დუშეთის მაზრაში, ანანურის ხეობაში ხიმშიაშვილები, იქ არის. სოფ. ბულაჩაურში ცხოვრობდნენ. იქ ძირითადად დომინირებდა ორი გვარი: ხიმშიაშვილები და ნაცვლიშვილი და სოფელი გაყოფილი ქონდათ: ერთი ნაწილი იყო ნაცვლიშვილების, თავადების, მეორე ნაწილი იყო ხიმშიაშვილების. ხიმშიაშვილებს იქ ქონდათ საგვარეულო ციხეც, ეკლესიაცა ქონდათ... ჩემი ძმა გეოგრაფია, ის აკეთებს ჩანაწერებს და ფოტომასალა გადავიღეთ ფასანაურში... ბულაჩაურში იმ ხალხმა დაადასტურა ეს ყველაფერიო...

სელიმ ხიმშიაშვილის საფლავზე ამოსულია ერთმანეთზე გადა-
ჯვარედინებული ნაძვი და მუხა, სიმბოლო საქართველოს ერთიანობისა და
სიძლიერისა. აწ გარდაცვლილმა ბატონმა ზურაბ ზოიძემ მიუძღვნა ლექსი
„ნაძვი და მუხა“. ასევე, მრავალ ისტორიკოსსა და მწერალს აქვს მიძღვნილი
საკუთარი შეხედულება ნაძვისა და მუხის შესახებ. გადმოცემების
თანახმად, ჯერ ნაძვი იზრდებოდა სწრაფად, შემდეგ სიმაღლეში გაუსწრო
მუხამ და ასე გრძელდებოდა კარგ ხანს. ამჟამად ნაძვმა გარკვეულწილად
გაუსწრო სიმაღლეში მუხას. უნდა აღინიშნოს, რომ საფლავზე ნაძვი და
მუხა მართლაც რო სიმბოლოურად არიან შერწყმულნი. ღმერთს შევთხოვდი,
რომ დიდი სელიმის საფლავზე ამოსული ნაძვი და მუხა როგორც ერთიანია,
ასეთივე ყოფილიყოს ერთიანი საქართველო.

მამაჩემი – სამი ძმანი და ორი და იყვნენ... ერთი ბიძა 23 წლის
გარდაიცვალა კბილის ანთებით, ექიმბაშის წამლით მოკვდა... მამაჩემი
ძმებს შორის უმცროსია. უფროსი ბიძა კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.
ნიგაზეულიდან თურმე 13 ოჯახი შევიდა 37 წელს. ყველა კოლ-წევრი გახდა...
მამიდაჩემი ანიკო ადამიასთან ერთად (ხონიდან იყვნენ ცოლ-ქმარი) ჩადრის
ახდას ჩაუდგა სათავეში... მასწავლებელი ახალგაზრდა გარდაიცვალა.
პირველი სკოლა 1922 წელს ნიგაზეულში გაიხსნა, ნანუაჩემის სახლში...
სელიმი იყო ჩვენი დიდი პირდაპირი წინაპარი. ჩვენ სამნი ძმანი ვიყავით, ახლა
ვართ ორი ძმა. ამ მუზეუმის გახსნის მიმდევრობას მე ვხელმძღვანელობდი.
105 ექსპონატი, დღეს 305-ზე მეტი ექსპონატია. ამ სოფელში იყო ორი ძალიან
კარგი მელექსე ქალი – ტარიელ ფუტკარაძემ ჩაინერა ამათი ლექსები. დავით
ფუტკარაძე ცხოვრობს ხონში, 1983 წელს დაბადებული, ვინც ძალიან ბევრი
ისტორია იცის.

შაქრო ხიმშიაშვილი

ჯამლეთის ხეობა, სოფელი ნიგაზეული

სოფლის ტოპონიმი

ბოსტანა

ბოსტანა – სოფლის დასავლეთით მდებარე ერთ-ერთი განაპირა უბანი,
რომელიც მჭიდრო კავშირში ყოფილა საყდრის უბანთან. გადმოცემის
მიხედვით, აღნიშნული უბნის ტერიტორია ირიცხებოდა საეკლესიო
მიწების ფონდში. მაღალი მოსავლიანობით გამორჩეული ბოსტანას მიწები
უზრუნველყოფდა სოფელში არსებული ეკლესიის მღვდელთმსახურთა
მთელი წლის სარჩო-საბადებლით მომარაგებას. მოჰყავდათ ბოსტნეული

კულტურების საუკეთესო ფიშების უხვი მოსავალი. სწორედ აქედან მომდინარეობს უბნის სახელწოდება – ბოსტანა. აქ სარწყავი წყალი არ არის. სარწყავი წყალი არხით იყო გამოყვანილი უკანახვეიდან და ირწყვებოდა მთელი აჭარის ტერიტორია. თურქეთის მიერ აჭარის დაპყრობის, მოსახლეობის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლებისა და ეკლესიის დამენყვრის შემდეგ ეს უბანი გავერანებულა, საძოვრებად ქცეულა, სარწყავი არხიც მოშლილა. მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს ჩნდება ამ უბანში პირველი დასახლებები. დღეისათვის აღნიშნული უბანი მართლაც გამოირჩევა, როგორც ბოსტნეული, ბაღიეული, მარცვლეული კულტურების წარმოების მნიშვნელოვანი ადგილი.

ცხრამუხლი

ცხრამუხლი – სოფლის სამხრეთ ფერდობზე, ცენტრალურ საავტო – მობილო გზასა და მდინარე აჭარისწყალს შორის მოქცეული ტერიტორია, რომელიც მოიცავს როგორც ღრანტოვან-კლდოვან-ხეობიან ადგილებს, ასევე ტყეებსა და საშუალო დახრილობის მქონე მდელოებს. სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე გადმოცემა. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით აღნიშნული ტერიტორია ცხრა ძმის ზიარი ყოფილა. ძმებს გადაუწყვეტიათ ტერიტორიის თანაბრად განაწილება. ცხრა დღე დასჭირვებიათ ძმებს მიწის თანაბრად ცხრა ნაწილად გაყოფისათვის. მეცხრე დღის მიწურულს მშვიდობიანად დაუმთავრებიათ დაწყებული საქმე. უფროს ძმას უთქვამს ძმებისათვის, რომ ცხრა ძმას ცხრა დღე დაგვჭირდება ცხრა ნაწილად ამ ტერიტორიის განაწილებისათვის. ღვთის სადიდებლად სანამ ცხრა მუხლს არ ვილოცებთ, აქედან ისე ვერ წავალთო. მიუხედავად იმისა, რომ დაულამდათ და ტყე-ღრეები ჰქონდათ გასავლელი, სანამ ცხრა მუხლი არ ილოცეს, მანამ ფეხი არ მოუცვლიათ იქედან. მას შემდეგ ამ ადგილს ცხრამუხლი დაერქვაო. მეორე ვერსიის თანახმად, იქ არსებული სათიბებიდან თივის ტვირთის ამოტანას იმ აღმართში ადამიანისა თუ გამწევი ძალის დიდი ძალღონე – ცხრა მუხლი სჭირდებოდა, ამიტომ დაერქვა ამ ადგილს ცხრამუხლიო.

ტინტილასახოხავი

ტინტილასახოხავი – მჭედღურის უბანსა და ხოზნების უბანს შორის მოქცეული 90 გრადუსით დახრილი ციცაბო კლდე, რომელზედაც ქვეწარმავლებსაც უჭირთ სიარული.

ტინტილა – ამ სახელს უწოდებდნენ სოფლის მცხოვრებლები ქვეწარმავალთა კლასის ერთ-ერთ სახეობას. მხოლოდ ამ ქვეწარმავალს შეეძლო აღნიშნულ კლდეზე ხოხვა. ამიტომაც უწოდეს ამ ადგილს ტინტილასახოხავი.

მეორე ვერსიით, ამ ადგილს ერქვა სკინტილასახოხავი, რადგანაც კლდის დახრილობა იმდენად დიდია, რომ ფრინველის სკინტილიც კი არ ჩერდება – ხოხავსო.

წყაროპირები

ნიგაზეულის ცენტრში ერთ-ერთი ადგილის ტოპონიმია „წყაროპირები“. გადმოცემისა და თქმულებების მიხედვით, ეს სახელი შემდეგს უნდა ნიშნავდეს: ამ ადგილის ზემოთ მიმდებარე ტყეში არის წყარო, რომელსაც „წყაროთვალი“ ჰქვია. ეს წყარო გადმოედინებოდა წყაროპირებისაკენ, სადაც ადრე რამდენიმე ადგილზე გამოდიოდა წყაროები, განსაკუთრებით მის თავსა და ჩრდილო-დასავლეთ ტყისპირებში. თვით ტერიტორია გამოყენებული იყო სახნავ-სათესად, აქვე იყო ნიგვზისა და ვაზის ასწლოვანი ნარგავები. ადგილს წყაროების სიმრავლის გამო ხალხმა „წყაროპირები“ შეარქვა. ადრე დიდი სიციხეების გამო „წყაროპირების“ წყალი ქვემოთ ველარ აღწევდა, აგრეთვე შრებოდა ქვედა წყლებიც. ამჟამად, წყაროთვალის გარდა, არცერთი წყალი აღარ გამოდის, მაგრამ ადგილს შერჩენილი აქვს ძველი სახელი „წყაროპირები“. ეს ადგილი დღეს საძოვრად გამოიყენება.

ქარხანა

ტოპონიმი „ქარხანა“ შედარებით ახალია და ის არათუ ნიგაზეულში, არამედ მთელ საქართველოში მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში შემოვიდა ევროპიდან, როგორც სამრეწველო-სამეწარმეო დაწესებულების სახელწოდება.

1870-იან წლებში აჭარის მმართველი აბდულ ხიმშიაშვილი ბედენის სერზე იწყებს სასახლე-რეზიდენციისა და ციხე-გალავანის მშენებლობას, რისთვისაც სჭირდებოდა დიდი ოდენობით სამშენებლო ქვა. ნიგაზეულს კლდე და ქვა არ აკლია, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო, რომ ყველა ქვა არ გამოდგებოდა მშენებლობისათვის, არ იყო თლადი და ადვილად დასამუშავებელი და, რაც მთავარია, იმ პერიოდისათვის მანძილი და მისი მოზიდვა ადგილზე, მშენებლობაზე. ამიტომაც შერჩეული იქნა ბედენის სერის საწყის ტყეში, 350-400 მეტრში კლდე, რომელიც ადვილად იშლებოდა, დასამუშავებლადაც ხლეჩადი და სათლელი იყო. არსებულ კლდეზე არამარტო ნიგაზეულიდან, არამედ სხვა სოფლებიდან ბეგარის წესით მოყავდათ ქვის მნგრეველ-დამამუშავებელნი, სპეციალური ღარებით, ციგებითა და თუშებით დამამუშავებულ ქვას ეზიდებოდნენ სამშენებლო უბანზე. ნათალ-ნარჩენი ქვები ამჟამადაც მრავლადაა მოფენილი კლდის მიმდებარე ტერიტორიაზე. ადგილობრივმა მოსახლეობამ აიტაცა ახალშემოსული სიტყვა და ადგილს, სადაც ქვის დასამუშავებელი კარიერი იყო, დაარქვა იმ დროისათვის უცხო და ახალი ტერმინი „ქარხანა“.

მიჯნურის ველი

მიჯნურის ველი – ეს არის ორი სოფლის – ნიგაზეულისა და ჩანჩხალოს დამაკავშირებელი, შემაერთებელი ველი, რომელიც შეყვარებულთა წყვილების შეხვედრის ადგილი ყოფილა. აქ სოფელ ნიგაზეულისათვის მშვენიერი სახნავ-სათესი ადგილებია, სადაც უხვად მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები – პური, ქერი, სიმინდი და სხვა, რომლის წარმოებაში მთელი ოჯახი იყო ჩართული. ტრადიციულად ხშირი იყო სამეურნეო საქმიანობაში ურთიერთდახმარება – ნადი. ხშირად სხვა სოფლებიდანაც კი ინვედნენ ნათესაებს დასახმარებლად. გარდა ამისა, ხულოდან სოფელ ნიგაზეულის გავლით მიჯნურის ველზე გადიოდა სოფელ ჩანჩხალოსთან და ჭვანის ხეობასთან დამაკავშირებელი გზები. ესეც ხელს უწყობდა გოგო-ბიჭების გაცნობასა და დაახლოებას, მიჯნურის ველის შეხვედრის ადგილად დათქმას.

მიჯნურის ველთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე გადმოცემა. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად მეზობელი სოფლიდან ვაჟკაცობითა და სილამაზით გამორჩეულ ყმაწვილს თავდავინწყებით შეჰყვარებია ჩვენი სოფლის წარჩინებული ოჯახის ულამაზესი ასული, რომელსაც ისე მოუხიბლავს გოგო თავისი თვალტანადობით და გონებით, მოქნილობითა და ძლიერებით, რომ მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად პირობა მიუცია მისი თავის ცოლად გაყოლაზე. დათქმულ ღამეს ბიჭი გამოსულა ნიგაზეულში, შეუსვამს სატრფო ცხენზე და მოუტაცებია. მათ მდევარი დასდევნებია. უკუნი ღამე ყოფილა. სწორედ ორი სოფლის გასაყარ ველზე დასწევია მდევარი შეყვარებულ წყვილს, თოფები უსვრიათ მისთვის რამდენჯერმე, მაგრამ დაუცდენიათ, შესაძლებლობის მიუხედავად, სასიძოს მათ წინააღმდეგ იარაღი არ გამოუყენებია. მდევრები თოფებს თოფებზე ცლიდნენ, მაშინ, როცა ველი თითქმის გაიარეს და ტყეს უნდა შეფარებოდნენ, ქალმა იგრძნო, როგორ მოეშვა მთელი სხეულით ვაჟი და როგორ კარგავდა წონასწორობას ცხენზე. უფრო მაგრად მიეკრა ვაჟს და ცხენიდან ორივე ერთად ჩამოვარდნენ. დაჭრილს კეფიდან თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. უკანასკნელ ხმაზე უკივლია ქალს, „ჩვენ მაინც ვერ დაგვაშორებთ ერთმანეთსო“, სატრფოს ჯერ კიდევ თბილ სახეს მოფარებია, მისი დამბაჩა ამოულია და გულში უსვრია ტყვია, მათთან მისულ მდევრებს ერთმანეთზე სახემიკრული ცხედრები დახვედრიათ. ამ ამბავს ძალიან შეუშფოთებია ორივე მხარე. ისინი აღარ დაუშორებიათ ერთმანეთს და დიდი პატივით დაუკრძალავთ იმავე ველზე, სადაც ტრაგედია მოხდა. მას შემდეგ ეწოდა ამ ველს „მიჯნურის ველი“.

მერი ხიმშიაშვილი, ჯამლეთის ხეობა, სოფელი ნიგაჯაული

ახლა ძალიან იშვიათია მამაჩემის სახელი, მაშინ კი ბევრს ერქვა – ვეხბი. ამ სოფელში დავიბადე, აქ გავიზარდე, მაშინ ჩემს ბავშვობაში პატარა ხის სახლი გვექონდა. ახლა ახალი სახლი გვაქვს, თითქმის სხვა ყველაფერი იგივეა, ცოტათი გაუმჯობესებული... სამი ძმა მყავდა, ერთი მე ვიყავი. ორი ძმა მიცვალებული. სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდები წავიდნენ. აი, იქ გვერდით მარხიან, პირდაპირ ჩანან ჩემი ძმები, ყოველთვის, ყოველ ბაირამზე ამოვდივარ მათ სანახავად, მთელი წლის შედეგებს მოუყვები ხოლმე, დაველაპარაკები, იმის გარეშე არ შემიძლია, რო არ ამოვიდე. აი, დღეს ეს დამთხვევა მოხდა, თქვენც ნახავთ. დღეს უამბე, რომ მე ძალიან კარგათა ვარ, ყველაფერი კარგათ არის, რომ ძალიან მომენატრნენ, რომ ძალიან გვიყვარან და სულ გვახსოვს საუკეთესო. მე შემიძლია ის ვთქვა, იმის გამო კი არა, რომ ჩემები იყვნენ, მე მგონი, დღესდღეობით, მითუმეტეს ძმები, რომელიც მე მყავდა, დღეს იშვიათობაა, ქალბატონო. როგორი ძმები? ჩემს სულში და ჩემს გულში იყვნენ იგინი, მე რა მიჭირდა. ისინი ზეპირად შეხედავდნენ, იცოდნენ მათ. პატარა ვიყავი ყველაზე, თან ერთი და, და ძალიან, ძალიან განვიცდი, ძალიან მაკლიან. ერთი ძმა მყავს, ცოტა ქვევით ცხოვრობს. 64 წლის წავიდა უფროსი. ჩვენ ცხოვრებას ვაგრძელებთ... ძმები მყავდა საუკეთესო, საუკეთესო მეუღლეები, დამიტოვეს საუკეთესო ძმისშვილები... მე ბათუმში ვცხოვრობ 40 წელია, მეუღლეც ხიმშიაშვილია, მაგრამ არა ნათესავეები, სრულიად სხვადასხვა ოჯახები...

დედა კაკალაძე მყავდა ამავე სოფლიდან... დედა 62 წლის გარდაიცვალა. კარგი ხალხი, კარგი ბებოები. მე ვამაყობ დედის ნათესავეებით.

ჯამთარში დიდი თოვლი რო იქნებოდა, ჩემი ბიძა მხრებზე დამისვამდა და სკოლაში ისე მიყვავდი... მამას კიდო ორი ძმა ხყავდა, სამ ძმაში გოგო მარტო მე ვყავდი და ყველა მათამამებდა... ძალიან მიყვარდნენ ბიძა და ბიცოლა...

ბებია (მამის დედა) ჩვენ არ მოგვსწრებია, ადრე გარდაცვლილა... ბაბუას მოუყვანია ჩვენი სოფლიდან ცეცხლაძის ქალი... იმდონად კაი ბებია გვყავდა, რომ, შვილიშვილები რომ მეყოლა, მაშინ გავგე, რომ ის მამაჩემის დედინაცვალი იყო... ბებიას მიყვავდით მე და ჩემი ძმები, სკოლიდან რომ დაგვითხოვდნენ. წაგვიყვანდა მთაში – ნაილებში. ღორჯომამდე იყო მანქანის გზა. ღორჯომიდან ცხენით გამიყვანდა ნაილებში... როგორც ერთი გოგო. ბაბუას ყავდა თეთრი ცხენი დემირი. ბაბუა წავიდოდა, მოიყვანდა ამ ჩვენს თეთრ დემირს, ლაგმით შიშველ ცხენს კიბეზე გამობმულს, ბაბუა ალელის გამოსატანად შევიდოდა, რო დაედგა ცხენისთვის და შეშა მოეტანა. მე ჩუმად მივდიოდი, ავუშვებდი, დემირს მოვევლებოდი, ამ თეთრ დემირს, კლდის თავზე ერთი კატარი იდგა, ახლა არის თუ არა, აღარ ვიცი

და კატრების სერს (კატარი – ფიჭვი) ვეძახდით, ადამიანის ფორმის ქვა იდგა მალლა სერზე „ქვაკაცას“ ვეძახდით... გამოვიდოდა, ალელით, ბაბუა – სადაა დემირი! ბაბუა რომ გამოვიდოდა, ან ქვაკაცასკენ იყურებოდა ან კატრების სერისკენ... – რა გაყვირებს, რო ყვირიხარ, შენი შვილიშვილია, სხვა ხო არ არისო, შემოდი სახლშიო, – და ბაბუას შეიყვანდა სახლში და მე მივიპარებოდი, იქვე კიბეზე გამოვაბამდი თეთრ დემირს. ბაბუა სანამ ტყეში არ წავიდოდა, მე მეზობლებთან გავქრებოდი, ის როცა ტყიდან მობრუნდებოდა, უკვე დავინწყებულნი ვიქონდა ჩემი „დემირის მოპარვა“... ისეთ რალაცეებს ვაკეთებდი... ბებია უფრო გვიყვარდა, ბებია ყოველთვის გვიცავდა, ძალიან კარგი ბებია გვყავდა...

ძილის წინ ბებია ჩაგვაკითხინებდა ლოცვანს, მე და ჩემ უმცროს ძმას მუსლიმანურ ლოცვას ბებია გვეუბნებოდა, რომ გაგვემეორა მისი ლოცვის სიტყვები. თქვენ მშვიდად დაიძინებთ, სულ ანგელოზები იქნებიან, ეშმაკი არ დაისადგურებს თქვენს სხეულში, დილას მხნედ, ჯანმრთელად იქნებით, ეს ლოცვები თქვენ გაგინათებთ ხვალინდელ გზას, მიზნებს. ისეთი კარგია. ყველანაირად გვარწმუნებდა და ჩვენ ბებიასი გვჯეროდა. ის მხოლოდ კარგს გვასწავლიდა, რასაც ქვია სარწმუნოება. მე კომპლექსი არ მაქვს. ეს ჩემი მზითვებია დაროშკები, ამით უნდა მოგვეერთო ოთახი და სასიძო მერე შემოვიდოდა ამ დაროშკებით მორთულ ოთახში...

თემურ ხიმშიაშვილი

ზამლეთის ხეობა, სოფელი ნიგაზაული

მე მათემატიკი ვარ, ფოლკლორთან როგორ გამოვდგები...

აინშტაინს ლექსები ჰქონდა, პითაგორაც ლექსებს წერდა...

ნიგაზაული წარმოშობილა ასე: სანამ აჭარისწყალზე გზა გაკეთდებოდა, ამ სოფელზე გადიოდა საქარავნე გზა. ერთი ნიგვზის ხე იდგა აქ თურმე, ერთადერთი და „ეულ ნიგოზთან გავჩერდით...“ მე-18 ს-ის ბოლოს აქ თვრამეტი ოჯახი დასახლებულა.

ეს ჩემი ძმა არის მრავალშვილიანი, ოთხი გოგო, მეხუთე ბიჭი, ეხლა მეც ორი ბიჭი მყავს ცოლშვილიანები – მყავს შვილიშვილები... მამის საფლავზე დასაწერი ლექსი გამოგვიგზავნა სურიემ (არ დაგვინერია):

•••

ოთხი შვიდის მამა ვიყავ,
ვერც ერთის ბედს ვერ ვესწარი,
ჩემ ოჯახში ქონნიდებსა
ძმებო, ველარ დავესწარი...

ლექსები მაქვს სიზმარზე, მათემატიკაზე მაქვს, ბადიშებზე, სოფელზე.
ბედნიერება რა არისო:

•••

შეგრძნება ქვეყნად კარგის დამაზის
ნების სიმცვიცე და ძლიერება,
შეხმაჯვბილება კარგის და ცუდის
აი, რა არის ბედნიერება...

თუ გამოგადგებიენ, გამოგიგზავნით ჩემს ლექსებს...

აქ დარჩით, დაისვენეთ და დილით წადით, ჩვენთან სოფელში სიზმრის
ამხსნელები გვყავს!

ისიღორე აბაშიძე

ზამლეთის ხეობა, სოფელი ნიგაზაული

დაბადებული 1941 წელს, ოთხი ძმა და ერთი და, ძმები მომიკვდნენ, ერთი
და და მე დავრჩით, სუ ყველაფერი კარგი გვაქ, იმ კდრებსაც, მეც, ორი
შვილი გვყავს, ქალაქში ცხოვრობენ ჩემი შვილები, ჩვენა აქ ვართ მოხუცები.

კარგი სოფელია, ყველაფერი კარგი. ძან კარგი დედ-მამა გვყავდა,
ისტორიული სოფელია, აქ ვინმე ცუდს მეზობლების ამბავში ვერ იტყვის...
იმ თავიდან შეძლებული იყო მამაჩემი, ოჯახი მქონდა, შეძლებული გლეხი
იყო მამაჩემი, შრომობდა, რამე არ გვეკლო. პირუტყვი გვყავდა, კარაქი
გვექონდა, ყველი გვექონდა, კარტოფილი გვექონდა და ყველაფერი კარგი...

ახლა გარკვეულად გაჭირვებული ოჯახები იყო, მაგრამ შიერი ოჯახი
არ იყო... მაგფერი არ ყოფილა ჩვენ სოფელში...

ჩემი და 80-ისაა. შვიდი-რვა შვილი ყავს, გოგოები ყავდა და ორი ბიჭი
გააჩინეს..

ბაბუჩემი რევოლუციონერი იყო, მევლუდა დიასამიძესთან ერთად
მოღვაწეობდა... სტალინთან ერთად იჯდა გარკვეულად. ერთ ოთახში
იჯდენ, სტალინთან ერთად იჯდა ბაბუაჩემი, ოცი წელი იჯდა ციხეში...
სტალინი ყველაფერს კარგს ამბობდა... 1945-ში ოთხი წლის ვიყავი, ბაბუა
რო მოკვდა, გარდაიცვალა.

ბებია ხიმშიაშვილებიდან, აგენიდან მყავდა, კაი ლამაზი ქალი ყოფილა,
დაპატიმრებამდე შეუღლებულან. ბებია ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა.
ბაბუასთვის უთქვამს, შენ ჩემს შემდეგ დაქორწინდებიო...

ბებია ელოდებოდა ბაბუის ციხიდან დაბრუნებას. ბაბუას იუსუფი ერქვა,
ბებია მის გამოსვლამდე მოკვდა. ბაბუას უთქვამს, შენ შემდეგ ქალს მე არ

ვნახავო. ბებია ძალიან ლამაზი ყოფილა, ლამაზი და ბებია ისე გარდაცვლილა და ბაბუა ისე გარდაცვლილა, არ დაქორწინებულან.

იუსუფის ძმა მეჯლისის ნევრი იყო, აქედან გაიქცა თურქეთში... ათათურქის დროს იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო თურქეთში.

ნურალ ქასაბის წიგნშია ეს ამბები...

სუყველანაირი ურთიერთობა გვაქვს მათ ოჯახთან. 1969-ში გარდაიცვალა, იმის ცოლიც ხიმშიაშვილი იყო...

აქედან გეიხიზნა, აბა რა ექნა? წიყვანა ცოლ-შვილით გეიხიზნა და, სხვათა შორის, ტრაპზონის ციხიდან მემედ აბაშიძე დედემ გამოაპარა...

რომ არ დაკარგულიყო ის ძველი ტრადიცია, ჩემი ძმისშვილი ისიდორეს რძალია (ელგუჯა ხიმშიაშვილი მეუბნება). მამაჩემმა გვთხოვა, კუთხე არ დაგვეკარგოსო... ამათი ხიმშიაშვილის კუთხე არ დამეკარგოსო... სელიმის ხაზსაც მოსდგამდა ეს ტრადიცია...

მამაჩემმა ბევრი ამბავი იცოდა, მამაჩემმა მომიყვა, რომ ამათიდან ხო ცოლი ყავდა ბაბუას – ხიმშიაშვილებიდან. ხიმშიაშვილებზე რომ ძვირი ეთქვა – ის ვერ იცოცხლებდა... დაცვა იცოდენ ერთმანეთის...

მამაჩემმა იცოდა კაი მუშაობა, იცოდა ლოცვა... გვიარებოდა მუშაობით, მეტი არაფერი საქმე არ ჰქონდა.. ხუთი შვილის მოვლა ადვილი არ იქნებოდა, დედა მყავდა მიქელაძის ქალი. აბაშიძეებზე მამა ამბობდა, იმერეთიდანაა ჩვენი გვარიო... ისე იტყოდა მამაჩემი... მე სიმართლე რომ გითხრა, მხოლოდ აქაური აბაშიძეები ვიცი, აქ ცოტანი ვართ (აბაშიძე 14 კომლი). დრომ მოიტანა, გამრავლება შემცირებულია, 318 მოსწავლე სწავლობდა, ახლა არის 140.

ძირითადი დღეობა შუამთობაა, შუამთობაზე წავდივართ მთებში, ბახმაროსთან ახლოს...

ფატი მიქელაძე

ზამღეთის ხეობა, სოფელი ნიგაზეული

